პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 დეკემბერი **შაბათი** 2011

№285 (13582) ფასი 80 თეთრი

## ვინ გვერგება მეტოქედ?

ხვალ გერმანიაში ევრობასკეტის წილისყრაა 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისთვის წილი, ვისთვის ხვედრი

## ეკონომიკაზე მღელვარე ევროპას სხვა ღელვის დროც დაუდგა

**A ჯგუფი** (ვარშავა, ვროცლავი)
- პოლონეთი
- საბერძნეთი
- რუსეთი
- ჩეხეთი

**B ჯგუფი** (ლვოვი, ხარკოვი)
- ჰოლანდია
- დანია
- გერმანია
- პორტუგალია

**C ჯგუფი** (გდანსკი, პოზნანი)
- ესპანეთი
- იტალია
- ირლანდია
- ხორვატია

**D ჯგუფი** (კიევი, დონეცკი)
- უკრაინა
- შვედეთი
- საფრანგეთი
- ინგლისი











8




4

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის XVI ტური




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ზამთრის უკვნაურობანი



# ამბავია გასაკვირი

### ზესტაფონი თბილისში ემზადება მარტვილში სათამაშოდ, მარტვილში კი ამბობენ, აქ თამაში შეუძლებელიაო (აგერ, ბატონო, ფოტოო)

მას შემდეგ, რაც ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, მე-15 ტურის მთავარი მატჩი „ზესტაფონი“-„დინამო“ დიდთოვლობის გამო გადაიდო, იმერლებმა დედაქალაქს მოაშურეს და მარტვილში „მერანთან“ შესახვედრად თბილისში ემზადებიან. ამ ვოიაჟის მიზეზი, კლუბის პრესსამსახურის განცხადებით, არის ის, რომ „ზესტაფონის“ ბაზაზე თოვლი დევს, რის გამოც იქ ვარჯიში შეუძლებელი გახდა.

იმერლები საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ მოედანზე ვარჯიშობენ, 4 დეკემბრის მარტვილური მატჩისთვის კი დისკვალიფიცირებული **ალექსი ბენაშვილი** დააკლდებათ.

თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზესტაფონელებმა ერთი მოთამაშე კი არა, შესაძლოა, მთელი თამაში მოისაკლისონ. ყოველ შემთხვევაში, მარტვილში ამბობენ, სტადიონის საფარზე დადებული თოვლი მოიყინა, მისი აღება ვერ ხერხდება და ამიტომ მეტეოპირობების გაუმჯობესებამდე მოედანი ვერ მოწესრიგდებაო. ამ სიტყვებს საბუთად ფოტოც დაერთო, რომელიც 2 დეკემბერს, დღის 12 საათზეა გადაღებული.

საქმეში გასარკვევად „ლელო“ „მერანის“ თავკაც **მალხაზ ჟვანიას** დაუკავშირდა.

- მოედანზე თოვლია, აღებას ვერ ვახერხებთ, თანაც, გუშინ საღამოს მოყინა, ამიტომ აქ თამაში გამორიცხულია. ნეიტრალურ მოედანზე თამაშს, ცხადია, შეთანხმება და მომზადება სჭირდება, ამის საშუალება კი ჩვენ არ გვაქვს, ასე რომ, თამაში, ალბათ, გადაიდება, - გვითხრა ჟვანიამ.

შეგახსენებთ: წლეულს მარტვილელებმა შინ მარცხი არ იციან და ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ნეიტრალურ მოედანზე თამაში არ სურთ.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ტორპედო ბოლნისამდე თბილისია

ნაადრევმა დიდთოვლობამ 27 ნოემბერს მე-15 ტურის ექვსი შეხვედრიდან ხუთი შეიწირა, მათ შორის, ქუთაისში გასამართი „ტორპედოსა“ და მარტვილის „მერანის“ მატჩი.

ახლაც, სამტრედიიდან მცხეთამდე საქართველო თოვლშია გახვეული. გამონაკლისი არც ქუთაისია და „ტორპედო“ ნორმალურად ვარჯიშს ვერ ახერხებდა. არადა, კვირას გუნდი ჩემპიონატის აუტსაიდერ „სიონს“ ბოლნისში სტუმრობს, არასრულფასოვანი ვარჯიშით კი მოგება აუტსაიდერთანაც ძნელია. ამიტომაც „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** თბილისში ადრე ჩამოსვლა ამჯობინა.

ტორპედოელები მატჩისთვის ახალგარემონტებულ „საბურთალოს“ (სამედიცინო უნივერსიტეტის) სტადიონზე მოემზადებიან, სადაც უკვე ორი თვეა, ცხინვალის „სპარტაკიც“ ვარჯიშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

● დინამო

# გარსიამ, ლომიძე კიო...

**მამუკა ლომიძე** კარიერას თბილისის “დინამოში” გააგრძელებს – ეს ცნობა კლუბის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. “დინამოს” თავკაცი **ალექს გარსია** 27 წლის მცველს თვენახევრის განმავლობაში აკვირდებოდა და საბოლოოდ, მის დატოვებაზე თანხმობა განაცხადა. დედაქალაქელებმა ლომიძეს ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმეს. თუ ეს პერიოდი მისთვის წარმატებული გამოდგა, ცხადია, ხელშეკრულებასაც გაუხანგრძლივებენ.

მამუკა წინა სეზონში კიშიონიოვის “დაჩიაში” ასპარეზობდა და მასთან ერთად მოლდოვის ჩემპიონიც გახდა, ბოლო ხანს კი უკლუბოდ იყო.



მამუკა ლომიძე

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U17, U19. მეტოქეები

# პოიეტი და ესპანელი ბომბარდირი თბილისში

**რამდენიმე დღის წინ ნიონში, უეფას შტაბბინაში ჩატარებულმა წილისყრამ ოთხი ქართული ნაკრების მომავალი მეტოქეები გაარკვია. შეგპირდით, რომ საქართველოს 17 და 19-წლამდელთა საელიტრაუნდო მეტოქეებზე მცირე ინფორმაციას მოგაწვდიდით და დანაპირებს ვასრულებთ.**

## U17

### ესპანეთი

ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრებს ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, 37 წლის **სანტიაგო დენია**, იგივე **სანტი** წვრთნის, რომელიც 1995-96 წლების სეზონში დიდებული “ატლეტიკოს” ერთ-ერთი ლიდერი იყო. ცენტრალური მცველის ამპლუაში მან იმ სეზონში 37 მატჩი ჩაატარა და მადრიდელებთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოიგო. “ატლეტიკოს” შემადგენლობაში სანტიმ 9 სეზონი ჩაატარა და რამდენიმე შეხვედრაში ესპანეთის ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო.

2009 წელს ცოტა ხნით “ატლეტიკოს” მეორე მწვრთნელი იყო, კიდევ უფრო მცირე დროით კი – მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი. შარშან ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრები ჩააბარეს და იმ თაობასთან ერთად წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში დამაჯერებლად გავიდა.

ესპანელებმა პირველი რაუნდის სამ მატჩში სამივე მოიგეს – ჩერნოგორიასთან 2:1, მალტასთან 6:0 და პოლონეთთან 2:0.

**სანდრო რამირესი** – ეს სახელი და გვარი უნდა დავიხსომოთ, ესპანელებს ახალი ვარსკვლავი ეზრდებათ. “ბარსელონას” ფორვარდმა სამ შეხვედრაში ერთი ჰეთ თრიქი და ორი დუბლი შეასრულა, ანუ 7 გოლს მოუყარა თავი და ერთი შედეგიანი გადაცემაც გააკეთა. რამირესი პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

მეტოქე მეტისმეტად ძლიერი გვყავს, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ **ვასილ მაისურაძის** გუნდმა პირენეელებს ივნისში ტოლი არ დაუდო – ბაქოში გამართულ “კასპიის თასზე” ფრედ, 1:1 ეთამაშა, მაგრამ ესპანელები ფინალში გატანილ-მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით გავიდნენ.

### ინგლისი

ელიტრაუნდში ინგლისმაც 9 ქულით გააღწია. ბრიტანელებმა ლატვია 4:0 გაანადგურეს, ბოსნია 2:0 დაამარცხეს, ხოლო ჰოლანდიას მინიმალურად, 1:0 მოუგეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისელთა ეს თაობა შარშანდელ 17-წლამდელებს არ ჩამოუვარდება.

გუნდს კვლავაც გამოცდილი **ჯონ პიკოკი** წვრთნის, რომლის გუნდმაც შარშან თბილისში გამართულ შესარჩევ ტურნირში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და ელიტრაუნდში პირველი ადგილით გავიდა. საქართველო-ინგლისი კი ეროვნულ სტადიონზე, შეგახსენებთ, 1:1 დასრულდა – მატჩის მიწურულს **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა ანგარიში **ბაჩანა არაბულის** ეფექტური დარტყმით გაათანაბრა.

**დევენტ კოულმა** და აფრიკული წარმოშობის **ჩუბა აკპომმა** პირველ რაუნდში ორ-ორი გოლი გაიტანეს, ინგლისის ნაკრების კაპიტანი კი **დიეგო პოიეტია**, ცნობილი ურუგვაელი ნახევარმცველის, ბრიტანეთში დაფუძნებული **გუსტავო პოიეტის** ვაჟი.

### უკრაინა

2:0 ბელგიასთან, 0:1 ხორვატიასთან და 0:0 აზერბაიჯანთან – ასეთი წვალებით გავიდნენ უკრაინელები ელიტრაუნდში, თუმცა ამან არ უნდა მოგვატყუოს, რადგან, ტრადიციულად, ამ ქვეყანას ძლიერი ჭაბუკთა ნაკრებები ჰყავს.

უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია **ალექსანდრ პეტრაკოვი**. ამჯერად გუნდის განაცხადში ქართული წარმოშობის ფეხბურთელი არ არის.

## U19. ევრო 2012-ის ელიტრაუნდი

### ხორვატია

ერთი შეხედვით, **გიორგი დევდარიანის** გუნდის მთავარი კონკურენტი ხორვატიის ნაკრები უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ელიტრაუნდის ამ ჯგუფის მატჩებს სწორედ ეს ქვეყანა უმასპინძლებს.

ხორვატმა 17-წლამდელებმა ჯგუფში 7 ქულა დააგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს - ფინეთი 4:2 დაამარცხეს, მოლდოვა 4:0 გაანადგურეს, ხოლო ჰოლანდიასთან ფრედ, 0:0 ითამაშეს.

პირველ ეტაპზე ხორვატთა საუკეთესო ბომბარდირი 3 გოლით **მარიო იელავიჩი** გახდა. გუნდის თავკაცია **დინკო იელიჩიჩი**.

### ბოსნია

ბოსნიის ნაკრები ელიტრაუნდში ქულათა მაქსიმუმით გავიდა, თანაც ისეთი ჯგუფიდან, სადაც მაჩანჩალები არ იყვნენ – რუსეთს, ირლანდიასა და ბულგარეთს, შესაბამისად, 2:0, 2:0 და 2:1 მოუგო.

ექვსი ბოსნიური გოლიდან ყველაზე მეტი - 2 **საფეტ სივისიჩმა** გაიტანა. გუნდს **ტონი კარაჩიჩი** წვრთნის.

### ავსტრია

ავსტრიის ნაკრები საიმედო დაცვით უნდა გამოირჩეოდეს – ეს გუნდი ელიტრაუნდში ისე გავიდა, არც დამარცხებულა და არც გოლი გაუშვია, თუმცა პირველ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა – მალტას 3:0 მოუგო, ალბანეთსა და დანიას კი უგოლო ფრეებით გაეყარა.

**რუპერტ მარკოს** გუნდის შემადგენლობიდან პირველ რაუნდში ორი ბურთიც კი არავის გაუტანია.

საინტერესოა, რომ პირველ ეტაპზე ყველაზე მეტი კუთხური (29) ავსტრიის ნაკრებმა მოაწოდა, დანიასა და ჰოლანდიასთან ერთად კი ერთადერთი გუნდია, რომელმაც პირველ რაუნდში კარი მშრალად შეინახა.



დიეგო პოიეტი



სანტი ატლეტიკოს მთავარმწვრთნელობისას

■ ■ ■

ელიტრაუნდამდე დარჩენილ პერიოდში სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციებს როგორც ჩვენი 17 და 19-წლამდელების, ასევე მათი მეტოქეების სამზადისისა და ტესტმატჩების შესახებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გაგრა

# ახლა ჯონ ჯერემიას ჯერია

## ჯელაძე ახალგაზრდებს ენდობა და აწინაურებს

მას შემდეგ, რაც „გაგრამ" საქართველოს თასი მოიგო და ევროპის ლიგაზეც ჰქონდა დებიუტი, გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდა. მთავარი სიახლე ის იყო, რომ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი – გამოცდილი **ანატოლი პისკოვეცის** ნაცვლად გაგრელებს ამ საქმეში ჯერაც გამოუცდელი, 37 წლის **ზვიად ჯელაძე** თავკაცობს.

ჯელაძემ, უპირველესად, შეცვალა შემადგენლობა და სათამაშო სტილი, დაცვით ფეხბურთს შემტევი ამჯობინა, თამამად დააწინაურა ლამის სკოლის ასაკის ბიჭები, რომელთა უმრავლესობა საინტერესო ფეხბურთელი გამოდგა. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატის XIV ტურში უმაღლეს ლიგაში პირველად ითამაშა 17 წლის მარცხენა მცველმა **გიორგი ჯგერენაიამ**, 18 წლისაა მეკარე **გიორგი ბეგაშვილი**, ძირითადში ადგილი დაიმკვიდრეს 21 წლის საყრდენმა **გიორგი ყურულაშვილმა** და 18 წლის ნიგერიელმა ფორვარდმა **ჯონ ჯერემიამ**.

ეს უკანასკნელი გუნდის კარგი სასელექციო მუშაობის მაგალითად გამოდგება – „გაგრამ" ორი წლის წინ ნიგერიის საფეხბურთო აკადემიასთან კონტრაქტი გააფორმა და იქიდან ჯერ **ოვონიკოკო სეუნი** ჩამოიყვანა, რომელმაც აშკარად გაამართლა იმედები, ახლა კი ჯერემიას ჯერია, რომელიც ოვონიკოკოზე არანაკლებ საინტერესო თავდამსხმელი ჩანს.

ჯელაძის დაწინაურებულმა მოთამაშეებმა ისე იყოჩაღეს, რომ „გაგრამ" ორ მათგანთან, ჯგერენაიასთან და ყურულაშვილთან ახალი კონტრაქტები გააფორმა.

*„ჩვენი საკადრო პოლიტიკა უცვლელი რჩება: „გაგრა" ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს განვითარებისა და დაწინაურების შანსს აძლევს. კლუბის ხელმძღვანელობამ და მწვრთნელთა შტაბმა მიზანშეწონილად ჩათვალეს გიორგი ჯგერენაიასთან და გიორგი ყურულაშვილთან კონტრაქტების გახანგრძლივება და ორივე კლუბში კიდევ სამი წელი, 2014 წლამდე დარჩება"* – გვითხრა „გაგრას" იურისტმა **მიხეილ აფხაზავამ**.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები


გიორგი ფოფხაძე (მარცხნივ)

# ერთი გავარდა, ორს შანსი დარჩა

იმ სამი ქართველიდან, რომელთა კლუბები ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობენ, მეხუთე ტურში ორმა ითამაშა. სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დასჯერდა **საბა კვერკველია**, რომლის "რუბინმაც" შინ ირლანდიური "შემროკ როვერსი" 4:1 გაანადგურა. "რუბინს" ჯგუფიდან გასასვლელად ბოლო ტურში საბერძნეთში პაოკ-თან ფრეც ჰყოფნის. ახალგაზრდა ქართველ მცველს იმ შეხვედრაში მონაწილეობის კარგი შანსი აქვს, რადგან მატჩს დისკვალიფიკაციის გამო მისი უშუალო კონკურენტი, ესპანელი **სესარ ნავასი** გამოტოვებს.

ჰაიფას "მაქაბი" კვიპროსზე აეკ-თან 1:2 დამარცხდა და, მართალია, ჯგუფში მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ ბოლო ტურში შინ გერმანული "შალკეს" დამარცხება სჭირდება, რომელსაც, თავის მხრივ, მეთექვსმეტედფინალის საგზური უკვე დაბევებული აქვს. **ლადო დვალიშვილმა** აეკ-თან შეუცვლელად ითამაშა.

გრაცის "შტურმის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **გიორგი ფოფხაძე**, რომელმაც მოსკოვში, "ლოკომოტივთან" 1:3 წაგებულ შეხვედრაში სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო. ავსტრიელები ტურნირს უკვე გამოეთიშნენ, მათთვის ბოლო ტური ფორმალობაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კუნძულისკენ! როცა ეკონომიკა გემივით იძირება

საქართველოს ნაკრების 31 წლის მცველ **დავით კვირკველიას** კვიპროსის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ კლუბში იწვევენ.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კვირკველია საბერძნეთის სუპერლიგის „პანიონიოსის" დატოვებას აპირებდა, ნოემბრის დასაწყისში სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსულმა ფეხბურთელმა თავად დაგვიდასტურა. მიზეზი ეკონომიკური კრიზისია, რომელმაც საბერძნეთი ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო და, ცხადია, ეს ფეხბურთსაც შეეხო.

*„საბერძნეთში მდგომარეობა თანდათან უარესდება, რაც აბსოლუტურად ყველა სფეროს დაეტყო. კრიზისმა კლუბებიც აზარალა, მათ შორის, „პანიონიოსიც". უკვე მეორე თვეა, ხელმძღვანელობა ხელფასებს ვერ ისტუმრებს და ჯერჯერობით დამაიმედებელიც არაფერი ისმის. დეკემბრამდე კლუბში დავრჩები, მაგრამ მერე ჩვენს ურთიერთობას გადავხედავ. ასეთ ვითარებაში დარჩენა შეუძლებელია, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ კლუბის შესყიდვა ძლიერ ბიზნესჯგუფს სურს. ამიტომ არ ვჩქარობ, ვითარება გაირკვევა და მეც ამის შესაფერისად მოვიქცევი"* - გვითხრა მაშინ კვირკველიამ და არც ის დაუმალავს, რომ სხვა ქვეყანაში სიამოვნებით ითამაშებდა.

მაგრამ მაშინ დავითს კონკრეტული მიწვევა არ ჰქონდა, ახლა კი კვიპროსული ვარიანტი გამოუჩნდა. კვირკველიას საქართველოს ნაკრებში, რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში თამაშის გვარიანი გამოცდილება აქვს, ასე რომ, წესით, უგუნდოდ არ უნდა დარჩეს.


დავით კვირკველია

**მერაბ მამულაშვილი**

● საერთაშორისო მოზარდებისთვის

# მოზარდი ვიტესელები მეგობრულ თბილისში

## ბენდელას თასს ბენდელას სტადიონი უმასპინძლებს

13-16 დეკემბერს საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" სტადიონ "ბენდელაზე" გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც არნემის "ვიტესის" მოზარდთა გუნდიც ითამაშებს.

*"ეს არის 1996 წელს დაბადებულთა ოთხთა ტურნირი, რომლის მასპინძელიც იქნება "საბურთალო". ჩვენი სკოლის მოზარდებთან ერთად იასპარეზებენ არნემის "ვიტესის", ქუთაისის "ტორპედოსა" და "სახალისო ფეხბურთის" გუნდები. "სახალისო ფეხბურთის" პროექტებს საქართველოში ვალერი ჩოლარია ხელმძღვანელობს და გუნდიც მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა.*

*„ევროპული კლუბების ჩამოსვლით განებივრებულები არც უფროსებში ვართ და არც უმცროსებში, "საბურთალოს" კი არნემულ კლუბთან და მის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს,* - გვითხრა "საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

ალბათ, გეუცნაურათ თავში ნათქვამი "საბურთალოს" სტადიონი "ბენდელა", რომელზეც აქამდე არაფერი გსმენიათ.

*"იჯარით აღების შემდეგ, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონი განვაახლეთ, თანამედროვედ მოვაწყვეთ და აფხაზეთში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის ხსოვნის პატივსაცემად "ბენდელას სტადიონი" დავარქვით. მალე დასრულდება 1500 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნის მიშენება, რომელსაც მიედგმება ვიპ და მედიალოჟები, გაძლიერდება განათებაც და საღამოობით ტელევიზიაც შეძლებს მუშაობას. ასე რომ, უმაღლესი ლიგის მატჩების მასპინძლობასაც თავისუფლად შევძლებთ.*

*მოკლედ, ამიერიდან "ბენდელას თასს" "ბენდელას" სტადიონზე ვუმასპინძლებთ. სამეგობროს თანადგომითა და ხელშეწყობით ტურნირი მძიმე პერიოდშიც არ ჩაგვიგდია. ცხადია, თასი წლეულსაც გათამაშდება: დეკემბერში 2000 წელს დაბადებულებისა და მოყვარულთა ტურნირს ვუმასპინძლებთ, იანვარში კი - უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლშემადგენლობების შეჯიბრებას",* - ამბობს ჭუმბურიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

● რეგიონი



# მოწყენილი ავტობუსის ამბავი

## ენატრებაო ბორჯომსა...

**ბორჯომის სტადიონზე, მოედნის გვერდით, საფეხბურთო კლუბ „ბორჯომის" ავტობუსი დგას. კლუბის მსგავსად, სამი წელიწადია, ისიც უმოქმედოდაა, აუქციონზეა გატანილი და ახალ პატრონს ელის. არცთუ დიდი ხნის წინ საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაში მყოფი ბორჯომის გუნდი უმაღლეს ლიგაში ევროტურნირების საგზურისთვის იბრძოდა, დღეს კი მხოლოდ ქალალდზე და მის ყოფილ მესვეურთა გულებში დარჩენილ იმედად არსებობს. ამას წინათ ამ ქალაქში ერთ-ერთ სპორტულ შეჯიბრებაზე ყოფნისას ფეხბურთის მდგომარეობით დავინტერესდი და ს. კ. „ბორჯომის" დირექტორ ვახტანგ მაისურაძეს ვესაუბრეთ.**

**- საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი" ისევ არსებობს?**

- „ბორჯომი", როგორც შპს, ისევ არსებობს და მე ისევ მისი ხელმძღვანელი ვარ. კლუბი ბორჯომის სტადიონის ბაზაზე დაფუძნდა და, შესაბამისად, ამ არენის მესვეურნი ახლაც ჩვენ ვართ. ასე რომ, სტრუქტურულად ჯერაც ვარსებობთ, თანაც, რაღა დაგიმალოთ და, იმედს მაინც არ ვკარგავთ, იქნებ გამოჩნდეს ფირმა ან კომპანია, რომელსაც „ბორჯომის" ბედი დააინტერესებს.

**- ბავშვთა საფეხბურთო გუნდები მაინც თუ ფუნქციონირებს ბორჯომში?**

- დიახ, ოღონდ ისინი არა „ბორჯომს", არამედ ადგილობრივი სასპორტო სკოლის ფეხბურთის სექციას ეკუთვნიან. პატარები შიდა ქართლის პირველობაზე ასპარეზობენ, მოზრდილები კი - ელიტლიგაში. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთ ასაკობრივი ზღვარის გამო გაისად აღარ შეეძლებათ ლიგაში თამაში და, თუ რომელიმე სხვა ქალაქის გუნდში ვერ გადავიდნენ, კარიერის ნაადრევად დასრულება მოუწევთ. ასე დაემართა შარშანდელი გუნდის წევრთა უმრავლესობას. მინიმალური თანხა მაინც რომ გამოჩნდეს, თუნდაც იმის სამყოფი, „ბორჯომმა" მეორე ლიგაში მაინც რომ გაიყვანოს გუნდი, ეს ბიჭები აღარ დაიკარგებიან.

**- უმაღლეს ლიგაში თამაშისას რამდენი ადგილობრივი ფეხბურთელი გყავდათ „ბორჯომში"?**

- ექვსი-შვიდი, ძირითადში კი თედიაშვილი, გოჩაშვილი, გოგიჩაიშვილი და კიკნაძე თამაშობდნენ. მართალია, ძირითადად მოწვეულ ფეხბურთელებს ვეყრდნობოდით, მაგრამ ბორჯომში მოქმედი ბავშვთა გუნდები პერსპექტიულ ფეხბურთელებსაც გვიმზადებდნენ.

**- ბორჯომელი მწვრთნელი კობა თედიაშვილი, რომელიც ერთხანს თქვენს გუნდსაც ედგა სათავეში, ამჟამად უმუშევარია?**

- კობა ბოლოს „მესხეთს" წვრთნიდა. სამწუხაროდ, ახლა დაუსაქმებულია. არადა, მას „ა" კატეგორიის ლიცენზია ჰქონდა, მერე კიევშიც იყო პროლიცენზიის მისაღებად და მგონი, მიიღო კიდეც.

**- ისიც გავიხსენოთ, რომ ერთხანს გუნდში ადგილობრივებზე მეტი უცხოელები გყავდათ და თან არგენტინელები, თუმცა დე პორასისა და სებალეს გარდა თავი ვერც ერთმა დაგვამახსოვრა.**

- მაშინ ევროტურნირებზე გასვლა გვსურდა და არგენტინელები ამიტომ ჩამოვიყვანეთ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ახალბედებმა ზოგი რამ ვერ გავთვალეთ და დასახულის შესრულება ვერ შევძელით. მიუხედავად ამისა, ახალბედა გუნდისთვის მეოთხე ადგილი ურიგო შედეგი არ იყო, თანაც, ალბათ, დამეთანხმებით, რომ კარგ ფეხბურთს ვთამაშობდით.

**- მაშინ ბორჯომის გამგეობა გაფინანსებდათ. ამჟამინდელი ხელმძღვანელები რას ფიქრობენ ...**

- ბორჯომის გამგებელ არჩილ მიქელაძესთან რამდენჯერმე ვისუბრეთ ამ თემაზე. ზოგადად, სურვილი კი აქვთ, რომ გუნდი ჰყავდეთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, მხოლოდ ეს არ კმარა. რაიონის მაშინდელ ბიუჯეტთან შედარებით ახლანდელი ბევრად მცირეა. მე უფრო მინერალური წყლების კომპანიისა მიკვირს, რატომ არ უჩნდება სურვილი, რომ ბორჯომის გუნდს უპატრონოს?

**- უმაღლესი ლიგის მატჩებზე თქვენს სტადიონზე მაყურებელი მრავლად იკრიბებოდა. არ ენატრება ამ ხალხს ფეხბურთი?**

- ენატრებათ რომელია, მათი ნაწილი ახლა ბავშვთა გუნდების თამაშებზეღა დადის. ახლახან პირველლიგელი ხაშურის „ივერია" სტადიონის დატბორვის გამო საშინაო შეხვედრებს ჩვენთან ატარებდა და ბორჯომელები მათ საყურებლად მოდიოდნენ. გულშემატკივრები გვეკითხებიან, როდის აღდგება ჩვენი გუნდიო, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იმედით ვცოცხლობთ.

**ვასილ ბალახაძე**
ბორჯომიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. XVI ტური. წინათქმა

კოლხეთი–გაგრა — 04.12. ლანჩხუთი. ევ.შევარდნაძე 14:00

მეტალურგი–ვიტ ჯორჯია — 04.12. რუსთავი. ფოლადი 14:00

ბაია–სპარტაკი — 04.12. ზუგდიდი. ცენტრალური 14:00

სიონი–ტორპედო — 04.12. ბოლნისი. თ.სტეფანია 14:00

მერანი–ზესტაფონი — 04.12. მარტვილი. ცენტრალური 14:00

დინამო–დილა — Live რეპორტაჟი პირველ არხზე — 04.12. თბილისი. ეროვნული 18:00

## თოვლიანმა ნოემბერმა დეკემბერი დატვირთა

ხვალ XVI ტურის მატჩებია, 7-ში საქართველოს თასის განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები, 11-ში - XVII ტურია, 14-ში - XV ტურის ხუთი გადადებული მატჩი, 18-ში - კი XVIII ტურით საფეხბურთო წელიწადს გავაცილებთ! აი, ასეთი დეკემბერი გველოდება; ოღონდ, იმედია, კვლავაც უამინდობა არ შეგვიშლის ხელს და დარჩენილი ტურ(ებ)იცა თუ სათასო მატჩებიც ფეხბურთისათვის მეტ-ნაკლებად „მისაღებ“ მოედნებზე ჩატარდება...



მე-15 ტურის ერთადერთი მატჩი: გაგრა-ბაია - 0:1

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29 | 14 | 32 |
| 2 | დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 29 | 14 | 29 |
| 3 | ტორპედო | 14 | 9 | 1 | 4 | 17 | 10 | 28 |
| 4 | მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19 | 13 | 26 |
| 5 | მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20 | 15 | 25 |
| 6 | ბაია | 15 | 7 | 2 | 6 | 17 | 12 | 23 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | 20 | 16 |
| 8 | გაგრა | 15 | 4 | 3 | 8 | 13 | 19 | 15 |
| 9 | კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 20 | 13 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 21 | 13 |
| 11 | დილა | 14 | 3 | 2 | 9 | 17 | 23 | 11 |
| 12 | სიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 9 | 24 | 7 |

### ჩემპიონატის რეალური და ვირტუალური ცხრილები 3 დეკემბრისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 7 | 19 |
| 2 | მეტალურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 14 | 9 | 19 |
| 3 | დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 17 | 12 | 14 |
| 4 | მერანი | 9 | 4 | 1 | 4 | 9 | 10 | 13 |
| 5 | ტორპედო | 9 | 4 | 1 | 4 | 6 | 8 | 13 |
| 6 | ბაია | 9 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 10 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 9 | 2 | 2 | 5 | 4 | 12 | 8 |
| 8 | გაგრა | 10 | 2 | 1 | 7 | 7 | 15 | 7 |

● რუსეთის პრემიერლიგა. მიმოხილვა

## განსაკუთრებული სეზონი

დასასრული. დასაწყისი ლელო №284 (13581)



### მეკარე გვყავდა!

... დრო იყო, რუსულ პრემიერლიგაში ყველაზე „ქართულ გუნდად“ მოსკოვის „ლოკომოტივი“ მიიჩნეოდა (ვლადიკავკაზის „ალანიას“ მსგავსად); თუმცა ეს უფრო იმ დროს იყო, როცა რკინიგზელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად **იური სიომინი** მუშაობდა და **ზაზა ჯანაშიას, მალხაზ ასათიანის, გიორგი დემეტრაძისა** თუ **მიხეილ აშვეთიას** თავიანთი საფეხბურთო შესაძლებლობების წარმოჩენაში ხელს უწყობდა. სამწუხაროდ, ამ სეზონში „ლოკომოტივში“ არც ერთი ქართველი აღარ თამაშობს; სამაგიეროდ, ამ გუნდის დუბლშემადგენლობაში სადებიუტო სეზონს ატარებს 18 წლის მცველი **სანდრო ცვეიბა**, - თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, **ახრიკ ცვეიბას** ვაჟი...

ჩემპიონატის დაწყების წინ ბევრი მიიჩნევდა, რომ დაღესტნელი მილიარდერის, **სულეიმან ქერიმოვის** არნახული ხელგაშლილობით დაფინანსებული „ანჟი“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა; თუმცა ვიდრე გუნდის ცნობილი ახალწვეულები ერთმანეთში შეთამაშდებოდნენ, კონკურენტები წინ გაიჭრნენ და მახაჩყალელთა კლუბის ერთადერთი მიზანი, ალბათ, ევროტურნირების საგზურის მოპოვება იქნება. ამ გუნდის „ცნობად“ სახეებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ამჟამად კი რუსულ მედიაში გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ ვის ჩააბარებენ რობერტო კარლოსისა და სამუელ ეტოს გუნდს; **მარჩელო ლიპი, ფაბიო კაპელო, გუუს ჰიდინკი**, - აი, ის არასრული ჩამონათვალი იმ სპეციალისტებისა, „ანჟის“ მწვრთნელობას რომ უწინასწარმეტყველებენ. ისიც რთული სათქმელია, გამოჩნდება თუ არა გუნდის ძირითადში რომელიმე ქართველი ფეხბურთელი: 19 წლის ფორვარდი **გიორგი ილურიძე** ჯერჯერობით დუბლებში ასპარეზობს (19 მატჩი, 4 გოლი), 23 წლის ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი** უზბეკეთშია განათხოვრებული (სადაც, ჩინებული სეზონი გაატარა); აი, რაც შეეხება „ანჟის“ ან უკვე ყოფილ და საქართველოს ნაკრების მეკარეს, 24 წლის **ნუკრი რევიშვილს**, ყველამ ვიცით, რომ გაზაფხულიდან უკვე სხვა გუნდის („კრასნოდარი“) ღირსებას დაიცავს. არადა, თითქმის მთელი სეზონი რევიშვილი „ანჟის“ ძირითადი მეკარე იყო და პრემიერლიგაში თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ; რევიშვილი მართლაც მაღალ დონეზე ასპარეზობდა, რამდენჯერმე სრულიად დამსახურებულადაც მოხვდა „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“. მაგრამ ბოლოს მაინც გუნდის გამოცვლა გადაწყვიტა. ისე, რევიშვილმა 26 მატჩი ჩაატარა და 29 გოლი გაუშვა, რაც ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

რაც შეეხება საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრილ კიდევ ერთ კლუბს, კრასნოდარის „ყუბანის“ არც ძირითადში და არც დუბლებში არც ერთ ქართველს არ უთამაშია.

### მოკრძალებული მისია

მეორე ტურნირში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის მებრძოლი გუნდები, ერთი მონაწილე, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ არის დარჩენილი: „კრასნოდარს“ არც პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება და არც - გათამაშებაში მონაწილეობისა; გამოცდილი სერბი სპეციალისტის, **სლავოლიუბ მუსლინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „კრასნოდარის“ ერთ-ერთი ლიდერია გუნდის კაპიტანი, 29 წლის ცენტრალური მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** - საქართველოს ნაკრებისათვის მართლაც შეუცვლელმა ფეხბურთელმა წლეულს რუსულ პრემიერლიგაში 26 მატჩი ჩაატარა (1 გოლი, 2 საგოლე გადაცემა). ზაფხულამდე ამისულაშვილი ერთადერთი ქართველი იყო „კრასნოდარში“, მერე კი ამ გუნდში **ოთარ მარცვალაძეც** გადმოვიდა (13 მატჩი, 2 გოლი, 2 საგოლე გადაცემა); ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ 27 წლის მარცვალაძემ ჩემპიონატის პირველი ეტაპი ბევრად უფრო შთამბეჭდავად ჩაატარა; იმ პერიოდს ვგულისხმობთ, „ვოლგას“ ნამდვილი ლიდერი რომ იყო (13 მატჩი, 5 გოლი, 2 საგოლე პასი). თუმცა, არავინ უარყოფს, რომ „ვოლგაზე“ ფინანსურად ბევრად უფრო ძლიერ და ამბიციურ „კრასნოდარში“ გადასვლით მარცვალაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კრასნოდარის“ გარდა, დანარჩენ შვიდივე გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენა-არდარჩენის ფაქტობრივად, ერთნაირი შანსი აქვს; ეს ეხება „როსტოვსაც“, „კრილია სოვეტოვსაც“ (ამ გუნდებში არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს) და „ამკარსაც“, სადაც შემოდგომის დასაწყისში... აშშ-ის მოქალაქე, 25 წლის **ზურაბ ცისკარიძე** გამოჩნდა. ამ ათლეტურმა მარცხენა მცველმა „ამკარის“ შემადგენლობაში მხოლოდ 3 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა გუნდის ახალი მწვრთნელი, ჩერნოგორიელი სპეციალისტი **მიოდრაგ ბოჟოვიჩი** საერთოდ აღარ სწყალობს.

საკმაოდ „მძიმე“ გაზაფხული ელოდებათ „ვოლგას“ და ნალჩიკის „სპარტაკს“; ნიჟნი ნოვგოროდელები (ისევე როგორც გათამაშების აუტსაიდერი „ტომი“) ვერც ფინანსური კეთილდღეობით დაიკვეხნიან და ჩვენი რუსი კოლეგების აზრით, სწორედ ეს ორი გუნდი მიიჩნევა კიდეც პირველ ლიგაში დაქვეითების უპირველეს კანდიდატებად. ამასთან, არავინ იცის, რა მდგომარეობა იქნება „ვოლგაში“ მომავალი წლის დასაწყისიდან - მწვრთნელიც (**დიმიტრი ჩერიშევი**) იგივე იქნება თუ არა, ქართველებიდან ვინ დარჩებიან და ასე შემდეგ. არადა, სეზონის დასაწყისში ყველაზე „ქართულ გუნდად“ მიჩნეული „ვოლგა“ ჩვენებურების გარეშე წარმოუდგენელიც იყო: მთავარ მწვრთნელად **ომარ თეთრაძე** მუშაობდა, კლუბის სპორტულ დირექტორად - **მამუკა ჯულელი**, 30 წლის **ლაშა სალუქვაძე**, 28 წლის **გოგიტა გოგუა**, 26 წლის **გოჩა ხოჯავა**, 22 წლის **გია გრიგალავა** და 22 წლის **მათე ვაწაძე** კი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ (აღარაფერს ვამბობთ გუნდის უდავო ლიდერზე, ოთარ მარცვალაძეზე). სამწუხაროდ, მერე და მერე სიტუაცია უარესობისაკენ შეიცვალა - თეთრაძეს წასვლამ მოუწია, ქართველ ფეხბურთელთა უმეტესობა კი ძირითად გუნდს ჩამოაცილეს: წლის ბოლოსკენ რეგულარულად მხოლოდ გრიგალავა (21 მატჩი) და ვაწაძე (20 მატჩი, 1 გოლი, 2 საგოლე პასი) ასპარეზობდნენ. მარცვალაძეზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, „ვოლგას“ დანარჩენი ქართველების მონაგარი კი ასეთია: სალუქვაძემ 15 მატჩი ჩაატარა (1 გოლი გაიტანა), ხოჯავამ - 11 (3 გოლი), გოგუამ - 13 (1 გოლი). ისე, ზაფხულის შემდეგ „ვოლგას“ ქართული „დიასპორა“ მაინც გაიზარდა: გუნდში ჩაირიცხა 24 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** (5 მატჩი).

ბოლო წლებში ერთ-ერთი წარუმატებელი სეზონი ჰქონდა ნალჩიკის „სპარტაკს“: ფაქტია, რომ **იური კრასნოჟანის** წასვლის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვერც ერთმა სპეციალისტმა ვერ გაამართლა. რაც შეეხება ნალჩიკელთა ჩვენებურებს, 30 წლის **დავით სირაძემ** 24 მატჩი ჩაატარა (2 გოლი), ხოლო რუსეთის მოქალაქემ, 24 წლის ნახევარმცველმა **ელგუჯა რუხაიამ** - 13.

რომელი გუნდიღა დაგვრჩა? რომელი და... კარგად „გაპიარებული“ გროზნოს „ტერეკი“, სადაც ესპანელმა სპეციალისტმა **ვიქტორ მუნიოსმა** ისე დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი, გუნდს მისი ხელმძღვანელობით არც ერთი ოფიციალური კი არა, საკონტროლო მატჩიც არ ჩაუტარებია; არ გაამართლა წარსულში სახელოვანი ჰოლანდიელი ფეხბურთელის **რუუდ გულიტის** დანიშვნამაც, - ისიც მალე გაათავისუფლეს, მერე მისი შემცვლელიც (**ისა ბაიტიევი**), წლის ბოლოს კი გროზნოელთა გუნდი მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს **სტანისლავ ჩერჩესოვს** ჩააბარეს. „ტერეკი“ კი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ამ გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად 31 წლის **ლევან გვაზავა** მიიჩნევა (22 მატჩი); მაგრამ, რად გინდა - ამ ფუტკარივით მუშა და ამასთან, მოაზროვნე ფეხბურთელს... საქართველოს ნაკრებში მაინც ვერ ვიყენებთ; მიზეზი კი რუსული პასპორტია - გვაზავა იმ ქვეყნის მოქალაქეა, ისე როგორც „ტერეკის“ დუბლშემადგენლობაში მოასპარეზე 18 წლის თავდამსხმელი **ასლან ტოხოსაშვილი**...

**გია ტუხაშვილი**



დავით სირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XVI ტურის წინ

# სწორება ევროპისკენ

| გუშინ | |
|---|---|
| კანი-მარსელი | 1:2 |
| **დღეს** | |
| აიაჩო-ლილი | 22:00 |
| ბრესტი-სტ. ეტიენი | 22:00 |
| დიჟონი-სოშო | 22:00 |
| ევიანი-ვალანსიენი | 22:00 |
| მონპელიე-ლორიანი | 22:00 |
| ნიცა-რენი | 24:00 |
| **ხვალ** | |
| ბორდო-ნანსი | 20:00 |
| პარი სენ-ჟერმენი-ოსერი | 20:00 |
| ლიონი-ტულუზი | 24:00 |

პარასკევ საღამოს ლიგა 1-ის მატჩები, როგორც წესი, არ ტარდება ხოლმე, მაგრამ ყველა წესს რომ გამონაკლისი აქვს, ალბათ, მოგეხსენებათ. "მარსელმა" ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ითხოვა "კანთან" 3 დეკემბერს გასვლაზე დანიშნული მატჩის 24 საათით ადრე გადაწევა, რათა ჩემპიონთა ლიგაში "დორტმუნდთან" გადამწყვეტი მატჩისთვის ძალების ალსადგენად მეტი დრო მისცემოდა. პროფესიულმა ლიგამ ვიცე-ჩემპიონთა თხოვნა გაითვალისწინა. ანალოგიური თხოვნა ცოტა უფრო ადრე "ლილს" დაუკმაყოფილეს, რითაც "ძაღლებმა" მშვენივრად ისარგებლეს - დასვენებულებმა ცსკა-ს მოსკოვში 2:0 მოუგეს. ფრანგებს უშუალოდ გერმანელებთან სანერვიულო მაინცდამაინც არაფერი აქვთ. პროვანსელებმა იმდენი უნდა "მოახერხონ", რომ ოთხი ბურთით არ წააგონ. თუმცა საფრთხე "ოლიმპიაკოსის" მხრიდანაა. თუკი ბერძნებმა უმოტივაციო "არსენალს" მოუგეს, ხოლო "მარსელმა" ქულაზე მეტი ვერ აილო, ის ევროპის ლიგაზე გადაერთვება. მოკლედ, "ოლიმპიკი" გერმანიაში მოსაგებად მიდის.

ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი მონაწილე "ლიონი" კვირას ღამის მატჩში "ტულუზს" უმასპინძლებს. **რემი გარდის** გუნდმა მე-15 ტურში "ოსერს" მოუგო და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს ფერფლიდან აღდგაო. დიდებულად გაისარჯა **ლისანდრო ლოპესი**, ვინც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. არგენტინელმა დუბლი შეასრულა. კარგად გამოიყურებოდა "აბე დეშამზე" **მიშელ ბასტოსიც**. ბრაზილიელმა მასპინძლებს მესამე გოლი გაუტანა.


მატიე დებიუში აიაჩოს 6 წლის შემდეგ დაუპირისპირდება

"ოსერთან" ვერ იასპარეზა, მაგრამ ხვალ აუცილებლად ითამაშებს **მაქსიმ გონალონიც**. მასპინძელთა სასარგებლოდ მეტყველებს სტატისტიკაც. "ლიონმა" "ტულუზთან" შინ უკანასკნელად 60-იან წლებში წააგო. ისტორიას თავი დავანებოთ და სტუმარი გუნდი ზედიზედ ოთხი გასვლითი მატჩია ვერ იგებს, აქედან სამჯერ გოლიც ვერ გაიტანა. რა შანსი უნდა ჰქონდეს მას ბრწყინვალე ფორმაში მყოფ "ლომებთან", ძნელი სათქმელია.

ჩემპიონი "ლილი" აუტსაიდერ "აიაჩოს" სტუმრობს, თუმცა ეჭვი გვაქვს, რომ ისიც უფრო "ტრაბზონსპორთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ფიქრობს. "ძაღლები" კორსიკას უკანასკნელად 2005 წელს ეწვივნენ და 3:3 ითამაშეს. მაშინ თავის გუნდს ბოლო წუთზე ქულა **მატიე დებიუშიმ** მოუტანა. ის ახლაც ფორმაშია და მზადაა **ოლივიე პანტალონის** გუნდთან საბრძოლველად. ჩემპიონთა მარჯვენა მცველი მისი ამპლუიდან გამომდინარე წელს უჩვეულოდ შედეგიანად თამაშობს – 12 თამაშში მის ანგარიშზე 3 გოლია. დებიუშის თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენია **ლორან ბლანს**. საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი ფეხბურთელს ამერიკის ნაკრებთან ჰქონდა.

ფრანგული ფეხბურთის სტატისტიკოსებმა თავიანთ დავთრებს ჩახედეს და შემდეგი დასკვნა დადეს: ბოლო 5 სეზონის განმავლობაში ლიგა 1-ის 15 ტურის შემდეგ სამეულში მყოფი რომელილაც გუნდი ჩემპიონატის ბოლოს აუცილებლად რჩებოდა ჩემპიონთა ლიგის მიღმა. ამჟამად სამეულში "მონპელიე", პსჟ და "ლილი" არიან. დასკვნის გაკეთება სტატისტიკის საქმე არ არის, მაგრამ მინიშნება გასაგებია. რაც არ უნდა ბევრი ვილაპარაკოთ დედაქალაქელთა კრიზისზე, რაც უნდა დიდი ძალები წაართვას ლიგამ "ლილს", ამ ორ გუნდს მაინც მეტი შანსი ექნება ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მოსახვედრად. როგორც ჩანს, ამ აზრს "მონპელიეს" დამრიგებელი **რენე ჟირარიც** იზიარებს. აი, რა თქვა მან: *"ჩემპიონობაზე ნამდვილად არ ვფიქრობთ. ჩვენ ყოველ შეხვედრაში ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ და აქედან რა გამოვა, ყველანი ერთად მაისის შუა რიცხვებში ვნახავთ. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჩვენ წინაშე ლიგა 1-ში დარჩენის საკითხი აღარ დგას, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, პატივს ვცემ ჩემს ბიჭებს და მათი ბოლომდე მჯერა, მაგრამ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა გაუჭირდებათ. რა შედეგი დაგვაკმაყოფილებს? კარგი იქნება, თუკი ევროთასების ზონაში მოვხვდებით. ამისთვის მეხუთე ადგილის ქვემოთ არ უნდა დავეშვათ"*.

და რა შეიძლება ითქვას ლამის უკვე ყველა ფრონტზე შერცხვენილ "პარი სენ-ჟერმენზე"? ხუთშაბათს "ლურჯ-წითლები" ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ და თანაც ისე, რომ ერთხელაც ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. წაგებათა ასეთი სერია გუნდს უკანასკნელად 2009 წელს ჰქონდა. **ანტუან კომბუარემ** თავისი ბედი, როგორც ჩანს, თავადვე გამოჭედა. დედაქალაქელები უკვე 1,5 თვეზე მეტია კრიზისში არიან, ბოლო 9 შეხვედრაში გუნდს 4 წაგება და 2 ფრე აქვს, მწვრთნელი კი ვერაფერს ახერხებს. ჩვენი ვარაუდით, მას იანვარშივე გაუშვებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 15 | 10 | 3 | 2 | 32-17 | 33 |
| 2. პარი სენ-ჟერმენი | 15 | 9 | 3 | 3 | 26-15 | 30 |
| 3. ლილი | 15 | 7 | 7 | 1 | 24-13 | 28 |
| 4. რენი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-19 | 28 |
| 5. ლიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 25-17 | 26 |
| 6. ტულუზი | 15 | 7 | 5 | 3 | 15-12 | 26 |
| 7. მარსელი | 16 | 6 | 6 | 4 | 22-16 | 24 |
| 8. ლორიანი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-14 | 23 |
| 9. სტ. ეტიენი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-17 | 23 |
| 10. კანი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-25 | 19 |
| 11. სოშო | 15 | 4 | 5 | 6 | 21-30 | 17 |
| 12. დიჟონი | 15 | 5 | 2 | 8 | 17-29 | 17 |
| 13. ევიანი | 15 | 3 | 7 | 5 | 19-22 | 16 |
| 14. ბორდო | 15 | 3 | 7 | 5 | 17-21 | 16 |
| 15. ბრესტი | 15 | 2 | 9 | 4 | 15-16 | 15 |
| 16. ოსერი | 15 | 3 | 6 | 6 | 20-23 | 15 |
| 17. ვალანსიენი | 15 | 3 | 5 | 7 | 15-17 | 14 |
| 18. ნანსი | 15 | 3 | 5 | 7 | 12-18 | 14 |
| 19. ნიცა | 15 | 2 | 5 | 8 | 12-17 | 11 |
| 20. აიაჩო | 15 | 1 | 5 | 9 | 13-31 | 8 |

ამბები

## მზად არ არის

**რივალდომ** "სან პაულოს" დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც კლუბმა მთავარ მწვრთნელ **ემერსონ ლეაოსთან** კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ბრაზილიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ოქტომბერში დაინიშნა "სან პაულოში" და მას შემდეგ "პენტაკამპეონთა" ყოფილ ვარსკვლავს არ ათამაშებს. აი, რას აცხადებს 39 წლის ვარსკვლავი: *"ჯერჯერობით ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ. ამისთვის ჯერ მზად არ ვარ. აქტიურ კარიერას მინიმუმ 2012 წლის ბოლომდე არ დავასრულებ"*.

## დასვენება ათი მატჩით

"ფლუმინენსეს" თავდამსხმელ **რაფაელ მოურას** ფლამენგოელი **რენატო აბრეუს** შეფურთხებისთვის 10 მატჩით მოუწევს "დასვენება". აღსანიშნავია, რომ მსაჯ **ფელიპე გომეშს** მისი საქციელი შეუმჩნეველი დარჩა. ამას გარდა 5 შეხვედრას გამოტოვებს "ფლუს" დამრიგებელი **აბელ ბრაგა**. ეს უკანასკნელი არბიტრის მითითებას არ დაემორჩილა, გაძევების შემდეგ ტრიბუნებზე დაჯდომა იუკადრისა და მწვრთნელისთვის განკუთვნილი სპეციალური ზონის დატოვებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. აღნიშნული მატჩი 9 ოქტომბერს ჩატარდა ("ფლამენგოს" სასარგებლოდ), გადაწყვეტილება კი ფედერაციამ ლამის 2 თვის შემდეგ მიიღო.

ფიფა

# ფიფას მიწეს ერთი ქულა


ტრანსპარანსი ინტერნეშენელის სპორტული კონსულტანტი სილვი შენკი

ფიფა და კორუფცია ბოლო წლებში ერთად ხშირად ხდება განხილვის თემა, რაც ამ ორგანიზაციის ავტორიტეტზე დამღუპველად მოქმედებს. ის, რაც ამ დღეებში მოხდა, უკვე მეტისმეტია, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ტრანსპარანსი ინტერნეშენელმა" (ითარგმნება, როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა) მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა შეწყვიტა. მოკლედ მოგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი. ის 1993 წელს მსოფლიო ბანკის ყოფილმა დირექტორმა **პეტერ აიგენმა** დააარსა და მისი უმთავრესი მიზანი მსოფლიოში სწორედ კორუფციის დონის შესწავლაა. ორგანიზაციის სპორტულმა კონსულტანტმა **სილვი შენკმა** (ყოფილი მორბენალი, ესტაფეტაში 1972 წლის ოლიმპიადის მონაწილე, ყოფილი ველომრბოლი, გერმანიის ველორბოლის ფედერაციის ექსპრეზიდენტი, სამშობლოში საკმაოდ ცნობილი ადვოკატი, რომელიც ძირითადად ანტიდოპინგურ საქმეებზე მუშაობს) ეს ნაბიჯი შემდეგნაირად ახსნა: ფიფას მიერ შექმნილი წინააღმდეგობების გამო, მის სახელთან დაკავშირებული კორუფციული გარიგებების გამოძიების საქმეში და... **ზეპ ბლატერის** მიერ შვეიცარიელი იურისტის, ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის **მარკ პითის** ორგანიზაციაში ანაზღაურებად სპეციალისტად მიწვევა. არადა, ფიფას ბოსს მრავალჯერ განუცხადებია, ტი-თან ნაყოფიერი თანამშრომლობის დიდი იმედი მაქვსო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ციურიხის ოფისში მხარეებმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

*"მათ ჩვენი რეკომენდაციები საერთოდ არ გაითვალისწინეს. უბრალოდ შოკირებული ვარ. მართლა ვერაფერს ვიგებ. ახლა უფრო მეტად დავინტერესდებით ფიფას ყოველდღიურობით. ნებისმიერ შემთხვევაში მოხარული ვარ, რომ ამ გაუგებრობაში ჩვენ მონაწილეობას აღარ მივიღებთ. ვითხოვეთ, რომ მსოფლიოს 2018 და 2022 წლების ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების არჩევნების საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის უფლება მოეცათ, ამაზე დაგვთანხმდნენ, მაგრამ უარი მივიღეთ უფრო ძველი საქმეების გამოძიებაზე. თუკი ასეთი მიდგომა არ შეიცვლება, ფესვი უვნებელი დარჩება და პრობლემას ვერაფერს მოვუხერხებთ. რაც შეეხება ჰერ პითს, რაკი ანაზღაურებას ის სწორედ ამ ორგანიზაციიდან იღებს, ჩვენ ვერ ვენდობით მისი დამოუკიდებლობის ხარისხს. მან პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტია, ასწავლოს ადამიანებს, რომ შავი ფული აღარ გააკეთონ მომავალში და არა ის, რომ უკვე კორუმპირებული ადამიანების საქმე სასამართლომდე მივიდეს,"* – განაცხადა სილვი შენკმა.

კომენტარი გააკეთა კონტრაქტის გაწყვეტის ერთ-ერთმა მიზეზმა, ფიფას რეფორმების კომიტეტის ხელმძღვანელმა **მარკ პითმა**. ის ჯერაც იმედოვნებს, რომ ავტორიტეტული ორგანიზაცია მათთან ყოველგვარ კონტაქტს არ გაწყვეტს: *"რა თქმა უნდა, ყველას სურს გვერდით ისეთი ადამიანი ჰყავდეს, რომელსაც ბოლომდე ენდობა, მაგრამ ასეთ ადამიანებსაც უნდა გადაუხადო ხელფასი. არ მესმის, რა პრობლემას ქმნის ჩემი ანაზღაურება. იმედს ვიტოვებ, რომ "ტრანსპარენსი ინტერნეშენელი" ჩვენ გვერდით მაინც დარჩება, თუნდაც როგორც დამკვირვებელი ან კრიტიკოსი. მიმაჩნია, რომ მისი დახმარება ძალიან გვჭირდება"*.

ამბები

## სხვანაირი მარსელი დორტმუნდში

**გერმანიაში** კანონით ტოტალიზატორების რეკლამა აკრძალულია, შესაბამისად, "მარსელს", ვისი გენერალური სპონსორიც "ბეტკლიკია", ფორმის გამოცვლა მოუწევს. უეფას ახალ რეგლამენტში მსგავსი შემთხვევა გათვალისწინებულია. ის უფლებას აძლევს კლუბს, ჩვეული სარეკლამო წარწერის ნაცვლად ერთი მატჩით რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციის რეკლამა გააკეთოს. "ბეტკლიკმა" "მარსელს" პრობლემიდან მარტივი გამოსავალი შესთავაზა – "ოლიმპიკი" "დორტმუნდის" წინააღმდეგ Neuf De Coeur–ის (ბანქოს 9-იან გულს ნიშნავს) ეწერება. *"მთელი სულითა და გულით ვუხდი მადლობას კომპანია "ბეტკლიკს" ამ მშვენიერი ჟესტისთვის. მადლობას ვეუბნები ასევე კლუბსაც, რომელიც ჩემს საქველმოქმედო ფონდს ამხელა რეკლამას გაუკეთებს,"* – განაცხადა ფონდის დამაარსებელმა, "მარსელის", "მილანისა" და "ბაიერნის" ყოფილმა ვარსკვლავმა **ჟან-პიერ პაპენმა**.

## სკანდალი ნორვეგიაში

**"როიტერის"** ცნობით, ნორვეგიელმა სამართალდამცავებმა ფეხბურთთან დაკავშირებული საქმის გამოძიება დაიწყეს. პოლიციამ უკვე დააკავა და დაკითხა "ვალერენგასა" და "სტაბეკის" სპორტული დირექტორები და მათ ბრალდება წაუყენა. ამ ეტაპზე მხოლოდ ისინი სარგებლობენ ამ სტატუსით. ჩხრეკა ჩატარდა კლუბების ოფისებშიც, საიდანაც კომპიუტერები და მყარი დისკები ამოიღეს. გამოძიების შემდგომ ეტაპზე გამოჩნდება, იყვნენ თუ არა საქმეში ჩართული ამ კლუბების სხვა ფუნქციონერებიც. საქმე "სტაბეკიდან" "ვალერენგაში" **პოლ გუნარსონის** ტრანსფერს ეხება. გამოძიების მტკიცებით, კლუბებმა დამალეს ფეხბურთელის რეალური ღირებულება, რათა გადასახადებისთვის თავი აერიდებინათ. ბრალდებულები გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტურის წინ

# და მაინც: რომელი ბორუსია ჯობია?

## კარგი ფეხბურთი მიონხენგლადბახში და ბუნდესლიგის კლასიკა მიუნხენში

**გუშინ**

**ლევერკუზენი–ჰოფენჰაიმი 2:0**

**დღეს**

**ბაიერნი–ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ტიმოშჩუკი (ბაიერნი)

**ტრავმა:** ბრენო, შვაინშტაიგერი – ბიონიში, სილვესტრი, ბოროვსკი, ა. სტევანოვიჩი, ავდიჩი

**ფრაიბურგი–ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბართი, მუიჯა, აბდესადკი, ბიკელი, როზენტალი – ანდრეასენი, კარლიტოსი, ჰაუგერი

**კაიზერსლაუტერნი–ჰერტა 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** შიმუნეკი, ვერმუთი, მიჩანსკი (ყველა კაიზერსლაუტერნი)

**ვოლფსბურგი–მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰელმესი - პოლანსკი

**ტრავმა:** ჰიტცლშპერგერი – ნოვესკი, რისსე, სალაი

**ბორუსია (მ)–ბორუსია (დ) 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კინგი – კოხი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი

**შტუტგარტი–კიოლნი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჩელოცი, დელპიერი, აუდელი, შიბერი – ანდრეზინიო, პეტიტი, ნოვაკოვიჩი

**ხვალ**

**ჰამბურგი–ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** შტეპანეკი, არსლანი, კასტელენი, სალა, ბერგი, პეტრიჩი – ნილსონი, პინოლა, ბუნიაკუ

**შალკე–აუგსბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** პაპადოპულოსი, ჯონსი (ორივე შალკე)

**ტრავმა:** ფერმანი, ჰუგლანდი, ყენია, კლუგე, ფარფანი – იენტცში, ბელინგჰაუზენი, დე იონგი, მიორლე, ბა, მ. ნდიენგი, ნებელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 14 | 9 | 2 | 3 | 29:9 | 29 |
| 2. ბორუსია (მ) | 14 | 9 | 2 | 3 | 23:9 | 29 |
| 3. ბაიერნი | 14 | 9 | 1 | 4 | 34:8 | 28 |
| 4. ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 25:21 | 26 |
| 5. შალკე | 14 | 8 | 1 | 5 | 28:20 | 25 |
| 6. ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 22:19 | 25 |
| 7. შტუტგარტი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:15 | 21 |
| 8. ჰანოვერი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:22 | 20 |
| 9. ჰერტა | 14 | 4 | 6 | 4 | 21:22 | 18 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:18 | 18 |
| 11. კიოლნი | 13 | 5 | 1 | 7 | 20:29 | 16 |
| 12. ვოლფსბურგი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:28 | 16 |
| 13. მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 19:25 | 15 |
| 14. ნიურნბერგი | 14 | 4 | 3 | 7 | 14:24 | 15 |
| 15. ჰამბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 18:26 | 14 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 14 | 3 | 4 | 7 | 10:18 | 13 |
| 17. ფრაიბურგი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:30 | 12 |
| 18. აუგსბურგი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:24 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 – გომესი (ბაიერნი); 12 – ჰუნტელაარი (შალკე); 11 – პისარო (ვერდერი); 10 – როისი (ბორუსია მ); 9 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), პოდოლსკი (კიოლნი), აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი); 7 – მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი).

პრინციპში, ეს შაბათი წინა შაბათს ფაქტობრივად არაფრით ჩამოუვარდება, რადგან გერმანიაში დღესაც ორი სუპერდუელია: „ბორუსიების" ჯახი მიონხენგლადბახში და ბუნდესლიგის კლასიკა – „ბაიერნი"-„ვერდერი". საინტერესო კი ის არის, რომ „ბორუსიები" სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან, „ვერდერი" მეოთხე ადგილზეა, „ბაიერნი" კი – მესამეზე. ხვალ, „ჰამბურგსა" და „ნიურნბერგს" შორის უაღრესად პრინციპული დაპირისპირებაა, აუტსაიდერ „აუგსბურგს" კი გელზენკირხენში გაძლება ძალიან გაუჭირდება.

### ზედიზედ მეორე სუპერშაბათი

„ბორუსია-პარკზე" დაგეგმილი მატჩი, რომელშიც ერთმანეთს მეორე და პირველადგილოსანი სეხნიები ხვდებიან, ტურის მთავარი მოვლენაა. „გლადბახიცა" და „დორტმუნდიც" რამდენიმე კვირაა შესანიშნავ ფორმაში არიან, რაც დასტურდება კიდეც იმით, რომ 14 ტურის შემდეგ ორივე „ბორუსიას" ყველაზე მეტი ქულა აქვს, მიონხენგლადბახელები კი მოქმედ ჩემპიონს მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩებიან. ეს თამაში დღესდღეობით გერმანიაში ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების, **მარკო როისის** (გლადბახი) და **მარიო გიოტცეს** (დორტმუნდი) დუელიცაა და ჩვენთვის, მაყურებლებისთვის ძალიან ცუდი იქნება, თუ დღეს როისი მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს. საქმე იმაშია, რომ ამ სეზონში 10 გოლის გამტან მარკოს მცირე ტრავმა აწუხებდა და გუშინ სალამომდე მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. იმედია, როისი თამაშს შეძლებს – წინაალმდეგ შემთხვევაში, უაღრესად საინტერესო მატჩს ხიბლი გარკვეულწილად დაეკარგება, რადგან „გლადბახი" როისის გარეშე ბევრს ვერაფერს წარმოადგენს.

დორტმუნდის „ბორუსიას" კი ზედიზედ მესამე ურთულესი მატჩი უწევს, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ წინა ორი ბარიერი BVB-მ იდეალურად გადალახა – ჯერ „ბაიერნს" მოუგო (მიუნხენში 1:0), მერე კი მოსისხლე მტერი „შალკეც" დაამარცხა (2:0). საერთოდაც, **იურგენ კლოპის** გუნდს ბოლო რვა თამაშიდან შვიდი მოგებული აქვს (ერთი ფრე). აღსანიშნავია, რომ „ბორუსიებს" ერთმანეთში თამაშების მიხედვით აბსოლუტური თანაფარდობა აქვთ – 26-26-26. ბურთების შეფარდებით კი „გლადბახს" მცირე უპირატესობა აქვს: 135-127.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი, არანგო – როისი – ჰანკე.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – ლაიტნერი, კელი – ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, გიოტცე – ბარიოსი.

„დორტმუნდთან" განცდილი მარცხის შემდეგ, „ბაიერნის" მიერ დასახული მიზანი, ზამთრის შესვენებამდე ოთხივე თამაში მოეგო, უკვე მაკულატურაა, რადგან მიუნხენელები წინა ტურშიც დამარცხდნენ (2:3 მაინცთან) და ლიდერობაც დაკარგეს. ასე რომ, ძველ მტერთან გამარჯვება რეკორდმაისტერისთვის უბრალოდ აუცილებელია – წინაალმდეგ შემთხვევაში, „ზებენერშტრასეზე" მონასტერი უკვე მაგრად აირევა. ფაქტია, რომ „ბაიერნის" უკანა ხაზმა სტაბილურობა დაკარგა, წინა ხაზი კი ველარ არის ისეთი შედეგიანი, როგორიც სეზონის დასაწყისში იყო და თუ **იუპ ჰაინკესის** გუნდი სასწრაფოდ არ გამოსწორდება, „ბაიერნი" პირველ წრეს ნამდვილად ვერ მოიგებს. „ვერდერთან" შეხვედრაში კითხვის ნიშნის ქვეშაა **მარიო გომესის** თამაში და გარდა ამისა, საკითხავია, ჰაინკესი **არიენ რობენს** ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დატოვებს, თუ ძირითადში გაამწესებს.

ასეთი უპასუხო კითხვა „ვერდერშიც" არსებობს – დიდი შანსია, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა ბრემენელებსაც დააკლდეთ. მართალია, **კლაუდიო პისარო** გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც განაახლა, მაგრამ შესაძლოა, მისთვის თავიდან ბოლომდე თამაში იმდენად სარისკო იყოს, რომ მწვრთნელმა **თომას შააფმა** პერუელის სასტარტოში გამწესება ვერ გაბედოს. სამაგიეროდ, „ვერდერს" ნამდვილად დააკლდება მეკარე **ტიმ ვიზე**, რომელსაც ამ კვირაში მამა გარდაეცვალა. აღსანიშნავია, რომ „ვერდერი" მიუნხენში ბოლო ხუთ შეხვედრაში არ დამარცხებულა – 1 მოგება, 4 ფრე.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, კროოსი – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი (ან ოლიჩი).

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი – სოკრატისი, ვოლფი, ნალდო, იგნიოვსკი – ბარგფრედე – ფრიტცი, ჰანტი – მარინი – არნაუტოვიჩი, პისარო (ან როზენბერგი).

### ჰანოვერი ფრაიბურგში, ჰერტა ეშმაკებთან

„ფრაიბურგი" და „კაიზერსლაუტერნი" ამ ტურში საკუთარ მოედნებზე თამაშობენ და თანაც, გრანდებს არ ეთამაშებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გასავარდნი ზონის დატოვებისთვის ორივე გუნდი მედგრად იბრძოლებს – „ფრაი" მე-17 ადგილზეა, „ლაუტერნი" კი - მე-16 პოზიციაზე. „ფრაიბურგი" „ჰანოვერს" მასპინძლობს – გუნდს, რომელმაც შუა კვირაში ევროპის ლიგაში ითამაშა (0:2 სტანდარდთან), „კაიზერსლაუტერნი" კი „ჰერტას" მიიღებს. „წითელი ეშმაკები" წინა ტურში ნიურნბერგში დამარცხდნენ (0:1) და სასწრაფოდ სიტუაციის გაუმჯობესება სჭირდებათ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ლაუტერნს" გოლების გატანა ძალიან უჭირს – ამ გუნდს 14 ტურში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 10 გოლი აქვს გატანილი. ბერლინის „ჰერტა" ცხრილის შუაშია დამკვიდრებული.

### რას შემოგვთავაზებს ვოლფსბურგი?

„ვოლფსბურგი" მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური გუნდია – „მგლებმა" „ჰანოვერთან" დამაჯერებელ გამარჯვებას (4:1) აუტსაიდერ „აუგსბურგთან" წაგება (0:2) მოაყოლა. საინტერესო ის არის, რომ ამ სეზონში „ვოლფებს" ასეთი რამ პირველად არ დაემართათ. პირველი წრის ბოლომდე **ფელიქს მაგათის** გუნდს საკუთარ მოედანზე კიდევ ორი თამაში უწევს და კაპიტანი **კრისტიან ტრეში** ამბობს, ორივე უნდა მოვიგოთო. პირველ საშინაო გამარჯვებას ვოლფსბურგელები დღეს, „მაინცთან" გეგმავენ, რაც ნამდვილად არ იქნება იოლი, რადგან „მაინცი" ის გუნდია, წინა ტურში „ბაიერნის" დამარცხებით (3:2) დიდი სენსაცია რომ გამოაცხო, თავდაჯერებაც მოიმატა და თანაც, „მაინცს" „ვოლფსბურგთან" კარგი მოგონებები აკავშირებს: გასულ სეზონში „ფოლკსვაგენ-არენაზე" მაინცელები 0:3-ს აგებდნენ და საბოლოოდ 4:3 მოიგეს.

სალამოს მატჩში კი „შტუტგარტს" „კიოლნთან" ექნება საქმე. შვაბები დიდი ხანია, ერთ ადგილს ტკეპნიან (მხოლოდ ერთი მოგება ბოლო ხუთ თამაშში) და „ვოლფსბურგის" დარად ასევე ძალიან არასტაბილურ „კიოლნთან" გამარჯვებაც უნდა გაუჭირდეთ. „თხები" წინა ტურში საკუთარ მოედანზე „გლადბახთან" განადგურდნენ (0:3). **ლუკას პოდოლსკის** თამაში საეჭვო იყო, მაგრამ პოლდიმ გამოჯანმრთელება მოასწრო და მოედანზე გასვლა შეუძლია.

### ტრადიციული დაპირისპირება ჰამბურგში

გააგრძელებს **ტორსტენ ფინკი** წარმატებულ სერიას „ნიურნბერგთან"? – ეს ხვალინდელი პირველი მატჩის მთავარი კითხვაა. ამ მწვრთნელის ხელში ჩრდილოგერმანულ კლუბს ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, თუმცა ამ ხუთი შეხვედრიდან HSV-მ მხოლოდ ერთი მოიგო. თუ ჰამბურგელები გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგსაც" დაამარცხებენ, გასავარდნ ზონას გვარიანად მოშორდებიან. ჩრდილოელებს **მლადენ პეტრიჩი** გამოუჯანმრთელდათ, მაგრამ შესაძლოა, ფინკმა მისი ძირითად შემადგენლობაში გამწესება ვერ გარისკოს. აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგი" „ნიურნბერგისთვის" საშიში მეტოქეა – ფრანკებმა HSV-ს ბოლო 20-დან მხოლოდ ორი მოუგეს (ხუთი ფრე, 13 წაგება).

### შალკე სამ ქულას გეგმავს

„შალკეს" მიზანი რურის დერბიში განცდილი მტკივნეული მარცხის (0:2) სწრაფად დავიწყებაა. გელზენკირხენელებმა ევროპის ლიგაში ხასიათი გამოისწორეს და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს, ახლა კი „აუგსბურგთან" სამ ქულას გეგმავენ.



გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები ერთმანეთის წინაალმდეგ: მარიო გიოტცე (დორტმუნდი) და მარკო როისი (გლადბახი)

● შალკე



# რაული უდაბნოში?

## ვეტერან ესპანელს ყატარში ეპატიჟებიან

„შალკეს" ხელმძღვანელებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ, სად გაივლის გუნდი ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას – ეს 4-დან 12 იანვრამდე ყატარში მოხდება, **რაულისთვის** კი, შესაძლოა, ეს მოგზაურობა ჩვეულებრივ შეკრებაზე მეტი გამოდგეს. საქმე იმაშია, რომ 34 წლის ესპანელ თავდამსხმელს ყატარში ფეხბურთის სათამაშოდ ეპატიჟებიან და ცხადია, ასტრონომიულ ხელფასსაც ჰპირდებიან.

გონსალეს ბლანკოს „შალკესთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება. ესპანური გაზეთი „მარკა" წერს, რომ მას ევროპიდან არაერთი შეთავაზება აქვს, მაგრამ საუკეთესო წინადადება ყატარიდან მიიღო. შეიხები მზად არიან, რაულს ძალიან მაღალი ხელფასი შესთავაზონ. გელზენკირხენში მისი ხელფასი დღესდღეობით წელიწადში 7 მილიონი ევროა და ამ თანხიდან 2 მილიონს დღემდე მადრიდის „რეალი" უხდის. საინტერესო ისაა, რომ მადრიდულ გრანდს ეს ვალდებულება მხოლოდ ზაფხულამდე აკისრია, „შალკე" კი რაულისთვის წელიწადში 7 მილიონის გადახდას ყოყმანობს, რის გამოც ესპანელს ახალი კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია.

გელზენკირხენული კლუბის მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** რაულთან მოლაპარაკებების დაწყებას იანვარში გეგმავს. თავად რაული აქამდე ყოველთვის ამბობდა, ჯერ არ დამდგარა იმის დრო, რომ კლუბის შეფებთან ჩემი მომავლის შესახებ ვისაუბროო...

● ჰერტა

# ლასოგა ბერლინს აგიჟებს

## ის უფრო ეფექტურია, ვიდრე მარიო გომესი

ბერლინელებს ახალი გმირი ჰყავთ – „ჰერტას" ახალგაზრდა თავდამსხმელი **პიერ-მიშელ ლასოგა**. ის ძალიან ჰგავს **ლისანდრო ლოპესს**, მხოლოდ 19 წლისაა და პირველ ბუნდესლიგაში მხოლოდ 12 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ გოლები გააქვს და თანაც ისე, თითქოს დიდი ხანია, ამ საქმით იყოს დაკავებული. მის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 6 გოლია და მართალია, ეს არ არის გადასარევი შედეგი, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლასოგა „ჰერტაში" თამაშობს და არა ვთქვათ მიუნხენის „ბაიერნში". ერთ-ერთი სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით კი, ლასოგა სულაც „ბაიერნის" გოლეადორ **მარიო გომესს** ჯობნის!

სუპერმარიოს ანგარიშზე 13 გოლია, მაგრამ მას ამ 13 გოლის გასატანად გაცილებით მეტი მცდელობა დასჭირდა, ვიდრე ლასოგას თავისი 6 გოლისთვის, მეტი სიზუსტისთვის: გომესს ერთი გოლის გასატანად საშუალოდ 3.62 დარტყმა სჭირდება, ლასოგას კი მხოლოდ 2.67 დარტყმა. ამ მხრივ, ბერლინელზე უკეთესი შედეგები ბუნდესლიგაში მხოლოდ შალკელ **კლაას-იან ჰუნტელაარს** (2.58) და ჰანოვერელ **მოჰამედ აბდელაუს** (2.38) აქვთ.

„საქმეები ძალიან კარგად წამივიდა, მაგრამ ეიფორიაში არ ვვარდები. უბრალოდ, მოედანზე გავდივარ და ფეხბურთს ვთამაშობ. ზოგადად თავს არ ვიწნეხავ იმაზე ფიქრით, რომ ამდენი და ამდენი გოლი უნდა გავიტანო. ვფიქრობ, ამიტომაც გამაქვს გოლები," - აცხადებს **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი ლასოგა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტურის წინ

# თუ წმინდა ჯეიმსი არ გაუწყრებათ

**დღეს**

**ნიუკასლი-ჩელსი 16:45**

ტრავმა: ბესტი, ტიოტე, მარვო - ესიენი
დისკვალიფიკაცია: ხონასი (ნიუკ)

**ბლექბერნი-სუონსი 19:00**

ტრავმა: ნზონზი, ოლსონი, სამბა, რ. ნილსენი, გრელა - ტატე

**მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი 19:00**

ტრავმა: ვუგანი, უიტბრედი, უორდი (ნორვ)

**ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვ. 19:00**

ტრავმა: ჰელგიუსონი, რაიტ-ფილიპსი, კენი, ტრაორე, მერფი, დ.ჯ. კემპბელი, კონოლი, დაიერი, ჰალსი - გერა

**ტოტენჰემი-ბოლტონი 19:00**

ტრავმა: ვან დერ ვაარტი, როუზი, კრანჩარი, ჰადლსტოუნი, დოუსონი – რაილი, გარდნერი, ალონსო, ჰოლდენი, მირსი, ლი, შ. დევისი
დისკვალიფიკაცია: უიტერი (ბოლტ)

**უიგანი-არსენალი 19:00**

ტრავმა: ალკარასი, კირკლენდი – ჯენკინსონი, გიბზი, მაიაჩი, სანია, უილშირი

**ასტონ ვილა-მანჩ. იუნ. 21:30**

ტრავმა: ლიჩაი – ანდერსენი, უელბეკი, ოუენი, კლევერლი

**ხვალ**

**ევერტონი-სტოკი 19:00**

ტრავმა: დისტინი, ფ. ნევილი, როდუელი, ენიჩიბე – ეზერინგტონი, სიდიბე

**ვულვზი-სანდერლენდი 20:00**

ტრავმა: სტირმენი, ფოული – გორდონი, უიკჰემი, მინოლე, ფ. კემპბელი
დისკვალიფიკაცია: ჰენრი (ვულ)

**ზეგ**

**ფულჰემი-ლივერპული 24:00**

ტრავმა: დაფი, სიდუელი, კელი, გრიგერა, სა, ს.დევისი – ჯერარდი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 13 | 11 | 2 | 0 | 43-12 | 35 |
| 2. მანჩესტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 30-13 | 30 |
| 3. ტოტენჰემი | 12 | 9 | 1 | 2 | 26-16 | 28 |
| 4. ნიუკასლი | 13 | 7 | 5 | 1 | 19-12 | 26 |
| 5. ჩელსი | 13 | 8 | 1 | 4 | 28-17 | 25 |
| 6. არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 26-23 | 23 |
| 7. ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 17-12 | 23 |
| 8. ასტონ ვილა | 13 | 3 | 7 | 3 | 16-17 | 16 |
| 9. ევერტონი | 12 | 5 | 1 | 6 | 15-16 | 16 |
| 10. ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-21 | 16 |
| 11. ქუინზ პარკი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-24 | 15 |
| 12. სტოკი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-23 | 15 |
| 13. სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 12-16 | 14 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-20 | 14 |
| 15. ფულჰემი | 13 | 2 | 6 | 5 | 15-16 | 12 |
| 16. სანდერლენდი | 13 | 2 | 5 | 6 | 15-15 | 11 |
| 17. ვულვზი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-23 | 11 |
| 18. ბოლტონი | 13 | 3 | 0 | 10 | 19-31 | 9 |
| 19. უიგანი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |
| 20. ბლექბერნი | 13 | 1 | 4 | 8 | 17-30 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - ვან პერსი (არსენალი); 10 - ჯეკო (სიტი), აგუერო (სიტი); 9 - ბა (ნიუკასლი), რუნი (იუნაიტედი); 7 ადებაიორი (ტოტენჰემი); 6 - ბალოტელი (სიტი), ერნანდესი (იუნაიტედი), კლასნიჩი (ბოლტონი), ლემპარდი (ჩელსი), სტარიჯი (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 5 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ბენტი (ასტონ ვილა), დეფო (ტოტენჰემი), ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი), იაკუბუ (ბლექბერნი); 4 - ბეილი (ტოტენჰემი), გრემი (სუონსი), სუარესი (ლივერპული).

„ჩელსი" „სენტ ჯეიმს პარკზე"... უკაცრავად, ახლა უკვე „სპორტს დაირექტ არენაზე" „ნიუკასლთან" თამაშობს. ეს საყურადღებო შეხვედრა დღეს, ყველაზე ადრე დაიწყება. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გამარჯვების შემთხვევაში „ლურჯები" მეოთხე ადგილზე გადავლენ. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულთან" და ჩემპიონთა ლიგაში, „ლევერკუზენთან" ერთნაირი ანგარიშით, 1:2 დამარცხების შემდეგ დასავლეთლონდონელებმა წინა ტურში ძალა მოიკრიბეს და „ვულვერჰემპტონს" 3:0 აჯობეს. აქ, თითქოსდა, ყველაფერი „ჩელსისთვის" სასიკეთოდ უნდა მოტრიალებულიყო. მაგრამ სამშაბათს, „ქარლინგის თასზე" გუნდმა ისევ „ლივერპულთან" ითამაშა, 0:2 წააგო და პორტუგალიელ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** კრიტიკის არნახული ქარცეცხლიც დაატყდა თავს. და მაინც, თუ დღეს „ლურჯები" გაიმარჯვებენ, ვილაშ-ბოაშის მოხსნაზე ლაპარაკი ალბათ შეწყდება... დროებით მაინც.

სხვათა შორის, მიმომხილველები წერენ, რომ რაც „ჩელსის" სათავეში ვილაშ-ბოაში ჩაუდგა, გუნდის დაცვა განმტკიცდა, თუმცა პრობლემამ სხვაგან იჩინა თავი - **მიკაელ ესიენის** მუხლის ოპერაციამ ნახევარდაცვა დაასუსტა, რის გამოც მცველებს უჩვეულოდ დიდი რაოდენობის შეტევათა გაძლება უწევთ. გამოსავლის ძიებაში მწვრთნელმა **ჯონ ობი-მიკელი** „ბარსელონას" მეორე გუნდიდან გადაყვანილი **ორიოლ რომეუთი** შეცვალა, თუმცა ეს „ვულვზთან" ზემოხსენებულ შეხვედრაში მოხდა, **მიკ მაკარტის** ბიჭებს კი დასავლეთლონდონელთა ნალდი ტესტირების შნო არ ჰქონდათ. თუ ვილაშ-ბოაში რომეუს „ნიუკასლთანაც" ათამაშებს, 20 წლის ჩამშლელი ნახევარმცველი უკვე ნამდვილ გამოცდას ჩააბარებს. ამ გამოცდას ორი „კაჭკაჭი", **დენი გათრი** და **იონ კაბაიე**, მიიღებს.

„ლურჯთაგან" „ნიუკასლის" წინააღმდეგ ითამაშებს კაპიტანი **ჯონ ტერი**, რომელმაც წინა ტურში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო და „ქარლინგის თასზე" „ლივერპულთან" თამაში გამოტოვა. მოგეხსენებათ, ტერის ყვითელმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ მან გაფრთხილება ძალად მიიღო, სათასო მატჩი რომ გამოეტოვინა და პრემიერლიგის ფიცხელ ბრძოლებში უპრობლემოდ დაბრუნებულიყო.

„კაჭკაჭებს" წინა ტურში „ოლდ ტრეფორდზე" გაგდებული **ხონას გუტიერესი** არ ეყოლებათ. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში „ნიუკასლმა" თვით „მანჩესტერ იუნაიტედთან" ითამაშა 1:1. ხონასის შეცვლა **ალან პერდიუსთვის** გარკვეული გაგებით პრობლემაა, რადგან ფეხბურთელი, რომელსაც არგენტინელის პოზიციაზე ბუნებრივად შეუძლია თამაში, **სილვაინ მარვო**, დაშავებულია. სავარაუდოდ, მწვრთნელი **ჰატემ ბენ არფას** დაავალებს მისთვის ცოტა უჩვეულო საქმეს.

რაც შეეხება თავდასხმას, აქ „კაჭკაჭებს" საქმე კარგად აქვთ. მათ ფორმაში ჰყავთ **დემბა ბა**, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში 12 შეხვედრაში აქვს ნათამაშები და 9 გოლი გატანილი.

„ნიუკასლისთვის" ამ შეხვედრაში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ პერდიუს გუნდი მოიგებს, ოთხეულში ადგილს განიმტკიცებს და საგაისოდ, ჩემპიონთა ლიგაში თამაშისთვის დიდ განაცხადს გააკეთებს. „კაჭკაჭებისთვის" ეს მართლაც დიდებული იქნება თუ... სტადიონის საუკუნოვანი სახელწოდების გამოცვლისთვის სენტ ჯეიმსი არ გაუწყრებათ.

„მანჩესტერ სიტი" „ნორვიჩს" მასპინძლობს. ეს ორი გუნდი ერთმანეთს ბოლოს სულ სხვანაირად შეხვდა. 2005 წლის მარტში ნორვიჩის „ქეროუ როუდზე" სტუმრებმა თავიდან ორი გოლი გაუშვეს, მერე კი ძალა მოიკრიბეს და სამი გაიტანეს. ამ სამიდან ორი, მათ შორის ბოლო, გადამწყვეტი, 90-ე წუთზე **რობი ფაულერმა** შეაგდო. მაშინ მანჩესტერელების სათადარიგოთა სკამზე 33 წლის ვეტერანი **სტივ მაკმანამანიც** იჯდა - ფაულერი და მაკმანამანი, მოგეხსენებათ, ოდინდელი ლივერპულელები იყვნენ. დღეს სხვა მდგომარეობაა. სცადონ ერთი ნორვიჩელებმა „სიტის" კარში გოლების გატანა. ზოგადად კი „ნორვიჩის" საქმე სულაც არ არის ცუდად. პრემიერლიგაში ახალი დაბრუნებული 13 ტურის შემდეგ მეათე ადგილზეა. ბოლო წლების განმავლობაში გუნდს დიდი წარმატებით უდგას სათავეში შოტლანდიელი მწვრთნელი, **პოლ ლამბერტი** - სწორედ ის, ფეხბურთელობის დროს დორტმუნდის „ბორუსიას" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ზედიზედ მიაღწია წარმატებებს: ჯერ პირველი ლიგიდან ჩემპიონშიპში ალზევდა, მერე კი ჩემპიონშიპიდან - პრემიერლიგაში.

„სიტის" მდევარი „მანჩესტერ იუნაიტედი" ბირმინგემში მიდის „ასტონ ვილასთან" სათამაშოდ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო დროს „იუნაიტედს" აქა-იქ ფეხი უსხლტება, სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებს იოლი თამაში ნამდვილად არ ელით. მერედა, „იუნაიტედს" „ვილა პარკზე" ზედიზედ სამი სეზონია საქმე კარგად არ წასვლია. აქ მანჩესტერელებმა ბოლოს 2007 წელს გაიმარჯვეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ბოლო შეხვედრა, რომელიც 2:2 დასრულდა და ოთხივე გოლი ოცწუთიან მონაკვეთში გავიდა.

„ვილას" თავკაცი, **ალექს მაკლიში** კმაყოფილია, რომ მისი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ბრუნდებიან **ჯერმაინ ჯენასი** და **ბერი ბენანი**. ახალგამოჯანმრთელებულმა წყვილმა წინა ტურში 90 წუთის თამაში ვერ შეძლო და მოედანზე გვიან შევიდნენ, ახლა კი თავიდანვე ითამაშებენ.

„არსენალი" „უიგანს" ეთამაშება და კიდევ ერთი გამარჯვების შესანიშნავი შანსი აქვს. მოგეხსენებათ, „მეთოფეებმა" სეზონი მძიმედ დაიწყეს, თუმცა მერე გონს მოეგნენ და დღეს, ყველა შეჯიბრებაში ერთად თუ დავუთვლით, ბოლო 13 შეხვედრიდან 11 მოგებული აქვთ. პრემიერლიგაში, ბოლო 6 ტურში ქულები პირველად გასულ შაბათს დაკარგეს, როდესაც „ფულჰემთან" ვერ გაიმარჯვეს - 1:1. შემდეგ, ამას მოჰყვა „ქარლინგის თასის" მეოთხედფინალში „მანჩესტერ სიტისთან" 0:1 მარცხი. რამაც „მეთოფეებს", ალბათ, ნირი ცოტათი მაინც წაუხდინა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათი დღევანდელი მეტოქე სუსტი გუნდია და კვლავ გამარჯვების გზებზე დადგომის საშუალებაც გამოჩნდა.

„უიგანი" სუსტიაო, ვთქვით. წინა ტურში **რობერტო მარტინესის** შეგირდებმა „სანდერლენდს" 2:1 მოუგეს, ერთი კვირით ადრე კი „ბლექბერნთან" ითამაშეს დრამატული 3:3, თუმცა მანამდე ნამდვილი კატასტროფა იყო - ყველა შეჯიბრებაში ერთად, გუნდმა ზედიზედ 9 თამაში წააგო.

შესანიშნავ ფორმაში მყოფი „ტოტენჰემ ჰოთსპური" ზედიზედ 10 წაუგებელ შეხვედრას, ალბათ, ერთს კიდევ მიამატებს. დიდი შანსია, ეს გამარჯვება იყოს, რადგან მეტოქე „ბოლტონია", გასავარდნი სამეულის გუნდი. შეგახსენებთ, რომ „დეზებმა" მიმდინარე ჩემპიონატის პირველ და მეორე შეხვედრაში მანჩესტერის გუნდებთან წააგეს, მერე კი ფეხზე წამოდგნენ და დღეისათვის ნაკლული თამაშით მესამე ადგილზე არიან. „სფურზის" თავკაცი, **ჰარი რედნაპი** აცხადებს, რომ მისმა გუნდმა შესაძლოა ჩემპიონობასაც კი გამოჰკრას ხელი:

*„ჩემპიონატში დიდი კონკურენციაა, ჩვენ კი კარგი გუნდი გვყავს. სწრაფად ვთამაშობთ, არც ათლეტიზმი გვაკლია, შემადგენლობა გვარიანად ახალგაზრდულია და იმავდროულად, გამოცდილი ფეხბურთელებიც თავისას აკეთებენ. ვაზუსტებ, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენ აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით, არამედ იმას, რომ შეიძლება ჩემპიონები გავხდეთ".*

იმან, რომ რამდენიმე დღის წინ „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" ევროპალიგის შეხვედრაში სალონიკის პაოკ-თან შინ 1:2 წააგო, არ უნდა მოგვატყუოს, რადგან რედნაპს იმთავითვე გამოცხადებული ჰქონდა, რომ ამ შეჯიბრებას სერიოზულად არ მიუდგებოდა და მასში მეორე შემადგენლობას ათამაშებდა.

**როი ჰოჯსონის** „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" იმედოვნებს, რომ კალენდარი მე-14 ადგილიდან მაღლა ასვლის საშუალებას მისცემს. დღეს „ვესტ ბრომვიჩი" „ქუინზ პარკთან" ჩადის ლონდონში, მერე კი „უიგანთან" და „ბლექბერნთან" უწევს თამაში. „რეინჯერსს" ბევრი ტრავმირებული ჰყავს. თუნდაც ასეთი მაგალითი მოვიტანოთ: გუნდის პირველი და მეორე მეკარეები დაშავებულები არიან და კარის დაცვა მესამე მეკარეს, **რადეკ ჩერნის** მოუწევს.

„ბლექბერნი" „სუონსის" მასპინძლობს და ამ შეხვედრაში კვლავ მოვისმენთ მასპინძელი ფანების პროტესტს - ისინი მწვრთნელის, **სტივ კინის** სამსახურიდან გაშვებას ითხოვენ. გასაკვირი არც არის, „ბლექბერნი" ხომ ცხრილის ფსკერზეა.

„სუონსიმ" ბოლო ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო. ვითომ მაინცდამაინც აუტსაიდერთან წააგებს მეორეს?

„სანდერლენდმა" ამ დღეებში, მოგეხსენებათ, მწვრთნელი, **სტივ ბრუსი** გაუშვა და ვულვერჰემპტონში მისი ასისტენტის, **ერიკ ბლეკის** ხელმძღვანელობით ითამაშებს. თუმცა, როდესაც ერთმანეთს მე-16 და მე-17 ადგილებზე მყოფი გუნდები ეთამაშებიან, ამას დიდი მნიშვნელობა შესაძლოა არც ჰქონდეს. მთავარია, ვინ როგორი შემართებით იბრძოლებს.

„სტოკ სიტი" ლივერპულში, „ევერტონთან" სათამაშოდ შესანიშნავ გუნებაზე მიდის - სტოკელებმა ამ კვირაში თავიანთი ევროისტორია შექმნეს. კერძოდ, მათ ხუთშაბათს კიევის „დინამოსთან" 1:1 ითამაშეს და დიდი შანსი აქვთ ევროპალიგის პლეი ოფში მოხვდნენ. მეორე მხრივ, „გუდისონ პარკზე" „სტოკს" 1981 წლის შემდეგ არ მოუგია.

„ლივერპული" ორშაბათს ლონდონში „ფულჰემთან" მიდის სათამაშოდ. მერსისაიდელებს ყველა შეჯიბრებაში ერთად, 7 შეხვედრაში არ წაუგიათ. „კრეივენ კოტეჯზე" გამარჯვებას „წითლებისთვის" უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

**ილია ბაბუნაშვილი**




ტურში ყველაზე საინტერესო ნიუკასლის და ჩელსის დაპირისპირებაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A. XIV ტურის წინ

### გუშინ

**ჯენოა-მილანი 0:2**

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (56-პენ), 0:2 ნოჩერინო (79).

**გაძევება:** კალაძე (55. ჯენოა)

### დღეს

**ინტერი-უდინეზე 23.45**

**ტრავმა:** მუნტარი, ფორლანი, ვივიანო, მაიკონი, სნეიდერი, ლუსიო - ბარეტო, დომიცი, კოდა.

**ნაპოლი-ლეჩე 23.45**

**ტრავმა:** დონადელი - ოლივერა, ოფერე, ჯაკომაცი, კაროციერი, დიამუტენე, დი მიკელე.

### ხვალ

**კატანია-კალიარი 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ნაინგოლანი (კალიარი).

**ტრავმა:** სუაზო, ისკო, ალვარესი - ელ ქაბირი, ასტორი, ერიკსონი, ბიონდინი, ნენე, სამპაიო.

**ბოლონია-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კონე - ბრიენცა.

**ტრავმა:** პერესი, ლორია - ვერგასოლა, ბელმონტე, დესტრო.

**კიევო-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** შელოტო (ატალანტა).

**ტრავმა:** რიგონი, ანდრეოლი - კაპელი.

**ფიორენტინა-რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ნატალი (ფიორენტინა).

**ტრავმა:** კასანი, კროლდრუპი, ხარჯა, ჩერჩი - ოსვალდო, ბორინი, პისარო, ბურდისო, კიაერი, ბორიელო, როზი.

**იუვენტუსი-ჩეზენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პირლო - ჩეკარელი, რავალია.

**ტრავმა:** მანინგერი - კომოტო, მარტინესი, კოლუჩი, მალონგა.

**პარმა-პალერმო 23.45**

**ტრავმა:** მოდესტო - ერნანდესი, მიკოლი, ბუდანი, ზაჰავი.

### ზეგ

**ლაციო-ნოვარა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** მეჯორინი, ჯემიტი (ნოვარა).

**ტრავმა:** ბროკი, დელ ნერო, მაური, გარიდო, დიასი, კოზაკი, მაკინვა, მათუზალემი - პაჩი, მორიმოტო, ლისუძო, პინარდი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 29-14 | 27 |
| 2. იუვენტუსი | 12 | 7 | 5 | 0 | 22-10 | 26 |
| 3. უდინეზე | 12 | 7 | 3 | 2 | 15-6 | 24 |
| 3. ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 16-9 | 22 |
| 5. პალერმო | 12 | 6 | 1 | 5 | 16-15 | 19 |
| 6. ნაპოლი | 12 | 4 | 5 | 3 | 17-11 | 17 |
| 7. რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 8. კატანია | 12 | 4 | 5 | 3 | 14-18 | 17 |
| 9. ჯენოა | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 10. პარმა | 12 | 5 | 0 | 7 | 15-20 | 15 |
| 11. კიევო | 12 | 4 | 3 | 5 | 10-16 | 15 |
| 12. სიენა | 12 | 3 | 5 | 4 | 14-11 | 14 |
| 13. ატალანტა | 12 | 5 | 5 | 2 | 16-15 | 14 |
| 14. კალიარი | 12 | 3 | 5 | 4 | 11-13 | 14 |
| 15. ინტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-17 | 14 |
| 16. ფიორენტინა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-11 | 13 |
| 17. ბოლონია | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| 18. ნოვარა | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| 19. ჩეზენა | 12 | 2 | 3 | 7 | 6-13 | 9 |
| 20. ლეჩე | 12 | 2 | 2 | 8 | 9-19 | 8 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა); 9 - დი ნატალე (უდინეზე); 8 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 7 - ჯოვინკო (პარმა); 6 - კლოზე (ლაციო).



# კონტე აუტსაიდერს უფრთხის

## უდინეზეს ინტერი გამოცდის, ან პირიქით

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების XIV ტური ოთხ დღეზეა გაწერილი, რაც კალჩოსთვის უჩვეულო მოვლენაა. გუშინ „სტადიო მარასიზე“ „ჯენოამ“ „მილანს“ უმასპინძლა, დღეს კი ორი საინტერესო პაექრობა გაიმართება: „ინტერი“ „უდინეზეს“ მიიღებს, ხოლო „ნაპოლი“ „ლეჩეს“. განსაკუთრებულ ინტერესს მილანური პაექრობა იწვევს, სადაც ერთმანეთის პირისპირ უმაღლესი ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები წარდგებიან. მართალია, „ნერაძური“ ცხრილის ქვედა ნაწილშია და მწვერვალებამდე ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ მაინც მსოფლიო მასშტაბის აღიარებულ გრანდზე გვაქვს საუბარი. რაც შეეხება „უდინეზეს“, ეს გუნდი უკვე მიეჩვია ლიდერთა შორის ყოფნას და მესამე ადგილზე ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში.

„გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, **კლაუდიო რანიერი** ისევ იმ ტაქტიკურ მონახაზს აირჩევს, რომელიც პირველად წინა ტურის პაექრობაში გამოცადა და გაუმართლა კიდეც. მართალია, მილანურმა გრანდმა „სიენასთან“ დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მოიგო და მთავარი სწორედ ტაბლო გახლავთ. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ჯამპაოლო პაცინი** იქნება, მის უკან კი შემდეგი ოთხეული გაირჯება: **მაურო სარატე, დეიან სტანკოვიჩი, რიკი ალვარესი** და **ტიაგო მოტა**. საყრდენი ნახევარმცველი ტრადიციულად **ესტებან კამბიასოა**, რომლის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაც კითხვის ნიშნის ქვეშ კარგა ხანია არ დამდგარა.

გასვლით შეხვედრებს ტრადიციულად მაღალ დონეზე ატარებს „უდინეზე“, რაც ამ გუნდის თამაშის სტილით გახლავთ განპირობებული - ფრიულელების მთავარი იარაღი დაცვიდან შეტევაში უსწრაფესად, ორი-სამი პასით გადასვლის უნარია, რასაც ხშირად უმწვავესი იერიშები და სახიფათო მომენტები მოსდევს. ამად არის, რომ ხშირად „უდინეზე“ გაცილებით უფრო სახიფათოა გასვლით პაექრობებში, ვიდრე საკუთარ არენაზე. **ანტონიო დი ნატალე** სრულ მზადყოფნაშია და „ინტერის“ დაცვას ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის როლში შეუტევს. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან - ერთი კი ცხადია, **ფრანჩესკო გვიდოლინი** ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„მიუხედავად იმისა, რომ „ინტერმა“ ბოლო ორი პაექრობა მოიგო, გავბედავ და ვიტყვი, რომ მილანური გრანდი არ არის ოპტიმალურ ფორმაში - გამომდინარე აქედან, ძალიან კარგია, რომ კლაუდიო რანიერის გუნდს ასეთ დროს ვეთამაშებით. ვერ დავიჩემებ, რომ მეტოქეს ჩვენს ფეხბურთს მოვახვევთ თავს, მაგრამ ყრუ დაცვაში რომ არ ჩავჯდებით, ეს ცხადია. მთლიანობაში, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ თამაშს სასურველი შედეგით დავასრულებთ“.*

დღესვე „სტადიო სან პაოლოზე“ „ნაპოლი“ „ლეჩეს“ უმასპინძლებს და უსიკვდილოდ სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. საინტერესო კომენტარი გააკეთა სამხრეთელთა თავკაცმა **ვალტერ მაძარიმ** და უმჯობესია, სიტყვა პირდაპირ მას გადავცეთ:

*„კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ტურინის „იუვენტუსთან“ დაკარგული ქულები გადაღლილობის ბრალი იყო, ამიტომ, დროა როტაციას უფრო აქტიურად მივმართო და ისეთ ფეხბურთელებს მივცე თავის გამოჩენის საშუალება, რომლებსაც მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევდათ ჯდომა. „ლეჩე“ შემტევი გუნდია, ამიტომ კარგი, სანახაობრივი ფეხბურთის მოლოდინში ვარ“.*

„გაძეტას“ ვარაუდით, მაძარი სათადარიგოთა სკამზე დატოვებს **მარეკ ჰამშიკს** და **ედინსონ კავანის**, შეტევის წინა ხაზზე კი შემდეგ სამეულს გაამწესებს: **ესეკიელ ლავეცი, გორან პანდევი, მარიო სანტანა**. დაცვაში პირველად ვნახავთ ერთად **ფიდელეფსა** და **ფერნანდესს**, რომლებიც **სალვატორე არონიკას** დაუმშვენებენ გვერდს - შესაბამისად, ძირითადს მიღმა რჩებიან **პაოლო კანავარო** და **უგო კამპანიარო**. ვნახოთ, რა შედეგს მოიმკის მაძარი შემადგენლობის ამგვარი როტაციით.

კვირის შეხვედრებიდან ფლორენციული და ტურინული მატჩები უნდა გამოვარჩიოთ - „არტემიო ფრანკიზე“ ორი ტრადიციულად ძლიერი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს, ტურინში კი ჩემპიონატის ლიდერი თამაშობს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

„გაძეტას“ ვარაუდით, **ლუის ენრიკე** 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს, თავდასხმაში კი **ბოიან კრკიჩისა** და **ერიკ ლამელას** ტანდემს გაამწესებს. ახალგაზრდა ფორვარდებს უკნიდან **ფრანჩესკო ტოტი** დაეხმარება, რომელიც პლეიმეიქერის ფუნქციას შეასრულებს. ანალოგიური სქემით გაირჯება „ფიორენტინაც“, სადაც წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინოსა** და **სტევან იოვეტიჩის** ტანდემს უნდა ველოდოთ. გამთამაშებლად **ანდრეა ლაძარი** მოიაზრება და ვნახოთ, რამდენად კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ბოლოს, ტურინის „იუვენტუსის“ შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომელიც საკუთარ კედლებში კიდევ ერთ „ბიანკონერის“, „ჩეზენას“ მიიღებს. ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ბოლო ორი მატჩი მოიგო და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა - ამით, მოახლოებულ პაექრობას კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა. „ჩეზენას“ **ანტონიო კონტეც** უფრთხის და აცხადებს, რომ მის შეგირდებს მაქსიმალური მობილიზება მართებთ - წინააღმდეგ შემთხვევაში, „იუვეს“ მწვრთნელი გარდაუვალ ფიასკოს ვარაუდობს. კონტეს **ანდრეა პირლოს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს. „იუვეს“ თავკაცი სავარაუდოდ 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და ცენტრფორვარდად **ალესანდრო მატრის** გაამწესებს, რომელსაც ფლანგებიდან **ესტიგარიბია** და **კვალიარელა** დაეხმარებიან. ამჯერად, თადარიგში მოიაზრება **სიმონე პეპე**, რომელიც გადაღლილი ყოფილა და დასვენებას საჭიროებს. შუა ხაზში **არტურო ვიდალი** და **კლაუდიო მარკიზიო** ჩვეულ როლს შეასრულებენ,. პირლოს მაგივრობას კი **მიკელე პაციენცა** გაწევს. დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება...

**ლაშა ნიკლაური**

## ევრო 2012. წილისყრა

# ევროპამ წილი ყარა

**A ჯგუფი (ვარშავა, ვროცლავი)**

პოლონეთი
საბერძნეთი
რუსეთი
ჩეხეთი

8.06: პოლონეთი-საბერძნეთი, რუსეთი-ჩეხეთი; 12.06: საბერძნეთი-ჩეხეთი, პოლონეთი-რუსეთი; 16.06: ჩეხეთი-პოლონეთი, საბერძნეთი-რუსეთი

**C ჯგუფი (გდანსკი, პოზნანი)**

ესპანეთი
იტალია
ირლანდია
ხორვატია

10.06: ესპანეთი-იტალია, ირლანდია-ხორვატია; 14 ივნისი: იტალია-ხორვატია, ესპანეთი-ირლანდია; 18.06: ხორვატია-ესპანეთი, იტალია-ირლანდია

**B ჯგუფი (ლვოვი, ხარკოვი)**

ჰოლანდია
დანია
გერმანია
პორტუგალია

9.06: ჰოლანდია-დანია, გერმანია-პორტუგალია; 13.06: დანია-პორტუგალია, ჰოლანდია-გერმანია; 17.06: პორტუგალია-ჰოლანდია, დანია-გერმანია.

**D ჯგუფი (კიევი, დონეცკი)**

უკრაინა
შვედეთი
საფრანგეთი
ინგლისი

11.06: საფრანგეთი-ინგლისი, უკრაინა-შვედეთი; 15.06: შვედეთი-ინგლისი, უკრაინა-საფრანგეთი; 19.06: ინგლისი-უკრაინა, შვედეთი-საფრანგეთი.

გუშინ კიევში ევრო 2012-ის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. კოეფიციენტების მიხედვით ნაკრებები 4 კალათში იყვნენ განაწილებულნი. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ტურნირის მასპინძელი ქვეყნები, პოლონეთი და უკრაინა, შესაბამისად A და D ჯგუფს ჩაუდგებოდნენ სათავეში. უეფას პრეზიდენტის, **მიშელ პლატინის** შესავალი სიტყვის შემდეგ (მან თქვა, რომ ევროპული ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა), უკრაინული ხალხური ცეკვებისა და ქვეყნის პრეზიდენტის, **ვიქტორ იანუკოვიჩის** მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, წილისყრაც დაიწყო. ჯერ ყველაზე ძლიერი კალათის დარჩენილი გუნდები გადანაწილდნენ (B ჯგუფში ჰოლანდია მოხვდა, C-ში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი). მერე ყველაზე სუსტი კალათის გუნდები გადანაწილდნენ ჯგუფებში, მათ მე-3 და ბოლოს მე-2 კალათის გუნდები მიყვნენ. ცერემონიალში მონაწილეობდნენ **მარკო ვან ბასტენი, ზინედინ ზიდანი** და სხვები.

ევროპის ჩემპიონატი ვარშავის „ეროვნულ“ სტადიონზე 8 ივნისს პოლონეთ-საბერძნეთის მატჩით გაიხსნება. აი, ვინ ითამაშებს 1 ივლისს ფინალში, კიევის „ოლიმპიურ“ სტადიონზე, ბუნებრივია, ვერ გეტყვით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს

**სპორტინგი-რეალი 21:00**

**ტრავმა:** ლორა - კალეხონი, რონალდო (?), არბელოა, რ. კარვალიო (?)

**დისკვალიფიკაცია:** ჩაბი ალონსო (რეალი)

**რასინგი-ვილიარეალი 21:00**

**ტრავმა:** ფრანსისი, კენედი, აკოსტა, სამპიერო - როსი, საპატჲა, კამუნიასი, კატალა, ბორდასი (?)

**ბარსელონა-ლევანტე 23:00**

**ტრავმა:** აფელაი, ადრიანო - ხუანფრანი (?)

**დისკვალიფიკაცია:** პიკე - ხუანლუ, ბარკერო

**ვალენსია-ესპანიოლი 01:00**

**ტრავმა:** რ. კოშტა, კანალესი, მადურო, ბანეგა, რუისი (?), გუაიტა (?) - მატიონი, ალბინი, ს. გარსია (?), მარკესი (?), ლოპესი (?)

## ხვალ

**ატლეტიკო-რაიო ვალეკ. 15:00**

**ტრავმა:** სილვიო, ადრიან ლოპესი (?) - პერეა

**დისკვალიფიკაცია:** არდა თურანი, გოდინი, კურტუა (ატლ)

**რეალ სოსიედადი-მალაგა 19:00**

**ტრავმა:** ილარამენდი, კადამურო, ჩაბი პრიეტო, ბერგარა (?), დელა ბელა (?) - ველიგტონი, ბაპტიშტა, გამესი (?), ელიზეუ (?), დემიკელისი (?), მარესკა (?)

**ოსასუნა-ბეტისი 21:00**

**ტრავმა:** ეჩაიდე, მასუდი, რაიტალა (?), ბერტრანი (?), სერხიო (?) - ვადილიო, მონტერო, ესეკილი (?)

**დისკვალიფიკაცია:** სატრუსტეგი - ირინეი

**მალიორკა-ბილბაო 23:00**

**ტრავმა:** კასტრო, ლაკრუსი - კასტილიო, გურპეგი, ოსიო, მარტინესი

**დისკვალიფიკაცია:** ბიგასი (მალ)

**გრანადა-სარაგოსა 00:30**

**ტრავმა:** მაინსი, ლუსენა - სილვა, ფრანკო

**დისკვალიფიკაცია:** ნიომი - კარლოსი, ხუარესი, პარედესი

## ზეგ

**სევილია-ხეტაფე 00:00**

**ტრავმა:** კასერესი (?) - მოია, გუისა, პედრო ლეონი, უსტარი

*შენიშვნა: ? ნიშნით - ფეხბურთელის თამაში საეჭვოა.*

## 7 დეკემბერი

**გრანადა-მალიორკა 22:30**

(2:1, დასამთავრებელია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 13 | 11 | 1 | 1 | 46-10 | 34 |
| 2. ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 42-7 | 31 |
| 3. ვალენსია | 13 | 8 | 3 | 2 | 21-13 | 27 |
| 4. ლევანტე | 13 | 8 | 2 | 3 | 23-12 | 26 |
| 5. მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-15 | 20 |
| 6. სევილია | 12 | 4 | 6 | 2 | 12-10 | 18 |
| 7. ოსასუნა | 13 | 4 | 6 | 3 | 16-25 | 18 |
| 8. ბილბაო | 13 | 4 | 5 | 4 | 19-16 | 17 |
| 9. ესპანიოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 10-15 | 17 |
| 10. ატლეტიკო | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 11. ვალეკანო | 14 | 4 | 4 | 6 | 15-19 | 16 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 13. ხეტაფე | 13 | 3 | 4 | 6 | 14-19 | 13 |
| 14. ბეტისი | 13 | 4 | 1 | 8 | 12-19 | 13 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-17 | 13 |
| 16. გრანადა | 12 | 3 | 3 | 6 | 5-12 | 12 |
| 17. სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 18. სპორტინგი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-21 | 12 |
| 19. სარაგოსა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-26 | 10 |
| 20. რასინგი | 13 | 1 | 6 | 6 | 9-20 | 9 |

**ბომბარდირები:** 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 8 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

● ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტურის წინ



გუშინ იკერ კასილიასის წიგნის, „ჩემპიონის მოკრძალება" პრეზენტაცია გაიმართა

# ტური და კიდევ 26 წუთი

## პიკე კლასიკოზე იქნება, რომელზეც უკვე ყველა ფიქრობს

მოდი, თავიდანვე გავშიფროთ სათაური - დიახ, შაბათიდან ორშაბათის ჩათვლით ესპანეთში ლა ლიგის მე-14 (ოფიციალური ნუმერაციით, მე-15) ტურია, მაგრამ სამშაბათს კიდევ ერთი, უცნაური მატჩი გაიმართება: ანდალუსიაში „გრანადა" და „მალიორკა" 20 ნოემბერს შეწყვეტილ მატჩს ჩაამთავრებენ. შეგახსენებთ, რა მოხდა მაშინ - „გრანადა" 2:1-ს იგებდა, როცა ვიღაცამ ტრიბუნიდან ლაინსმენს ქოლგა სახეში გაარტყა. თანამსაჯს სისხლი წასკდა, არბიტრმა კი 64-ე წუთზე შეხვედრა შეწყვიტა. სწორედ ამ 64-ე წუთიდან განახლდება მატჩიც (მიმდინარე 2:1 ძალაშია). უშუალოდ ტურს რაც შეეხება, ყველამ კარგად იცის, რა ტურიცაა - „ელ კლასიკოს" რეპეტიცია!

10 დეკემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი მატჩია - „რეალი" „ბარსელონას" დაუხვდება. ბუნებრივია, ყველა ესპანეთში ამ დაპირისპირებაზე ლაპარაკობს და თუ არ ლაპარაკობს, გულისხმობს მაინც. მანამდე კი ლიდერი ხიხონში მიდის, ხოლო ჩემპიონი ვალენსიურ „ლევანტეს" უმასპინძლებს. სხვათა შორის, სერიოზული რეპეტიცია ელის ერთ გრანდსაც და მეორესაც.

დღევანდელ „მენიუში" „რასინგისა" და „ვილიარეალის" დაპირისპირებაც გვაქვს. აქ აღსანიშნავია, რომ კანტაბრიელები სეზონში პირველად ითამაშებენ **ექტორ კუპერის** დარიგების გარეშე, 29 ნოემბერს საქართველოს ნაკრების ექსთავკაცი გადადგა და ამით მოვლენებს რამდენიმე დღით დაასწრო. საოცარი გუნდია ეს „რასინგი", მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში თამაშობს და... არა მარტო მწვრთნელის ადგილია ვაკანტური, არამედ - პრეზიდენტისაც (**ფრანსისკო პერნია** მოვალეობის შემსრულებელია), მეტიც, იანვარში დიდი ზარ-ზეიმით მოვლენილი ინდოელი მეპატრონე **აჰსან ალი საიედი** წმინდა წყლის აფერისტი გამოდგა. „ვილიარეალთან" შეხვედრაში გუნდს... ტექნიკური დირექტორი **ხუან ხოსე გონსალესი** გაიყვანს. არა, ნამდვილად განწირულია ამ სეზონში კანტაბრიული კლუბი. ვინ შეიძლება იყოს კუპერის მემკვიდრე? დიდი შანსები აქვთ **ალეხანდრო მენენდესს** და **მარტინ ლასარტეს**.

საფეხბურთო საღამო „მესტალიაზე" დასრულდება, სადაც „ვალენსია" „ესპანიოლს" მიიღებს. „ვალენსიას" ერთი პრობლემა აქვს - შუა კვირაში ლონდონში ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი აქვს „ჩელსის" წინააღმდეგ და შეიძლება „ღამურების" თავკაცმა **უნაი ემერიმ რობერტო სოლდადო** ან **ჟონასი** (ან ორივე) დაასვენოს.

ხვალ ტური მცირე მადრიდული დერბით განახლდება - „ვისენტე კალდერონზე" „როხიბლანკოსი" „ელვებს" მასპინძლობს. ბედის ირონიით, ეს გუნდები ერთმანეთის გვერდი-გვერდ არიან ცხრილის შუაში. წლევანდელი „ატლეტიკო" მართლაც ვერაფრით სჯობს „რაიო ვალეკანოს". ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „მალაგა" სან სებასტიანში ჩადის, ერთ-ერთ აუტსაიდერ „რეალ სოსიედადთან" სათამაშოდ. ნავარელები საკუთარ ბასტიონში, „რეინო დე ნავარაზე" მიიღებენ კრიზისში მყოფ „ბეტისს", „მალიორკა" კი „ბილბაოს" მასპინძლობს. დღის ბოლო მატჩი აუტსაიდერთა ჯახია - „გრანადა"-"სარაგოსა". დაბოლოს, ორშაბათს „სევილია", რომელიც 18 ქულით მე-6 ადგილზეა, მადრიდულ „ხეტაფეს" მიიღებს, სწორედ იმას, რომელმაც წინა ტურში ჩემპიონატის პირველი დიდი სენსაცია გამოაცხო.

„რეალი" იმ გუნდს ხვდება, რომელმაც შარშანდელ სეზონში ძალიან მწარე მარცხი აგემა ხიხონში. **მანუელ პრესიადოს** „სპორტინგმა" 1:0 მოუგო „სამეფო კლუბს". ამ სეზონში სიტუაცია განსხვავებულია, „რეალი" 3-ქულიანი (იდეაში 6-ქულიანი) ჰანდიკაპით ლიდერობს, ხოლო „სპორტინგი" 12 ქულით ბოლოდან მე-3 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ პრესიადო დასანახავად ვერ იტანს **ჟოზე მოურინიოს** და **ხოსეპ გვარდიოლასთან** მეგობრობს. ეს კი დამატებითი სტიმულია ასტურიელებისთვის.

„რეალს" ერთი პრობლემაც აქვს - 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ტურს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს ბასკი ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო**. წლეულს, მოურინიომ გუნდი ისე მომართა, რომ შეუცვლელიაო, **კრიშტიანო რონალდოზეც** კი ვერ იტყვი, მაგრამ ჩაბი სწორედაც რომ შეუცვლელი ფეხბურთელია.

ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ჩაბი ალონსოს ადგილს **ნური შაჰინი** დაიკავებს. მანვე გამორიცხა **ალვარო არბელოას** თამაში. პორტუგალიელმა თავკაცმა თქვა, რომ **კაკა** და **რიკარდო კარვალიო** სკამზე იჯდებიან და ბრაზილიელს, შესაძლოა, თამაშმაც მოუწიოს. რონალდოს ტრავმაზე ლაპარაკი აღარ ყოფილა, კრიშტიანო მზადაა „სპორტინგის" კარს შეუტიოს. *„ახლა „ბარსელონასთან" თამაშზე მე არ ვფიქრობ. ჩემი მიზანია გუნდის „სპორტინგთან" თამაშისთვის მომზადება. ძალიან კარგია, როცა ლიდერები ვართ და სხვებს აქვთ საფიქრალი, როგორ დაგვეწიონ"*, - განაცხადა მოურინიომ პრესკონფერენციაზე.

„ბარსელონა" „ლევანტეს" მასპინძლობს, რომელიც ყველა წინასასეზონო პროგნოზის საპირისპიროდ მე-4 ადგილზეა, ჩემპიონს ხუთი ქულით ჩამორჩება და მასზე ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს გამართული.

ჩემპიონთა ბანაკში მთავარი სიახლე სადისციპლინო კომიტეტისგან შეიტყვეს, რომელმაც **ჟერარდ პიკეს** ქმედებაში განზრახ ჩადენილი ვერაფერი შენიშნა და 1-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. შესაბამისად, „ბარსას" დაცვის ახალგაზრდა ბურჯი „ელ კლასიკოზე" ითამაშებს, მაგრამ, ბუნებრივია, „ლევანტესთან" მატჩს გამოტოვებს.

ხოსეპ გვარდიოლა: *„ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ყოველთვის შემდგომია. ახლა ჩვენთვის ასეთი „ლევანტესთან" დაპირისპირებაა. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოვინდომებთ, რამდენად კონცენტრირებულნი ვიქნებით. ჩვენ მეორე ადგილზე ვართ და ამაში არაფერია საკვირველი, ბოლო-ბოლო ასეთი ძლიერი კლუბი გვისწრებს"*.

პირველად ვალენსიური კლუბი „კამპ ნოუს" 1963 წელს ეწვია, მას მერე „ლევანტეს" 1 ქულაც კი არ აუღია ამ სტადიონზე. **ხუან იგნასიო მარტინესის** გუნდს დღეს ეს სტატისტიკა მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვება. გვარდიოლას ამ თამაშში ზემოთ ხსენებული პიკეს, ადრე დიდი ხნით დაშავებული **აფელაისა** და ბრაზილიელი **ადრიანოს** გარდა არავინ დააკლდება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

განუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

## ქართული სპორტი

ძიუდო. საქართველოს პირველობა

# ძიუდოისტები უმნიშვნელოდ და უპატივცემულოდ

დღეს და ხვალ სახეცვლილ სპორტკომპლექს „არენაში“ (ყოფილი სკა) ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება, რომელსაც მიზეზთა გამო ქვეყნის რამდენიმე წამყვანი ფალავანი დააკლდება - **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) იაპონიაში არიან შეკრებაზე. იქვეა ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაურიც** (90) და ისიც ამ მიზეზით გამოაკლდება პირველობას. შესაბამისად, ძიუდოში მისი დაბრუნებაც სამომავლოდ გადაიდო. ბეთქილ შუკვანი (60), შალვა ქარდავა (66), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) ტრავმების მიზეზით გამოტოვებენ ამ მნიშვნელოვან ტურნირს, ხოლო მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) და წონაში მისი მთავარი კონკურენტი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) - უცხოური ტურნირების გამო. შეგახსენებთ, რომ ცირეკიძე 9-11 დეკემბერს ტოკიოშია მიწვეული ძიუდოს ფუძემდებელ ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე“, საიდანაც ჩინეთში გადავა და 16-18 დეკემბერს ქალაქ ქინგდაოში „დიდ პრიზზე“ იჭიდავებს, იქ მასთან ერთად ჟორჟოლიანიც გამოვა. სალიცენზიო რეიტინგში ყველაზე დიდი კონკურენცია ამ წონაში გვაქვს - ჟორჟოლიანი XI, ცირეკიძე კი XIX ადგილზეა. ცხადია, ორივეს სურს პოზიციების გამყარება, თუმცა ცირეკიძეს უახლოესი გეგმებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი დამატებითი საზრუნავი გააჩნია - როგორმე მსოფლიოს რეიტინგის 16 საუკეთესოში შევიდეს და 14-15 იანვარს ყაზახურ ალმატიში მასტერსზე გამოსვლა გაინაღდოს. გარდა იმისა, რომ ამით ჟორჟოლიანთან დისტანციას დაამოკლებს, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მისი საგაისო კალენდარიც - თუ მასტერსზე გამოვა, მაშინ 28-29 იანვარს თბილისის მსოფლიოს თასზე არ იჭიდავებს და 4-5 თებერვალს გასამართი პარიზის „დიდი მუზარადისა“ და 18-19 თებერვალს ჩასატარებელი დიუსელდორფის „დიდი პრიზისთვის“ მოემზადება. თუ მასტერსზე ვერ წავა, მაშინ თბილისში იჭიდავებს, მაგრამ კანოს მემორიალი ქულებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი შეჯიბრებაა და 16-ეულში შესვლის შანსი მართლაც დიდია. ცირეკიძე სადღეისოდ მსოფლიოს რეიტინგში მე-16-ე ადგილზე მყოფ ბრაზილიელ მსოფლიოს ექსჩემპიონ **ლუსიანო კორეას** 42 ქულით ჩამორჩება, კანოს მემორიალზე თუნდაც მეხუთე ადგილზე გასვლისთვის კი 60 ქულას მიიღებს, ხოლო პრიზიორობა გაცილებით მეტს მისცემს.

მოვლენათა ასეთი განვითარება, ანუ ცირეკიძის 16-ეულში შესვლა სპორტსმენსაც ხელს აძლევს, ნაკრებსაც და ფედერაციასაც - ამით მასა და ჟორჟოლიანს შორის ჯანსაღი კონკურენცია ბოლომდე გაგრძელდება, ამ კონტექსტში კი გონივრულია ორივე კონკურენტის ასპარეზობა ჩინეთის „დიდ პრიზზე“. ვინძლო, იქ ერთმანეთსაც შეხვდნენ, რაც ძალზე ბევრ კითხვას გასცემს პასუხს, სულაც გარდამტეხი თუ არ აღმოჩნდება მათ პაექრობაში. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ჟორჟოლიანი რეიტინგში წინაა და ამდენად, მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვა ცირეკიძეს მართებს, თუმცა მისი მცდელობა მშვიდად ყოფნის საშუალებას არც ჟორჟოლიანს მისცემს. ცხადია, ასეთი კონკურენცია ქართულ ძიუდოს წაადგება.

ტრავმირებულებს რაც შეეხებათ, ლიპარტელიანი ბუნდესლიგაში დაშავებულა, სადაც წინა კვირას „ესლინგენის“ შემადგენლობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ფინალში ერთი შეხვედრა 100 კილოგრამში ჩაატარა და გერმანიის ნაკრების წევრ **დმიტრი პეტერსსაც** მოუგო, მაგრამ მერე მენისკი დაიზიანა და მეორე ორთაბრძოლა **რობერტ დუმკესთან** დათმო. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ის ორი კვირა ვერ ივარჯიშებს, თუმცა გუშინ მაინც აიწონა და ვნახოთ, რას იზამს, გუჯეჯიანი კი იაპონიაში დაშავდა, სადაც შეკრებაზე გაჰყვა ზემოხსენებულ სამეულს. მანაც ფეხი იტკინა და ჯერჯერობით გუნდს გამოაკლდა. ევროპის ვიცე-ჩემპიონ ბეთქილ შუკვანს წელის ტკივილის გამო ლამის სამი თვე არ უვარჯიშია და მხოლოდ ერთი კვირის წინათ განაახლა წვრთნა. ამდენად, ფორმაშიც არაა. ასევეა ქარდავაც, რომელიც მსოფლიოს პირველობაზე ნატკენ წელს იშუშებს, , სხვებმა კი უნდა იჭიდაონ. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციისთვის შეჯიბრებიდან გათავისუფლების თხოვნით არავის მიუმართავს. იაპონური შეკრების გამო ჩემპიონატს არც ნაკრების ავსტრიელი თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** დაესწრება, რაც არა მარტო ცუდი, უცნაური ფაქტიცაა. სამწუხაროდ, ეროვნული პირველობის იგნორირება უცხოელ მწვრთნელთა მიერ ქართულ სპორტში არახალია და აჯობებს, ფედერაციებმა მათ მოწვევისას კონტრაქტში სათანადო პირობა ჩაუდონ. გვესმის, რომ ოლიმპიადა კარსაა მომდგარი, ახლა ყველა ტურნირზე მნიშვნელოვანი ისაა და სპორტსმენები თამაშებისთვის საგანგებო განრიგით უნდა მოემზადონ. ამიტომ დასაშვებია, ზოგიერთი შეჯიბრება გამოტოვონ კიდეც, მაგრამ ოლიმპიადაზე მწვრთნელი ხომ არ ჭიდაობს და ის რატომ არ უნდა ესწრებოდეს ქვეყნის პირველობას? გვესმის, რომ მასაც შეუძლია, ჩანაწერი ნახოს, ან აქ დარჩენილი ნაკრების მეორე მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილიც** მიაწვდის ცნობებს, მაგრამ ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი მიზეზი გვგონია! ზაიზენბახერს ნებისმიერი უცხოური შეჯიბრების არათუ ჩანაწერების, ინტერნეტით პირდაპირ ეთერში ნახვა შეუძლია და მაშინ ნურც სხვაგან გაჰყვება გუნდს. ყველაზე უფრო გულსატკენი თვით პრეცედენტია, რომ უცხოელი მწვრთნელები ასე ზედაპირულად ეკიდებიან საქართველოს პირველობებს. თან, ფეხბურთზე თუ კიდევ შეიძლება თქმა, მაღალი დონის არააო, ძიუდო მათსავით ნამდვილად არ ჩამორჩება მოწინავე სტანდარტებს. ზაიზენბახერის საქართველოში ჩამოსვლას ბევრი ჭორი მოჰყვა, თუმცა აქამდე ყურადღება არ მიგვიქცევია, ახლა, იაპონიაში ასე უადგილოდ დანიშნულმა შეკრებამ, როცა უფულობის გამო იქ მხოლოდ ხუთი სპორტსმენი გავუშვით (ამ გუნდის შემადგენლობა სხვა საქმეა), ერთი მათგანი მაინც გამახსენა - ავსტრიელს საქართველოში არ სურს ცხოვრება და ამიტომ დაჰყავს გუნდი ასე ხშირად უცხოეთში შეკრებებზეო. ეს შემთხვევა ძალიან კი ჰგავს სიმართლეს, მაგრამ ჭორები იქით იყოს და ისიც ძალზე ცუდია, ფედერაციები (არა მხოლოდ ძიუდოსი) თავიანთ კალენდარს ისე არ (თუ ვერ) გეგმავენ, ქვეყნის პირველობა სპორტსმენთა მზადებაში მნიშვნელოვანი ტურნირი რომ იყოს. ერთი საინტერესო ფაქტიც - ზაიზენბახერის მიერ შემუშავებულ სპორტსმენთა მზადების ინდივიდუალურ გეგმაში, რომელიც ნოემბრიდან აპრილამდე პერიოდს მოიცავს, ევროპის პირველობის ჩათვლით, არც ერთი მათგანის გრაფაში საქართველოს ჩემპიონატი მითითებული არაა! ვფიქრობთ, ქვეყნის პირველობა მეტ პატივისცემას და ყურადღებას იმსახურებს.

დასასრულ, ისევ ჩემპიონატის შესახებ - შეხვედრები დღესაც და ხვალაც დილით 11 საათზე დაიწყება, ფინალები კი შესვენების გარეშე გაგრძელდება. დღეს პირველი სამი წონის - 60, 66 და 73-ის ფალავნები იასპარეზებენ, დანარჩენები ხვალ იჭიდავებენ. როგორც კვირის დასაწყისშივე იმავე დარბაზში გამართული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ქვეყნის პირველობიდან, პირდაპირი რეპორტაჟი არც ახლა იქნება. ახალგარემონტებული დარბაზი ჯერ კიდევ ტექნიკური გადაიარაღების პროცესშია და მაშინ გადაცემების მოწყობა სწორედ ტექნიკური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა. სავარაუდოდ, ახლაც იგივე მიზეზია.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# დღეს ფინალებია

ზუგდიდში სამი დღეა გრძელდება მოკრივეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 100-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაება. შეჯიბრების მიზანია, ნაკრებისთვის შეარჩიოს ის მოკრივეები, რომლებიც სპეციალური პროგრამით მომზადების შემდეგ აპრილში სტამბოლის სალიცენზიო ტურნირში იასპარეზებენ. კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** გუშინ ზუგდიდიდან შეგვატყობინა, რომ ჩემპიონატი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით შესანიშნავად არის ორგანიზებული. სპორტსმენები და დელეგაციების წევრები ანაკლიის სასტუმრო „ოქროს საწმისში“ ცხოვრობენ, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ათლეტებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და რინგზე საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ. ისიც შევიტყვეთ, რომ პაექრობებში სხვადასხვა მიზეზით მონაწილეობა არ მიუღიათ 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს — **ზაალ კვაჭატაძეს** (69 კგ) და **ჯაბა ხოსიტაშვილს** (75), ასევე, ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე **ალექსანდრე ჭუბაბრიას.**

ზუგდიდში დღეს ფინალური ორთაბრძოლები გაიმართება. ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

49 კგ. ალექსანდრე ჩეჩელიანი – მიხეილ კაზანჯიანი
52 კგ. ბენედიქტ ტერანოსიანი – სევერიან ჭილაძე
56 კგ. გიორგი გოგატიშვილი – შირაზ თურძაძე
60 კგ. კობა ფხაკაძე – დავით ლეკიშვილი
64 კგ. ირაკლი ჭინჭარაული – ლევანი კოტუა
69 კგ. გოგა ზარქუა – ბექა ხარძიანი
75 კგ. ნიკა სეხნიაშვილი – რომან თავაძე
81 კგ. თენგიზ გუგუნავა – იაგო კიზირია
91. რეზო ქარელიშვილი – ალექსანდრ კარტოზია
+91 კგ. დავით გოგიშვილი – მიხეილ ბახტიძე

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# დედობის სიხარული და თამაშის მოწყურება


ბელა ხოტენაშვილი

თურქულ მარდინში 17 დეკემბერს დაიწყება და ახალ წლამდე სამი დღით ადრე დასრულდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 10 ქვეყნის საუკეთესო ნაკრები გუნდები იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის. ფავორიტთა შორისაა საქართველოს გუნდიც, რომლის ღირსებას დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილიც** დაიცავს. 2497 პუნქტით ის მსოფლიოს რეიტინგში მეთვრამეტე-მეცხრამეტე ადგილებს იყოფს. 16-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონმა თანატოლთა შორის მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე რამდენჯერმე საპრიზო ადგილებიც დაიკავა. 2009 წელს პირველად მიიწვიეს ეროვნულ გუნდში და ევროპის ქალთა გუნდურ ჩემპიონატზე მეორე იყო, მეოთხე დაფაზეც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, შარშან ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავა, ასევე მესამე იყო მეოთხე დაფაზე და, რაც მთავარია, ჭადრაკის სამყაროს კარგი თამაშით დაამახსოვრა თავი.

ქართველი დიდოსტატისთვის ყველაზე წარმატებული და საბედნიერო წლევანდელი სეზონი აღმოჩნდა... თუმცა, თავად ბელას მოვუსმინოთ:

— ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიხარული წლეულს განვიცადე — დედა გავხდი, 16 ოქტომბერს ქალიშვილი შემეძინა, მარიამი (ბელა ხოტენაშვილი საერთაშორისო ოსტატ **მალხაზ სულაშვილის** მეუღლეა). აბა, ამაზე დიდი ჯილდო რა უნდა მრგებოდა?! თუმცა, არც ჭადრაკში მქონია ურიგო შედეგები. იანვარში ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში მაია ლომინეიშვილთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გავიყავი, უარესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალი მხვდა, მერე საფრანგეთში „კაპელა ლა გრანდეს“ საერთაშორისო ტურნირზე ქალთა შორის პირველი ვიყავი. მაისში ევროპის ქალთა ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა. იქაც მოვსინჯე ძალები. კარგი სტარტი ავიღე. სამწუხაროდ, ერთმა შეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი სატურნირო მდგომარეობა — შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ლიტველ ვიქტორია ჩმილიტეს შევხვდი. შუა თამაშში ისეთ უპირატესობას მივაღწიე, რომ მოგება არ უნდა გამქირვებოდა, მაგრამ ენდშპილში შეცდომა დავუშვი და საბოლოოდ ნახევარ ქულას გამოვრჩი. ეტყობა, ამ დანაკარგმა მდგომარეობიდან გამომიყვანა — თავს ვერ მოვერიე და მეორე დღეს უკრაინელ კატერინა ლახნოს, ფაქტობრივად, უბრძოლველად დავნებდი. ბოლო ორ პაექრობაში მსოფლიოს ათეულის წევრებთან — რუს ტატიანა კოსინცევასთან და სლოვენიელ ანა მუზიჩუკთან ყაიმს მივაღწიე და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავედი. მართალია, ეს ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ გული მაინც დამწყდა, რადგან საუკეთესო სამეულში მოხვედრის შანსი ხელიდან გავუშვი.

**— თითქმის ხუთთვიანი უქმობის შემდეგ ისევ მოგიწვიეს ნაკრებში. ამ ფაქტის შესახებ რას იტყვი?**

— უპირველესად, დიდი მადლობა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს, რომლებიც მენდვნენ და ისევ მიმიწვიეს ნაკრებში. მართალია, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში შეჯიბრებებზე არ გამოვსულვარ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორკვირიანი პაუზა მქონდა, დანარჩენი პერიოდი ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი ნაკრების მწვრთნელ ზურაბ სტურუასთან, შინ პარტიების გარჩევაში მეუღლეც მეხმარებოდა. ერთ თვეზე მეტია, ინტენსიურად ვემზადები. თურქეთში გამგზავრებამდე სათამაშო პრაქტიკის მისაღებად რამდენიმე პარტიას დიდოსტატ დავით ჯოჯუასთან ვითამაშებ. თურქეთმა უძლიერეს გუნდებთან მოგვიწევს თამაში. ჩინეთთან, რუსეთთან და უკრაინასთან ერთად ფავორიტად ჩვენც მიგვიჩნევენ. მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე მედლები არასდროს მოგვიპოვებია. აუცილებლად შევეცდებით, ნავსი გავტეხოთ. თამაშს მოწყურებული ვარ და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ჩვენი ჭადრაკის მესვეურთა და გუნდის წევრების იმედები გავამართლო.

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტო**

ჩოგბურთი

# ცუდი დასასრული



გუშინ ვწერდით, რომ **სოფიო შაფათავამ** (271) კარგად დაიწყო ჩეხეთის ქალაქ ვენდრინში, 25-ათასიან ტურნირში გამოსვლა, თუმცა კარგ სტარტს შესაბამისი გაგრძელება არ მოჰყვა - მერვედფინალში ქართველმა მე-7 ნომრად განთესილ იტალიელ **ნასტასია ბურნეტთან** (221) წააგო - 6:3, 2:6, 6:7 (1). შაფათავა წყვილთა თანრიგსაც გამოეთიშა, სადაც ჩეხ **ჰანა ბირნეროვასთან** ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი - ამ დუეტმა **მარტინჩოვასთან** და **როჰანოვასთან** (ორივე ჩეხეთი) წააგო - 2:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხსოვნა



## რევაზ მანჯავიძე

4 იანვარს 83 წლისა გახდებოდა. ამქვეყნიდან ქართული სპორტის წინაშე ვალმოხდილი წავიდა საქართველოში საცხენოსნო სპორტისა და თანამედროვე ხუთჭიდის ამაგდარი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და სპორტის დამსახურებული მუშაკი **რევაზ მანჯავიძე.**

წარმატებული ცხენოსანი 1950-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ახალდანერგილ თანამედროვე ხუთჭიდში გადაერთო და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია. მალე გახდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი და 1952 წლის თამაშებისთვის რამდენიმე თვე ემზადებოდა მოსკოვში. იგი იყო მეორე სპორტსმენი საქართველოდან, რომელსაც თანამედროვე ხუთჭიდში სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. 1954-55 წლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება, მოიგო ამიერკავკასიის სპარტაკიადა (ერევანი, 1955), ესტონეთის, საქართველოს და უკრაინის (კიევი, 1956) ტურნირი, სხვა შეჯიბრებები. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა თაობები, რომლებმაც სამშობლო ასახელეს ყველაზე მაღალი რანგის საერთაშორისო ასპარეზობებში. 23 წელიწადი იმუშავა ცხენოსნობასა და თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად და დიდი წვლილი შეიტანა სპორტის ამ სახეობების განვითარებაში. სწორედ იმ პერიოდში (1988) პირველად გამოვიდა თანამედროვე ხუთჭიდელთა ოლიმპიურ ტურნირში ვახტანგ იაგორაშვილი, რომელიც შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

რევაზ მანჯავიძე, როგორც საცხენოსნო სპორტისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მხარში ედგა ახალგაზრდა თაობას, როცა ეს ფედერაცია პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა თავისუფალ საქართველოში.

მიღებული ჰქონდა სამთავრობო ჯილდოები.

ამ შესანიშნავი პიროვნებისა და გამორჩეულად მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში, მისი ნათელი ხსოვნა კი ჩვენს გულებში.

*საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაცია*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა აღმზრდელის

**ჯონი რეხვიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე




# თედეევი რუსეთიდან წავიდაო

გუშინ სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ ერთ-ერთი ცხინვალურ ოპოზიციურ ვებგვერდზე დაყრდნობით ინფორმაცია გაავრცელა რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ჯამბულათ თედეევის** რუსეთიდან წასვლის შესახებ. ცხინვალური პირველწყაროს ინფორმაციით, თურმე თედეევი რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში დაიბარეს, სადაც ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის არალეგიტიმურ არჩევნებში გამარჯვებული **ალა ჯიოევას** მხარდაჭერის, პარალელურად კი სეპარატისტული რეჟიმის ადრინდელ მმართველ **ედუარდ კოკოითთან** და აღნიშნულ არჩევნებში კრემლის კანდიდატ **ანატოლი ბიბილოვთან** დაპირისპირების შეწყვეტა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქვეყნის ღალატში დადანაშაულებით დაემუქრნენ. იმავე წყაროს ცნობით, თედეევი შეხვედრაზე მარტო იმყოფებოდა, საპირისპირო მხარეს კი სამი გენერალი და ერთი პოლკოვნიკი წარმოადგენდა, რომლებმაც მწვრთნელს შეახსენეს, რომ ცოტა ხნის წინ [illegible] ჩარეოდა.

შეგახსენებთ საქმის ვითარებას - სეპარატისტულმა ცესკ-მ თედეევი აღნიშნულ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა იმ მოტივით, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ის ცხინვალის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდა. მაშინ ამას თედეევსა და კოკოითს შორის დაპირისპირება მოჰყვა, საქმე ლამის სამოქალაქო ომში გადაიზარდა - იარაღის ჟღარუნი, თედეევი საკუთარ სახლში გამოკეტა და, პრაქტიკულად, შინაპატიმრობა მიუსაჯა. თედეევს გვერდში დაუდგა მთელი საჭიდაო სამყარო ჩრდილო კავკასიიდან, ეს კი იქაური ელექტორატის აბსოლუტური უმრავლესობაა. ჩრდილო ოსეთიდან, დაღესტნიდან თუ რუსეთის სხვა რეგიონ-ქალაქებიდან მის მხარდასაჭერად ცხინვალში მოჭიდავეთა ჯგუფები ჩავიდნენ, თუმცა ვითარების განმუხტვა ვერ შეძლეს. მაშინ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ თედეევს თუ ძირითადად დუმის დეპუტატები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ემხრობოდნენ, კოკოითს ზურგს რუსული სპეცსამსახურები უმაგრებდნენ. მაშინ მდგომარეობა იმით დასრულდა, რომ ხანგრძლივი შინაპატიმრობის შემდეგ თედეევი მოსკოვში დაბრუნდა და ნაკრებს დაუბრუნდა, თუმცა ამით ცხინვალში იარაღის ჟღარუნი არ დამთავრებულა - ჩატარებულ არჩევნებში ალა ჯიოევამ გაიმარჯვა, ანატოლი ბიბილოვი დამარცხდა და მიძინებულმა კონფლიქტმაც ახალი ძალით იფეთქა. იქაურმა ცესკ-მ არჩევნების შედეგები გააუქმა, ხელახალი არჩევნები დანიშნა, ოღონდ ჯიოევას მასში მონაწილეობა აუკრძალა. ამან ხალხის გაღიზიანება გამოიწვია და უკვე რამდენიმე დღეა, ცხინვალის ქუჩებში საპროტესტო აქციები იმართება - ჯიოევას მომხრეები დანებებას არ აპირებენ და ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტ კოკოითისგან არჩევნების შედეგების აღიარებას მოითხოვენ.

ამ ახალ დაპირისპირებაში თედეევი ვის მხარეს დადგებოდა, თქმაც არ გინდათ. პოდა, ოსური სააგენტოს ცნობით, მოსთხოვეს კიდეც ჯიოევასგან განდგომა. ამაზე თედეევს უპასუხია, რომ ის არავის გადაურჩენია და ცხინვალი მაშინ დატოვა, როცა საჭიროდ მიიჩნია. მან ჯიოევას შესახებ განაცხადა, ის დღეს ცხინვალის ყველაზე ლეგიტიმური პოლიტიკოსია და კოკოითისგან განსხვავებით, არ შეარცხვენს რუსეთსო, თან დასძინა, რომ ორი სამშობლო აქვს - სამხრეთ ოსეთი და რუსეთი, ხოლო ცხინვალელები ანტირუსულად განწყობილი პოლიტიკოსები არ არიან. საინტერესოა მისი კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც საქართველოში გაზრდილ კაცს ჩვენს ქვეყანას ახსენებს: „*თქვენ ხართ ქართველებზე უარესები - თქვენც ჩვენი ხალხის დაჩოქება გინდათ, რის წინააღმდეგაც სამხრეთ ოსეთის ხალხი 20 წელიწადია, იბრძვის და მუდამ იბრძოლებს, ვიდრე იცოცხლებს. ჩვენ დაჩოქილი სიცოცხლე არ შეგვიძლია, თქვენ კი ოსებს უკვე შეურყიეთ რუსეთთან ყოფნის სურვილი. ნაწილი უკვე ფიქრობს, რომ რუსეთს და საქართველოს ერთნაირად უნდათ ეს ტერიტორია - ოსი ხალხის გარეშე*“ - განუცხადა თურმე მან რუს გენერლებს. იმავე წყაროს ცნობით, იმ შეხვედრაზე თედეევმა სპეცსამსახურების წარმომადგენლებს თავისი დაპატიმრებაც შესთავაზა, მაგრამ მათ იუარესო.

კიდევ ვიმეორებთ, ამ ინფორმაციის პირველწყარო ოსურია და მის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ თედეევი რომ ნამდვილად წავიდა რუსეთიდან, ეს გუშინ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტმაც დაადასტურა, ოღონდ სულ სხვა მიზეზი დაასახელა - გრიჟის ოპერაციის გასაკეთებლად წავიდა გერმანიაში, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, მწვრთნელი უკვე სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და მალე დაუბრუნდება ნაკრებსო.

ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

● ოლიმპიური სფილატელია




● თარიღი. 3 - 9 დეკემბერი

**03. 1923 წ.** დაიბადა **სტეფან ბობეკი** — ფეხბურთი.

**04. 1963 წ.** დაიბადა **სერგეი ბუბკა** — მძლეოსნობა (უკრაინა).

**04. 1994 წ.** მარსელში მსოფლიოსა და ევროპის ფეხბურთელთა მატჩი მოიგო მსოფლიოს ნაკრებმა — 5:2.

**05. 1956 წ.** მელბურნში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში გახდა სსრ კავშირის ნაკრები.

**06. 1873 წ.** აშშ-ში ჩატარდა პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. იელის უნივერსიტეტის ნაკრები — „ეტონი“ (ინგლისი) — 2:1.

**06. 1907 წ.** დაიბადა **ჯოვანი ფერარი** — ფეხბურთი (იტალია).

**07. 1956 წ.** დაიბადა **ლარი ბერდი** — კალათბურთი (აშშ).

**07. 1984 წ.** დაიბადა **რობერტ კუბიცა** — ფორმულა 1 (პოლონეთი).

**08. 1991 წ.** ნიუ-იორკში შედგა ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 143 გუნდის წილისყრა.

**08. 1977 წ.** დაიბადა **დელრონ ბაკლი** — ფეხბურთი (სამხრეთ აფრიკა).

**09. 1909 წ.** შეიქმნა გერმანიის საფეხბურთო კლუბი „ბორუსია“ (დორტმუნდი).

**09. 1969 წ.** დაიბადა **ბიქსენტ ლიზარაზუ** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

**09. 2007 წ.** „წლის ადამიანის“ პრემიით დაჯილდოვდა ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერ ბობი რობსონი.**

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში“.

● კვიმატი ობიექტივი



● სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# ფილდბოლი

ფილდბოლი (ინგ. field-მინდორი, ball -ბურთი). ამ სახელწოდებით, ანგლოსაქსურ კულტურაში ცნობილია ორი სხვადასხვა სპორტული თამაში ბურთით. მათგან პირველი ხელბურთისა და ფეხბურთის ერთგვარი კომბინაციაა. შეხვედრები ტარდება 54,86 მ-ის სიგრძისა და 40,48 მ-ის სიგანის მოედანზე. თითოეულ გუნდში 11-11 მოთამაშეა. მათი მიზანია ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში. თამაში განკუთვნილია გოგონებისთვის და ძირითადად გავრცელებულია ქალთა სკოლებში. მეორე თამაში 11-კაციანი ხელბურთია. მართალია, ხელბურთის ამ სახეობაში საერთაშორისო მატჩები აღარ იმართება, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ის კვლავაც პოპულარულია, განსაკუთრებით, ზოგიერთ კოლეჯში. ამერიკული 11-კაციანი ხელბურთი, რომელიც XX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბდა, თავისი პროტოტიპისაგან ზოგიერთი დეტალით განსხვავდება. მოედნის სიგრძეა 91,44-100,58 მ, სიგანე — 54,86-64 მ. კარის სიგანეა 3,05 მ, სიმაღლე — 2,44. ბურთის გარშემოწერილობაა 60,96 სმ, საჯარიმო მოედნის სიგრძე — 18,23 მ, სიგანე — 5,49 მ. მეკარე ერთადერთი მოთამაშეა, რომელსაც უფლება აქვს ბურთს ფეხი დაარტყას. მოთამაშეს 3 წამზე მეტხანს ბურთის ფლობა ეკრძალება და უფლება არა აქვს ბურთით ხელში სამ ნაბიჯზე მეტი გადადგას. შეხვედრა იყოფა ორ 30-30-წუთიან ტაიმად (ქალების და იუნიორების მატჩებში ტაიმი 20 წუთს გრძელდება). ამერიკული საერთაშორისო ენციკლოპედიის ცნობით, ფილდბოლი გერმანული წარმომავლობის თამაშია.



● პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** რეფერი, რომელმაც რინგზე იმსაჯა, იყო **იუჯინ კორი.** ეს მოვლენა 1907 წლის 7 დეკემბერს დაფიქსირდა ლონდონში სუპერწონის მოკრივეების **ტომი ბერნსისა** და **ჯეიმს მორის** შეხვედრისას.

**პირველმა** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატებში ყველაზე მეტჯერ ითამაშა მექსიკელთა მეკარე **ანტონიო კარბახალმა.** 1950 წლიდან მოყოლებული მან ზედიზედ ხუთ მუნდიალზე იასპარეზა (1966 წლის ჩათვლით).

**პირველად** ქალს ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების უფლება მიეცა მეხიკოს 1968 წლის თამაშების გახსნის ცერემონიალზე. ეს პატივი მექსიკელ **ენრიეტა ბასილიო დე სოტელოს** ხვდა წილად.

● ვიქტორინა

**1. ვის ეკუთვნის ფრაზა: „ოლიმპიადაზე მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“**

ა — პიერ დე კუბერტენს
ბ — დიმეტრიოს ვიკელასს
გ — ლონდონის ეპისკოპოსს

**2. რომელი წლიდან შემოიღეს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატებზე წითელი და ყვითელი ბარათები?**

ა — 1968 წლიდან
ბ — 1970 წლიდან
გ — 1972 წლიდან

**3. რას ნიშნავს ბერძნული სიტყვა „აკრობატიკა“?**

ა — გამბედავ მოვარჯიშეს
ბ — სიმკვირცხლეს მოძრაობაში
გ — თითის წვერებზე სიარულს

**4. რომელი სპორტსმენი გახდა სხვადასხვა დროს კრივსა და ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონი?**

ა — ედუარდო იგანი (აშშ)
ბ — კრისტა ლუდინგი (გდრ)
გ — იაკობ ტულინ ტამსი (ნორვეგია)

**5. რომელი პროფესიონალი კალათბურთელია ნბა-ს ფინალური მატჩის რეკორდსმენი?**

ა — მაიკლ ჯორდანი
ბ — ჯონსონ ირვინ „მეჯიქი“
გ — ჩარლზ ბარკლი

**პასუხები:** 1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ა, 5 - ბ

● საფეხბურთო, სახალისო...

## ყველაზე სამართლიანი მსაჯი

ყველაზე სამართლიანი მსაჯი აღმოჩნდა ინგლისელი არბიტრი **მელვინ სილვესტრი.** თამაშის მსვლელობისას, ერთ-ერთი გუნდის თავდამსხმელი რიჩარდ კერდი მსაჯს ხშირად ეკამათებოდა და ბოლოს ხელიც შეახო... ეს არბიტრმა ვერ მოითმინა და კრივის რამდენიმე ოსტატური დარტყმით "მოწინააღმდეგე" მიწაზე დასცა... ამის შემდეგ მან წითელი ბარათი ამოიღო და საკუთარი თავი მოედნიდან გააძევა...

## თავდამსხმელი კურდღელი

1984 წელს, სომხეთის პატარა ქალაქ გიუმრიში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ გუნდსა და ერევნის რძის ფაბრიკის ფეხბურთელებს შორის. 80 წუთამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გოლის გატანა და ანგარიში 0-0 იყო. "გიუმრის" ერთ-ერთი ფეხბურთელის არაზუსტი დარტყმის შემდეგ, ბურთი ნელა მიგორავდა ხაზის ზღვარზე... უეცრად, სად იყო და სად არა, მოედანზე გამოიქცა კურდღელი, მოხვდა მას და ბურთი კარში შევიდა. არბიტრს სხვა რა გზა ჰქონდა?! გოლი ჩათვალა. ეს გოლი "გიუმრის" თავდამსხმელს მიაწერეს, რომელიც ბურთს ბოლოს შეეხო.

## 5 ბარათი ერთ მოთამაშეს

ეს კურიოზული ფაქტი ბრაზილიაში მოხდა, პიაუის შტატში. ადგილობრივ "რივერის" და "ოეირასის" შეხვედრისას არბიტრმა ერთ მოთამაშეს 5 ბარათი უჩვენა... "ოეირასის" მოთამაშეს, პაულო არაუჟოს მსაჯმა ერთ ტაიმში ზედიზედ 2 ყვითელი ბარათი აჩვენა და ავტომატურად გაძევებული იქნა მოედნიდან, ანუ წითელი ბარათით... მაგრამ არაუჟომ მოედანი არ დატოვა და თამაში განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ, მან კიდევ ერთხელ დაარღვია თამაშის წესები და მესამე ყვითელი ბარათი მიიღო. მეორე წითელი ბარათის მიღების შემდეგ ფეხბურთელი იძულებული იყო მოედანი დაეტოვებინა... 2 წითელი ბარათი + 3 ყვითელი ბარათი = 5 ბარათი.

ევრობასკეტი. შესარჩევი ეტაპი. წილისყრა

# ვის გვარგუნებს ბედი?

## ნაკრების მეტოქეები კვირას გაირკვევა

**4 დეკემბერს, კვირას, მიუნხენთან მდებარე პატარა ქალაქ ფრეისინგში ფიბა-ევროპის ხელმძღვანელები ფედერაციების წარმომადგენლებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრას მოაწყობენ. ღონისძიება თბილისის დროით 13:45 საათზე დაიწყება, თუმცა ჩვენი ეროვნული ნაკრების მეტოქეების ვინაობის გასაგებად მოცდა მოგვიწევს, რადგან ჯერ ევროპის სამი ასაკობრივი ჩემპიონატის (16, 18 და 20-წლამდელები) მონაწილეები უნდა დანაწილდნენ ჯგუფებში.**

### ვინ?

დავუბრუნდეთ მთავარ ნაკრებს. წილისყრისთვის 31 ევროპული გუნდი კალათებში ორი კვირის წინათ დაახარისხეს. საქართველოს ნაკრები ევრობასკეტი 2011-ზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით პირველ კალათაში ევროპული კალათბურთის გრანდებთან მოხვდა.

**I კალათა:** სერბეთი, თურქეთი, გერმანია, ფინეთი, საქართველო, ხორვატია.

**II კალათა:** უკრაინა, ბულგარეთი, პოლონეთი, ბოსნია, ისრაელი, იტალია.

**III კალათა:** ჩერნოგორია, ლატვია, ბელგია, პორტუგალია, უნგრეთი, შვედეთი.

**IV კალათა:** ჩეხეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, ავსტრია, აზერბაიჯანი.

**V კალათა:** ბელარუსი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ალბანეთი, ლუქსემბურგი, კვიპროსი.

**VI კალათა:** ისლანდია.

### როგორ?

ალბათ, უკვე მიხვდით, როგორ განაწილდებიან გუნდები: შეიქმნება ხუთგუნდიანი ხუთი და ექვსგუნდიანი ერთი ჯგუფი (რომელშიც მეექვსე ისლანდია იქნება). იმის გათვალისწინებით, რომ შესარჩევი მატჩები თვეზე ნაკლებ დროში უნდა ჩატარდეს, ქართველთათვის სასურველია ხუთგუნდიან ჯგუფში მოხვედრა, გარდა ამისა, ალბათ, არავის სურს ისლანდიასთან შეხვედრა და 2007 წლის ამბების გახსენება.

თითო ქვეჯგუფიდან სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურს პირველ-მეორე ადგილზე გასულები და საუკეთესო ოთხი მესამეადგილოსანი მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში გასამართი შესარჩევი ეტაპიდან 2013 წლის ევრობასკეტის ლიცენზიას 16 ნაკრები მიიღებს. სულ კი ფინალურ ეტაპზე 24 მონაწილეა. შესარჩევმოვლილ თექვსმეტეულს დაემატება 8 ტოპ-გუნდი, რომლებმაც ევროპის 2011 წლის პირველობაზე საუკეთესო შედეგები უჩვენეს: ევროპის ჩემპიონი ესპანეთი და ფინალისტი საფრანგეთი ლონდონის ოლიმპიადაზე დამატებითი მატჩების გარეშე მოხვდნენ. ასევე გარანტირებული აქვთ ლონდონში თამაში სლოვენიას (2013 წლის ევრობასკეტის მასპინძელს) და დიდ ბრიტანეთს (ოლიმპიადის მასპინძელს). 2012 წლის ივლისში გასამართ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე ოთხი ევროპული ქვეყანა იასპარეზებს: რუსეთი, მაკედონია, ლიტვა და საბერძნეთი. ყველა, ვინც ოლიმპიურ ბატალიებშია ჩაბმული, ავტომატურად მიიღებს ევრობასკეტი-2013-ზე თამაშის უფლებას.

### როდის?

ჯერ წილისყრა არ ჩატარებულა, მაგრამ უკვე ცნობილია მატჩების გამართვის თარიღი. ევროშესარჩევი 15 აგვისტოს დაიწყება და 11 სექტემბერს დასრულდება. მატჩები სამ დღეში ერთხელ ჩატარდება.

აქვე ჩამოგითვლით თამაშების გამართვის ზუსტ რიცხვებს: 15, 18, 21, 24, 27, 30 აგვისტო, 2, 5, 8, 11 სექტემბერი.

ამის თქმას შემდეგაც მოვასწრებთ, მაგრამ ახლაც დავწერთ: 2013 წლის ევრობასკეტი სლოვენიაში 4 სექტემბერს დაიწყება და 22-ში დასრულდება.

### ახალგაზრდობა

ევრო-2013-ის წილისყრამდე ქართველი ახალგაზრდების, ჭაბუკებისა და კადეტების მეტოქეთა ვინაობა გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ამა წლის ზაფხულს ჩვენმა 20-წლამდელებმა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს და მომავალი წლის 12-22 ივლისს საუკეთესო გუნდებს შორის მოუწევთ საქართველოს ღირსების დაცვა. შეჯიბრებას სლოვენია უმასპინძლებს.

ჩვენი 18-წლამდელები B დივიზიონში (იგივეა, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი) ითამაშებენ. მატჩები 9-19 აგვისტოს ბოსნიაში ჩატარდება.

ასევე მეორე დივიზიონში არიან ქართველი 16-წლამდელები, რომლებსაც რუმინეთში მოუწევთ თამაში. კადეტთა შორის B დივიზიონის მატჩები 19-29 ივლისს ჩატარდება.

გუშინ გვიან ღამით წილისყრაზე დასასწრებად საქართველოდან სამკაციანი დელეგაცია გაემგზავრა: კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, გენერალური მდივანი **მერაბ რატიშვილი** და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ირაკლი სამყურაშვილი**.

**ვაჟა სიმონიშვილი**




საქართველოს ჩემპიონატი



# დრამატული ფინალი და მასპინძლების ცეკვავა

**ქუთაისი–თსსუ 86:84**

**1825, 2420, 1824, 2615**

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (4ქ), დიდია (8ქ), ცეკვავა (17ქ), გ.ბარბაქაძე (9ქ), მათიაშვილი (29ქ.), ფაშაევი (2ქ), დ.ბარბაქაძე (11ქ), ლომინაშვილი, ქორიძე (6)

**თსსუ:** ტომარაძე (6ქ), აბაიშვილი (4ქ), შვანგირაძე (12ქ), ჭოჭუა (8ქ), ილიჩი (15ქ.8მ), ჩიკვილაძე (16ქ), ყველაშვილი, ბექაური (8ქ,8მ), პირველაშვილი (1ქ), სამოილოვიჩი (14ქ)

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ.ბერეკაშვილი, გ.მიქელაძე

ქუთაისის სპორტის სასახლეში შეკრებილმა გულშემატკივრებმა დრამატული და ემოციებით დატვირთული მატჩი იხილეს. მასპინძლები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იმყოფებოდნენ, ერთი პერიოდი მაყურებელმა მატჩი წაგებულადაც ჩათვალა და ხელიც ჩაიქნია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ქუთათურებმა ძალები მოიკრიბეს და უკანასკნელ წამებზე **ბაბუნაშვილმა** გამარჯვების მომტანი ორქულიანი რომ ჩააგდო, ხმაურისაგან და ემოციებისგან ლამის დარბაზი დაინგრა. თუმცა, აჯობებს ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. წყვილის ფავორიტად „ქუთაისი“ ითვლებოდა და ბევრი მასპინძლების იოლ გამარჯვებას ელოდებოდა, მაგრამ მედიკოსებმა პირველივე წუთებში აგრძნობინეს მეტოქეს, არაფრის დათმობას რომ არ აპირებდნენ. „ქუთაისი“ 4 ქულით იყო წინ, როცა **გიორგი შვანგირაძემ** ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და „თსსუ-ს“ ყველაზე დიდი გაქცევა (12:0) ასე დაიწყო. კარგად ჩაერთო თამაშში ბექა ჩიკვილაძე, რომელმაც საბოლოოდ 16 ქულას მოუყარა თავი. პირველი პერიოდის ბოლო წუთები სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მედიკოსებმა ეს მეოთხედი 7-ქულიანი სხვაობით მოიგეს (25:18). სტუმრებმა მომდევნო პერიოდიც კარგად დაიწყეს და 12 ქულამდეც გაზარდეს სხვაობა. კარგად ირჯებოდნენ მედიკოსთა სერბი ლეგიონერები **ნემანია ილიჩი** (15ქ) და **ფილიპ სამოილოვიჩი** (14ქ), თუმცა, ქუთათურებმა ფარქვეშ რიჩარდ მათიაშვილის ბრწინვალე თამაშის წყალობით, სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს - 42:45. მესამე პერიოდი საწყისი წუთები ქულაქულაში მიმდინარეობდა, ამ მონაკვეთში გულშემატკივრებმა არაერთი ლამაზი ეპიზოდი იხილეს, მათ შორის ქუთაისელთა ლამაზი კომბინაცია, რომელიც **გიგი ბარბაქაძის** ჩატენვით დამთავრდა. უპირატესობა ისევ თბილისელთა ხელში გადავიდა, **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდებს ყველაფერი გამოსდიოდათ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ქუთათურები მათ თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდნენ. ისინი თავისუფლად ისროდნენ როგორც საშუალო დისტანციიდან, ასევე პერიმეტრიდანაც. მესამე პერიოდის ბოლოს ტაბლოზე სტუმრების 9-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა - 60:69

ბოლო მეოთხედი უაღრესად დრამატული და დაძაბული გამოდგა. თავიდან ქუთათურებმა ხუთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ჭოჭუასა და სამოილოვიჩის შედეგიანი სროლების შემდეგ სტუმრებმა სტატუს-კვო აღადგინეს. მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და ბოლო წუთებში შეძლეს მატჩის შემოტრიალება. გადამწყვეტ მომენტში „ქუთაისის“ ყველა წევრი კარგად გაისარჯა, ბარბაქაძემ მატჩის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე ანგარიში ერთ ქულამდე შეამცირა (81::82), **ცეკვავამ** კი, რომელიც ბოლო წუთებში ქუთაისელთაგან საუკეთესო იყო, საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა - 83:82, მანვე სამედიცინოს გაფუჭებული შეტევის შემდეგ ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო - 84:82, მედიკოსებმა **ტომარაძის** ორი საჯარიმოთი გაათანაბრეს - 84:84. მატჩის დამთავრებამდე 7 წამი იყო დარჩენილი, **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებმა შეუტიეს, თემურ ბაბუნაშვილმა, რომელსაც იქამდე ერთი ორქულიანი ჰქონდა ჩაგდებული, ზუსტად ისროლა და საკუთარ გუნდს საოცარი გამარჯვება მოუტანა - 86:84

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ინტერვიუ რიმვიდას სამულენასთან

# არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო...

ლიტველი **რიმვიდას სამულენასი** მესამე მწვრთნელია, რომელიც „სოხუმს“ მიმდინარე სეზონში უძღვება. ჩემპიონატის სტარტზე კლუბს ლატვიელი **აინარს ბაგაცკისი** წვრთნიდა; შემდეგ, ორი ტურით იგი **ვაჟა კვარაცხელიამ** შეცვალა; მეშვიდე მატჩში კი „სოხუმი“ მოედანზე ახალმა მწვრთნელმა - რიმვიდას სამულენასმა გაიყვანა.

დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდა, „ქუთაისთან“ დამარცხდა, თუმცა ლიტველ სპეციალისტს ეიმედება, რომ გუნდს თავის გემოზე მალე ააწყობს.

**- თავდაპირველად სადებიუტო შეხვედრაზე გკითხავთ...**

- მძიმე თამაში გვქონდა. პირველ რიგში, შეტევაში არაზუსტ თამაშს უნდა გავუსვა ხაზი. ვერც დაცვაში მოვახერხეთ მეტოქის სათანადოდ შეჩერება. ახალი ჩამოსული ვარ და „სოხუმის“ კალათბურთელებს ჯერ კარგად არ ვიცნობ. ნელ-ნელა სიტუაციაში უკეთესად გავერკვევი და, ვიმედოვნებ, ყველაფერი დალაგდება.

**- საქართველოს ჩემპიონატმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- ჯერ მხოლოდ ერთი ტური ვნახე და დასკვნებსაც ვერ გამოვიტან. არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ევროპულ ჩემპიონატებსა და ქართულს შორის სხვაობა ნამდვილად არის. თუმცა, მთავარია, რომ ბოლო დროს საქართველოში კალათბურთს დიდი ყურადღება ექცევა და წინსვლისკენ ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

**- საბონისის საკალათბურთო აკადემიაში არაერთ ქართველ კალათბურთელთან გიმუშავიათ...**

- გიორგი ჯგერენაია, რომელსაც ლიტვაში ვავარჯიშებდი, „სოხუმში“ დამხვდა. იგი ამერიკიდან ახლახან ჩამოვიდა. ასევე ვიცნობ ტატო ჩაჩიბაიასა და ბექა წივწივაძეს.

**- ბოლოს გკითხავთ: მიმდინარე ჩემპიონატში რას უნდა ველოდეთ თქვენ მიერ გაწვრთნილი „სოხუმიდან“?**

- როგორც უკვე აღვნიშნე - სრული წარმოდგენა არც მეტოქეებზე მაქვს და ჩემს გუნდსაც ნელ-ნელა ვეცნობი. ამიტომ, კითხვაზე პასუხს ჯერ გადაჭრით ვერ გაგცემთ, თუმცა ისევე როგორც ყველა საქმე, ჩვენც შავი სამუშაოთი უნდა დავიწყოთ. მწვრთნელი ვარ და მე ვერ ვითამაშებ, მხოლოდ კალათბურთელების დახმარება შემიძლია. ვეცდები მოთამაშეებსაც და გუნდსაც მაქსიმალურად გამოვადგე.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევროჩელენჯი. არმია

# არმიული დანაკლისი

ორიოდე დღის წინ შემოგთავაზეთ „არმიას“ მთავარი მწვრთნელის, **კოტე ტულუშის** ინტერვიუ, რომელშიც იგი **სანდიატა გეინსსა** და **გილერმო დიასზე** ლაპარაკობდა.

უნდა გარკვეულიყო, NBA-ს ლოკაუტის დასრულების შემდეგ კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა გეინსი საქართველოში. სამწუხაროდ, მას ამერიკულმა კლუბმა „ნიუ ჯერსიმ“ უკვე უხმო. მართალია, სანდიატას ამერიკაში გამგზავრების ზუსტი თარიღი გუშინ გარკვეული არ იყო, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ იგი „არმიას“ 6 დეკემბერს თურქულ „ბეშიქთაშთან“ ვერ დაეხმარება.

გასარკვევი იყო მეორე უკანახაზელის, გილერმო დიასის საკითხიც. მან გერმანიაში, „გოტინგენთან“ მატჩის პირველ პერიოდში მუხლი დაიზიანა და საქართველოში ჩასატარებელი გამოკვლევის შედეგად უნდა გამოვლენილიყო ტრავმის სიმძიმე. როგორც არმიელთა დამრიგებელმა კოტე ტულუშმა გვითხრა, ექიმებმა დიასს 10-დღიანი დასვენება გამოუწერეს. შესაბამისად, სამშაბათს ვერც პუერტორიკოელი ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

# კაკოვინზე ნადირობაა, გიორგაძე ჩრდილოეთის ნაკრებშია


მარჯვნიდან მესამე დგას აქვსენტი გიორგაძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი წრის ბოლოსწინა ტურისთვის ვითარება მაქსიმალურად დაიძაბა. პლეი ოფში მოხვედრის შანსს ერთბაშად 12 გუნდი ინარჩუნებს. აქედან ხუთი „ქართული გუნდია".

ტურს **ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივისა" და „ბორდოს" დაპირისპირება გახსნის. ჩვენებურთა გუნდმა წინა, მე-11 ტურში შესანიშნავად იასპარეზა და შინ გათამაშების ლიდერთან, ფრანგული რაგბის გრანდ „ტულუზთან" ფრე გაახერხა - 9:9.

ამჯერად ბრიველები, რომლებიც სატურნირო ცხრილში 21 ქულით მე-9 ადგილზე არიან, სტუმრად ითამაშებენ. ნატრიაშვილი, რომელიც გუნდში წლეულს, სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა, გუნდის წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა და ძირითად შემადგენლობაშია, კაკოვინი კი ამჯერად თადარიგში იქნება. ისევ არ არის განაცხადში ხინჩაგიშვილი.

გუშინ ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯის ვასილ კაკოვინის თავის რიგებში ხილვა, ამ ქვეყნის ოთხ უძლიერეს გუნდს „ტულუზს", „ტულონს", „კლერმონსა" და „მეტრო რასინგს" სურს. განსაკუთრებული აქტიურობით კი პარიზული და ტულონური კლუბები გამოირჩევიან. ეს ჩვენი პირველხაზელთა სკოლის კიდევ ერთი აღიარებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე**, რომელიც აქამდე უგუნდოდაა, ინგლისში საქველმოქმედო მატჩში სათამაშოდ მიიწვიეს. „გლობუსა" ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ნაკრებში მოხვდა, რომელიც „თვიქნემზე" სამხრეთ ნახევარსფეროს ნაკრებს დაუპირისპირდება.

გიორგაძესთან ერთად ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ნაკრებში ითამაშებენ: **ტომ სმითი, გორდონ ბალოკი** (ორივე-შოტლანდია), **დენი გრივუკი, ჰიუ ვივიენი, ვილ გრინვუდი, ნის მორდტი,** (ოთხივე -ინგლისი), **ალან ქვილანი, ტომ გლისონი** (ორივე-ირლანდია), **სერჟ ბეტსენი** (საფრანგეთი), **ტერი კამინქსი, ეფრემია ბოლადაუ, ნათან ჯოუნზი, დეივ პასკო,** (ოთხივე-ინგლისის არმია), **ელი ვოკკერი** (უელსი).

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან უკეთესი შედეგი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" აქვს, რომელიც 36 ქულით მეორე ადგილზეა. „ვულკანები" მე-12 ტურში შინ ეთამაშებიან **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს", რომელიც მასპინძლებს სამი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ „კლერმონი" გათამაშებას 9 ტურის განმავლობაში ლიდერობდა და ბოლო სამ ტურში თამაშის ხარისხი საგრძნობლად გააუარესა. წინა ტურში ზირაქაშვილმა და კომპანიამ სტუმრად წააგო „მონპელიესთან" და ახლა კიდევ ერთ კონკურენტთან მართებს ძალების მობილიზება. ორივე ქართველი მორაგბე სასტარტო შემადგენლობაშია.

„კასტრს" სამი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მე-4 საფეხურზეა **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელსაც სტუმრად მოუწევს ურთულესი ბრძოლა ლიდერ „ტულუზთან".

მულტიმილიონერი **მურად ბურჯელალის** ვარსკვლავურ გუნდს, აგერ მერამდენე წელიწადია დიდი ამბიციები აქვს, თუმცა მეპატრონის ოცნების ახდენას ვერაფრით დააყენა საშველი. „ტულონი" წლეულს კიდევ ერთხელ გაძლიერდა მაღალი დონის მორაგბეებით და ტულუზელებთან მატჩში გამოჩნდება, რამდენად რეალურად შესწევს ძალა ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

წლეულს, შარშანდელისგან განსხვავებით, პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელიც 28 ქულით მე-6 ადგილზეა. აჟენელები შინ მიიღებენ ბასკურ „ბაიონს" და შესანიშნავი შანსი აქვს მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესოს.

საგრძნობლად გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ". ჩვენებურთა ამ გუნდმა მიმდინარე კვირის შუაწელში გადატანილი შეხვედრა გამართა სტუმრად **ტარიელ რატიანიძისა** და **გურამ კავთიძის** „ლიონთან" და საკმაოდ იოლად გაიმარჯვა. შედეგად მონპელიელები სატურნირო ცხრილში ოთხი საფეხურით დაწინაურდნენ და ამჟამად 22 ქულით მე-8 ადგილზე არიან.

„მონპელიე", ამჯერად, ისევ სტუმრად ითამაშებს ბასკურ „ბიარიცთან", რომელიც წლეულს უჩვეულოდ სუსტად ასპარეზობს და 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ბასკებს ტრავმის გამო ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი** დააკლდებათ. „ლიონთან" მატჩში დაშავდა და ასევე ვერაფრით დაეხმარება გუნდს „მონპელიეს" ძირითადი ფულბეკი ბენჟამინ ტიერი.

რაც შეეხება „ლიონს", რომელიც 13 ქულით ბოლო ადგილზეა, ის მე-12 ტურში გაჭირვებაში მყოფ კატალონურ „პერპინიანს" უმასპინძლებს. ლიონელებს აუცილებლად გამარჯვება მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩაიგდებს.

**I დივიზიონი**

**XII ტური**

ბორდო-ბრივი, ტულუზი-ტულონი, კლერმონი-კასტრი, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი, აჟენი-ბაიონი, ლიონი-პერპინიანი, ბიარიცი-მონპელიე

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 38 ქულა, 2. კლერმონი - 36, 3. კასტრი - 33, 4. ტულონი - 30, 5. მეტრო რასინგი - 30, 6. აჟენი - 28, 7. სტად ფრანსე - 26, 8. მონპელიე - 22, 9. ბრივი - 21, 10. ბაიონი - 20, 11. პერპინიანი - 19, 12. ბორდო - 17, 13. ბიარიცი - 14, 14. ლიონი - 13.


ბურთით ვასილ კაკოვინი

ტესტები



# დიდი შეინის გაცილება

კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრები წლევანდელი სეზონის ბოლო სანაკრებო მატჩში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მასპინძლები შეეცდებიან, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მესამე ადგილისთვის შეხვედრაში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღონ.

უელსის ნაკრებისთვის ეს მსოფლიოს თასზე წაგება იყო. საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ნაკრებებთან უელსელებმა ჯამში ხუთი ქულის სხვაობით დათმეს. რაც იმის დასტურია, რომ ეს გუნდი გაცილებით მეტს იმსახურებდა, ვიდრე მეოთხე ადგილია. თუმცა ავსტრალიამ რეალურად დაიმსახურა გამარჯვება მესამე ადგილისთვის მატჩში. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, უელსელთა კაპიტანი **სემ ვერბარტონი** რომ არ დაჰკლებოდათ. მასთან ერთად არ **უთამაშიათ რის პრისტლენდს** და **ადამ ჯოუნზსაც.**

ამჯერად უელსელებისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ ვერბარტონიც და პრისტლენდიც მწყობრში არიან. შესაბამისად, „მილინიუმზე" ანშლაგს ელოდებიან. წესით 74-ათასიანი სტადიონი პირთამდე უნდა შეივსოს, მით უფრო, რომ სანაკრებო კარიერას ასრულებს და ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩს გამართავს უელსური რაგბის ლეგენდა **შეინ ვილიმასი**, რომელმაც აქამდე 87 კეპი მოიხვეჭა.

ტანდაბალი, ჩაფსკვნილი და ვერცხლისწყალივით სწრაფი უელსელი, რომელსაც თნაბარად ძლიერად შეეძლო ეთამაშა უკანა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე, მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ 2008 წელს დაასახელს. ერთი წლის შემდეგ კი „ბრიტანელი ლომების" მიერ გამართულ სამხრეთულ ტურნეში იყო საუკეთესო. მისი დებიუტი კი უელსის ნაკრებში თერთმეტი წლის წინათ, საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან მატჩში შედგა.

ცხადია, შეინის ამბავი მასპინძლებს დამატებით მოტივაციას აძლევს. მათ ძალიან უნდათ რევანშის აღებასთან ერთად, ბოლო წლების ლიდერი და საუკეთესო მეგობარი ნაკრებიდან გამარჯვებული გააცილონ. ეს სავსებით რეალურია, თუ გავიხსენებთ, რომ უელსელებმა სამი წლის წინათ სწორედ „მილენიუმზე" შეძლეს „ვოლაბების" სამი ქულის სხვაობით დამარცხება - 21:18.

*„დარწმუნებული ვარ, უელსელი მორაგბეები კარდიფში ისეთივე განწყობით დაგვხვდებიან, როგორითაც ჩვენ ოკლენდში ორიოდ თვის წინათ. ემოციები სათამაშო სპორტის სახეობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რევანშის აღების წყურვილი მასპინძლებს ძალებს გაუორმაგებს"* - თქვა ავსტრალიის ნაკრების თავკაცმა **რობი დინსმა.**

„ვოლაბებმა" ერთი კვირის წინათ „თვიქნემზე" დიდი ანგარიშით 60:11 მოუგეს „ბარბაროსებს". შავ-თეთრ მაისურებში გამოწკეპილმა გუნდმა მაშინ დაცვაში საზიზღრად ითამაშა. „ბარბაროსებმა" მეტოქეს მინიმუმ ხუთი ლელო აჩუქეს.

ცხადია, ავსტრალიელებს იმედი არ აქვთ, რომ კარდიფში იგივე განმეორდება. პირიქით, ისინი მეტოქისგან საკმაოდ მკაცრ, ხისტ დაცვას ელოდებიან და საამისოდ ემზადებიან კიდეც. ისევე როგორც ლონდონურ მატჩში, ძირითადი მგეზავი **ჯეიმზ ოკონორი** იქნება, რომელმაც ცხრა ნომერ **ვილი გენიასთან** დუეტში შესანიშნავად გაართვა თავი გუნდის თამაშის დაგეზვას.

**უელსი-ავსტრალია**

**უელსი: 15. ლი ჰალპფენი, 14. ჯორჯ ნორსი, 13. სკოტ ვილიამსი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიმსი, 10. რის პრისტლენდი, 9. ლოიდ ვილიამსი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. ჰიუ ბენეტი, 3. სკოტ ენდრიუ, 4. ბრედლი დევისი, 5. იან ევანსი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.**

16. მეთიუ რისი, 17. რაიან ბევინგთონი, 18. რაიან ჯოუნზი, 19. ჯასტინ ტიპურიჩი, 20. ტევის კნოლი, 21. დენ ბიგარი, 22. ალექს კატბერტი.

**ავსტრალია: 15. ადამ ეშლი კუპერი, 14. ლაკი ტერნერი, 13. რობ ჰორნი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დიგბი იოანი, 10. ჯეიმზ ოკონორი, 9. ვილი გენია. 1. ჯეიმზ სლიპერი, 2. ტატაფუ პოლოტა-ნაუ, 3. სალესი მააფუ, 4. ჯეიმზ ჰროვილი, 5. რობ საიმონსი, 6. სკოტ ჰიგინბოთამი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალმენი.**

**16. სტივენ მური, 17. ბენ ალექსანდერი, 18. ნათან შარფი, 19. რადეკი სამო, 20. ბენ ლუკასი, 21. ბენ ტაპუაი, 22. ანტონი ფაინგაა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


კრის პოლი

# პოლმა გაცვლა მოითხოვა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ტრადიციული საწვრთნელი ბანაკები გაიხსნა და გუნდებმა მზადება დაიწყეს ახალი სეზონისთვის.

„ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ ბაზაზე გამოცხადდა ამ გუნდის ლიდერი **კრის პოლი**, თუმცა დარწმუნებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი თავის ამჟამინდელ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

კრის პოლის აგენტი ირწმუნება, რომ კალათბურთელი არ აპირებს „ნიუ ორლეანთან“ კონტრაქტის გაგრძელებას და უკვე მოსთხოვა „ჰორნეტსის“ ხელმძღვანელობას ტრეიდით „ნიუ იორკ ნიქსში“ გაშვება, სადაც კრისის მეგობრები - **კარმელო ენტონი** და **ამარე სტაუდმაიერი** თამაშობენ.

თავად კალათბურთელი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ ახალი ამბის კომენტირებისგან. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ მოხარულია ლოკაუტის დასრულებით და მოუთმენლად ელის ახალი სეზონის დაწყებას.

# დერონს ნიუ ჯერსი არ უნდა

“პორტლენდმა” თანამშრომლობის გახანგრძლივება გადაწყვიტა ფრანგ ლეგიონერ **ნიკოლა ბატუმთან**.

*“სერიოზულად ვფიქრობთ ამ კალათბურთელის შენარჩუნებაზე,* - ამბობს “ბლეიზერსის” პრეზიდენტი **ლარი მილერი**. *– მომავალში ვაპირებთ ნიკთან თანამშრომლობის გაგრძელებას. ის ჩვენი გუნდის მომავალი წარმატებების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს”.*

თავის მხრივ, ბატუმი მოვლენათა ამგვარი განვითარების წინააღმდეგი არ გახლავთ.

*“რატომაც არა? კარიერის გასაგრძელებლად “ბლეიზერსი” ავირჩიე, მომწონს ეს ქალაქი და ადგილობრივი გულშემატკივრები. კარგი იქნება, თუ აქ მომიწევს ხანგრძლივად დარჩენა”,* - აღნიშნა ბატუმმა, რომელმაც ლოკაუტის პერიოდში საფრანგეთის “ნანსის” რიგებში ითამაშა.

■ ■ ■

იტყობინებიან, რომ “დალას მავერიქსი” არ აპირებს ფორვარდ **კერონ ბატლერთან** ხელშეკრულების გაგრძელებას. ამ კალათბურთელმა ბოლო რამდენიმე თვე “ჩიკაგოს” ბანაკში გაატარა, სადაც მუხლის ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს ასრულებდა. ბატლერი ამჟამად კარიერის გაგრძელების ვარიანტებს განიხილავს.

მოთამაშესთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ბატლერისთვის ოპტიმალური ვარიანტი იქნება “ბულზში” გადასვლა. სწორედ იქ სურს კერონს თამაში. არის “კლიპერსის” შეთავაზებაც, რომელსაც ძალიან უნდა ამ კალათბურთელის დამატება და აპირებს, მას სარფიანი წინადადებით მიმართოს.

■ ■ ■

ამასობაში, **დერონ უილიამსმა** გადაწყვიტა არ გააგრძელოს კონტრაქტი თავის ამჟამინდელ კლუბ “ნიუ ჯერსისთან”. მოქმედ ხელშეკრულებას მომავალ ზაფხულს გასდის ვადა.

დერონმა დღეს რომ მოაწეროს კონტრაქტს ხელი, ამ შემთხვევაში მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 70 მილიონ დოლარზე მეტს ვერ გამოიმუშავებს. მაგრამ ეს არამომგებიანია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გამო. თუ უილიამსი მომავალ ზაფხულამდე დაიცდის და ახალ კონტრაქტს გააფორმებს, მაშინ ხუთი სეზონის განმავლობაში 100 მილიონი დოლარის მფლობელი გახდება.

ოლიმპიზმი

# სამეფო ოჯახი და ოლიმპიადა

ბრიტანეთის პრინცი **უილიამი** და მისი მეუღლე **კეიტ მიდლტონი** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ელჩები იქნებიან.

ოფიციალურ პრესრელიზში წერია, რომ სამეფო ოჯახი ყველანაირად ხელს შეუწყობს საზოგადოების ოლიმპიელებთან დაახლოებას. გარდა ამისა, ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს სამეფო ოჯახის კიდევ 27 წევრი.

დოპინგი

# გამოძიება დასრულდა

ესპანეთის პოლიციამ დაასრულა სკანდალური საქმის გამოძიება, რომელიც რამდენიმე ესპანური ველოსაჯინიბოს დირექტორებისა და ექიმების მიერ დოპინგის შექმნასა და გამოყენებას უკავშირდება.

განსასჯელთა სკამზე შვიდი ადამიანი აღმოჩნდება: Liverty Seguro-ისა და Kelme3-ს სამი დირექტორი - **მანუელ საისი, ხოსე იგნასიო ლაბარტა** და **ვისენტე ბელდა**, ექიმები - **ეუფიმიანო ფუენტესი**, მისი და **იოლანდა, ხოსე დუის მერინო** და **ალფრედო კორდობა**. კიდევ ერთი ბრალდებული უნდა ყოფილიყო ველომრბოლი **ალბერტო ლეონი**, მაგრამ ის ამა წლის იანვარში გარდაიცვალა.

პროკურატურა განსასჯელებისთვის ორწლიან პატიმრობას, აგრეთვე სპორტული და სამედიცინო მოღვაწეობის უფლების სამუდამოდ ჩამორთმევას მოითხოვს.

კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური

# ჩვენების ჯგუფში ყველაფერი აირია

ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე დასრულდა მეშვიდე ტური და გაირკვა მეორე რაუნდში გასული რამდენიმე გუნდი.

D ჯგუფიდან TOP16-ში თამაში გაინაღდა იტალიის „მონტეპასკიმ“, რომელიც სტუმრად თამაშობდა ლიუბლიანას „ოლიმპიას“ წინააღმდეგ.

იტალიელებმა იკმარეს პირველ მეოთხედში მოპოვებული ექვსქულიანი უპირატესობა. „ოლიმპია“ მთელი მატჩის განმავლობაში ცდილობდა მეტოქის დაწევას, მაგრამ „მონტეპასკი“ ძალიან ახლოს არ უშვებდა სლოვენიის ჩემპიონს.

მასპინძლების მარცხის მთავარი მიზეზი სამქულიანების გამოყენების უდაბლესი პროცენტი იყო - „ოლიმპიამ“ 19 შორეული ტყორცნა შეასრულა და აქედან მხოლოდ ორი ზუსტად. ამ მხრივ ყველაზე მეტად **დამირ მარკოტა** სცოდავდა, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა, მაგრამ ხუთიდან ხუთი სამქულიანი ააცილა.

„მონტეპასკის“ რიგებში კი, როგორც ყოველთვის, ყველაზე შედეგიანი **ბო მაკალები** იყო. მის ანგარიშზე 16 ქულა მოდის.

იმავე D ჯგუფში „ბარსელონასთან“ და „მონტეპასკისთან“ ერთად TOP-16-ში გაალწია რუსეთის უნიქს-მა, რომელმაც შინ დაამარცხა „გალათასარაი“. თურქულ კლუბში სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ **ზაზა ფაჩულია** - მან 18 წუთი დაჰყო მოედანზე და 5 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, უნიქს-მა თურქების წინააღმდეგობა მესამე მეოთხედში გატეხა, როცა ეს 10-წუთიანი მონაკვეთი შვიდი ქულის სხვაობით მოიგო, ამას მეოთხე მეოთხედში კიდევ სამი ქულა დაუმატა და საბოლოოდ, 72:61 გაიმარჯვა.

ამ წაგების მიუხედავად, „გალათასარაის“ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი რჩება - ამისთვის მან დარჩენილ სამ ტურში ერთი შეხვედრა უნდა მოიგოს.

■ ■ ■

ბელგრადში „პარტიზანის“ წინააღმდეგ მოულოდნელად დამარცხდა C ჯგუფის ლიდერი „მაკაბი“. მასპინძლებმა ალმავლობით დაიწყეს შეხვედრა და პირველ მეოთხედში შვიდქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ „მაკაბიმ“ მეორე მეოთხედში თითქმის შეამცირა სხვაობა და მეორე ტაიმში ქულა ქულაში თამაში მიდიოდა.

ისრაელის ჩემპიონმა ვერაფერი მოუხერხა **მაჩვანისა** და **პეკოვიჩის** დუეტს, რომელმაც ჯამში 39 ქულა დააგროვა, რაც „პარტიზანის“ საერთო მონაგარის ნახევარზე მეტი იყო. „მაკაბის“ რიგებში კი ჩააგდო შეხვედრა NBA-ის ლეგიონერმა **ჯორდან ფარმარმა**, რომელმაც თამაშიდან 10-ჯერ ისროლა და მხოლოდ ოთხჯერ ზუსტად.

საბოლოოდ, „პარტიზანმა“ 74:71 გაიმარჯვა და თითქმის გაინაღდა მეორე ეტაპზე თამაში - ის უახლოეს მდევარს - „მილანს“ ორი მოგებით უსწრებს.

„მილანს“ პრაქტიკულად ბოლო შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა შემდეგ ეტაპზე გასვლის პერსპექტივა. ამისთვის მას შინ უნდა დაემარცხებინა „რეალი“, რომელიც თავის მხრივ, ჯგუფში ლიდერობას ეცილება „მაკაბის“.

„სამეფო კლუბმა“ შეძლო უფრო მაღალი სათამაშო კლასის დამტკიცება. ოთხიდან სამი მეოთხედი თავის სასარგებლოდ დაასრულა და 72:65 გაიმარჯვა.

ესპანეთის ნაკრების წევრებმა - **როდრიგესმა** და **ფერნანდესმა** შესაბამისად, 19 და 13 ქულა დააგროვეს და დიდი წვლილი შეიტანეს „რეალის“ რიგით მეხუთე გამარჯვებაში. მადრიდული კლუბი ცხრილში დაეწია „მაკაბის“ და მასთან პირველ ადგილს იყოფს.

„მილანი“ კი მეხუთე ადგილზეა. საერთოდ, თუ სასწაული არ მოხდა, C ჯგუფიდან ბრძოლას შემდეგ ეტაპზე „მაკაბი“, „რეალი“, „ეფესი“ და „პარტიზანი“ გააგრძელებენ.

■ ■ ■

როგორც ჩანს, A ჯგუფში ბოლო ტურამდე გაურკვეველი სიტუაცია იქნება. აქ ვერ ვხედავთ გამოკვეთილ ლიდერს. თვით აშკარა ფავორიტად აღიარებულ „კახა ლაბორალსაც“ ჯერჯერობით არაფერი აქვს გარანტირებული.

ბასკური კლუბი განადგურების წინაშე იდგა სტუმრად „კანტუს“ წინააღმდეგ. მეორე და მესამე მეოთხედებში იტალიელებმა მეტოქეს მხოლოდ 15 ქულის დაგროვების საშუალება მისცეს, თავად კი პერიმეტრიდან „დაბომბეს“ „კახა ლაბარალი“. მარტო ვეტერანმა **ბაზილემ** ექვსი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში.

საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე „კანტუ“ 21 ქულით იყო წინ და მხოლოდ ამის შემდეგ გაიღვიძა ესპანელებში ღირსების გრძნობამ. **ტელეტოვიჩის, ოლესონისა** და **ბიელიცას** სამეულმა თავბრუ დაახვია მეტოქეს, ხოლო „კახა ლაბორალის“ პრესინგმა შეტევაში პრობლემები შეუქმნა „კანტუს“. 25:5 გაქცევა, წესით, ესპანელთა ტრიუმფით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „კახა ლაბორალს“ ერთი ნაბიჯი დააკლდა გამარჯვებამდე. 68:69-ზე სტუმრებს ბურთის ფლობის უფლება ჰქონდათ, მაგრამ საქმე გადამწყვეტ სროლამდე მაინც არ მივიდა: ბიელიცამ შეცდომა დაუშვა და **მაცარინომ** ორქულიანით დაასრულა „კანტუს“ ბოლო იერიში - 71:68.

ვერაფრით მოიპოვა სტაბილურობა ამ ჯგუფის კიდევ ერთმა ფავორიტმა „ოლიმპიაკოსმა“. ბერძნებმა სრული ფიასკო განიცადეს სტამბოლში „ფენერბაჰჩეს“ წინააღმდეგ. ჩააგდეს შეხვედრა „ოლიმპიაკოსის“ ლიდერებმა: **სპანულისმა** მხოლოდ 7 ქულა დააგროვა, **ანტიჩმა** კი საერთოდ ორი წუთი დაჰყო მოედანზე. შედეგად, თურქებმა კარგად ისარგებლეს მეტოქის პრობლემებით, განსაკუთრებით შეხვედრის ბოლოს, როცა 14:4 გაქცევა მოაწყვეს.

■ ■ ■

მეშვიდე ტურს ორი MVP ჰყავს - „ბარსელონას“ ცენტრი **ერაზემ ლორბეკი** და „პარტიზანის“ ფორვარდი **მილან მაჩვანი**.



ლორბეკმა „პროკომთან“ მატჩში 15 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, მისმა გუნდმა კი დიდი ანგარიშით - 76:45 გაიმარჯვა. „მაკაბისთან“ შეხვედრაში (74:71) მაჩვანის მონაგარი 22 ქულასა და 8 მოხსნას შეადგენდა.

## A ჯგუფი

**ფენერბაჰჩე–ოლიმპიაკოსი 86:70**

16:17, 26:19, 17:20, 27:14

ფ: ჯერელსი (17+5 მოხსნა), უკიჩი (16), ონანი (11).

ო: ჰაინსი (14+7 მოხსნა), ლუკასი (13).

**კანტუ–კ. ლაბორალი 71:68**

12:21, 23:9, 17:6, 19:32

კ: ბაზილე (18), მაცარინო (14), შერმადინი (8), მარკოიშვილი (7+6 მოხსნა).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (24), ოლესონი (12), ბიელიცა (11).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 10 |
| 2. კ. ლაბორალი | 4 | 3 | 9 |
| 3. კანტუ | 4 | 3 | 9 |
| 4. ბილბაო | 3 | 4 | 9 |
| 5. ოლიმპიაკოსი | 3 | 4 | -7 |
| 6. ნანსი | 3 | 4 | -30 |

## C ჯგუფი

**პარტიზანი–მაკაბი 74:71**

24:17, 15:20, 15:11, 20:23

პ: მაჩვანი (22+8 მოხსნა), პეკოვიჩი (17), ლუჩიჩი (15).

მ: სმიტი (12+5 მოხსნა), ფარმარი (11), შორცანიდისი (10+5 მოხსნა).

**მილანი–რეალი 65:72**

15:20, 15:16, 17:17, 18:19

მ: გალინარი (13+6 მოხსნა), მანჩინელი (12), ნიკოლასი (11), ბურუსისი (10+9 მოხსნა).

რ: როდრიგესი (19), ფერნანდესი (13), მიროტიჩი (11+10 მოხსნა), ტომიჩი (10+5 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 2 | 55 |
| 2. მაკაბი | 5 | 2 | 26 |
| 3. ეფესი | 4 | 3 | 4 |
| 4. პარტიზანი | 4 | 3 | -6 |
| 5. მილანი | 2 | 5 | -23 |
| 6. შარლერუა | 1 | 6 | -56 |

## D ჯგუფი

**ოლიმპია–მონტეპასკი 57:63**

15:21, 18:16, 16:16, 8:10

ო: ვუდსაიდი (11), გრინი (10+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), მარკოტა (10+15 მოხსნა+5 პასი), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

მ: მაკალები (16), რაკოჩევიჩი (14+6 მოხსნა), მოსი (13), ანდერსენი (10+8 მოხსნა).

**უნიქსი–გალათასარაი 72:61**

21:23, 14:11, 22:15, 15:12

უ: ლაიდეი (17), დომერკანტი (13), გრირი (12), ვერემეენკო (11+7 მოხსნა).

გ: ლაკოვიჩი (12), ფაჩულია (5+6 მოხსნა).

**პროკომი–ბარსელონა 45:76**

14:14, 12:22, 4:23, 15:17

პ: სევერინი (10).

ბ: სადა (17), ლორბეკი (15+8 მოხსნა), პეროვიჩი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 0 | 155 |
| 2. მონტეპასკი | 5 | 2 | 50 |
| 3. უნიქსი | 5 | 2 | 19 |
| 4. გალათასარაი | 3 | 4 | -30 |
| 5. ოლიმპია | 1 | 6 | -107 |
| 6. პროკომი | 0 | 7 | -87 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინები ისევ ლიდერია

თანამედროვე ჰოკეის კლასიკური დაპირისპირება შედგა ვაშინგტონში - ადგილობრივი გუნდის კაპიტანი **ალექს ოვეჩკინი** „პიტსბურგის“ კაპიტან **სიდნი კრობის** წინააღმდეგ.

ეს დაპირისპირება ფრედ დასრულდა - ვერც ერთმა ჰოკეისტმა ქულა ვერ აიღო, რაც შეეხებათ მათ გუნდებს, „პიტსბურგმა“ დარტყმების რაოდენობითაც აჯობა პრინციპულ მეტოქეს და საბოლოო ანგარიშის მიხედვითაც.

„პინგვინებმა“ მხოლოდ 17-ჯერ დაარტყმევინეს კარში მეტოქეს, თავად კი 35 დარტყმა შეასრულეს და ბრწყინვალედ მოთამაშე „ვაშინგტონის“ ჩეხ მეკარეს **ტომაშ ვოკოუნს** ორი გოლი გაუტანეს.

აღსანიშნავია, რომ "პიტსბურგმა" ბოლო 13 შეხვედრაში პირველად მოუგო "ვაშინგტონს" რეგულარულ ჩემპიონატში. "პინგვინების" მხრიდან გოლები გაიტანეს **ადამსმა** და **კუნიტცმა**, თუმცა სტუმრების რიგებში, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ 20 წლის მცველის **სიმონ დეპრეს** დებიუტი, რომელიც 2009 წლის დრაფტის პირველ რაუნდშია არჩეული და კლუბის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულ ჰოკეისტად მიიჩნევა. დეპრემ მოედანზე ათი წუთი დაჰყო და ერთი საგოლე პასი გააკეთა.

"ვაშინგტონმა" ბოლო ათ მატჩში მეშვიდედ წააგო და პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება, "პიტსბურგმა" კი დაიბრუნა ლიდერობა ლიგაში.

"პინგვინზს" კვალში უდგას "რეინჯერსი", რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო – "ფილადელფიას", "ვაშინგტონისა" და "პიტსბურგის" ძლევის შემდეგ "კაროლინას" გაუსწორდა – 5:3. ჯერჯერობით "ჰარიკეინზი" ვერ იგებს ახალი მწვრთნელით, "რეინჯერსმა" კი მეოთხე ადგილს მიაღწია, "პიტსბურგს" სამი ქულით ჩამორჩება, თუმცა ოთხი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ყველაზე გიჟური შეხვედრა ვანკუვერში გაიმართა, სადაც "კენაქსი" საკუთარ მოედანზე იღებდა "ნეშვილს". ამ უკანასკნელს ბოლო პერიოდში საქმე არც ისე კარგად მისდის, მაგრამ ამ მატჩში მოინდომა და შარშანდელ პლეი ოფში ნაგებისთვის სამაგიერო გადაუხადა კანადურ კლუბს – 6:5! სასტარტო პერიოდის შემდეგ სტუმრები 3:1-ს იგებდნენ, მაგრამ მეორე 20-წუთეულში "ვანკუვერმა" ზედიზედ ოთხი შაიბა გაიტანა და 5:3 გახადა ანგარიში. თითქოს "ნეშვილი" უშანსოდ დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ შესვენებამდე გაათანაბრა ანგარიში – 5:5! ბოლო პერიოდი შედეგიანი არ ყოფილა, სამაგიეროდ, მან გამარჯვება მოუტანა "ნეშვილს". საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე **მაიკ ფიშერმა** დუბლი გაიფორმა და თავის გუნდს ორი ქულა მოუტანა. საინტერესოა, რომ ექვსი გოლი "პრედატორზმა" სულ რაღაც 20 დარტყმაში გაიტანა.

**კაროლინა-რეინჯერსი 3:5**

2:1, 1:3, 0:1

**გოლები**: 1:0 ტლუსტი-5 (ბ. სატერი-5), 1:1 კელეჰანი-10 (ბ. რიჩარდსი-11, დელ ზოტო-7), 2:1 სკინერი-11 (პიტკანენი-7, ე. სტაალი-8), 2:2 მაკდონაჰი-4 (დუბინსკი-10, ჟირარდი-9), 2:3 გაბორიკი-12 (ანისიმოვი-11, ვოიჟიტკა-4), 2:4 ეივერი-3 (გაბორიკი-9, სტეპანი-9), 3:4 ჟოსლენი-1 (ე. სტაალი-9, ტ. რუუტუ-7), 3:5 ზაუერი-1 (ბ. ბოილი-5, ჰაგელინი-3).

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები**: 0:1 ადამსი-2 (ეშემი-6, პარკი-5), 1:1 ჩიმერა-10 (ჯ. უორდი-5, ლეიჩი-10), 1:2 კუნიტცი-9 (ტაილერ კენედი-7, დეპრე-1).

**ვინიპეგი-ფინიქსი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი**: 1:0 ლიტლი-7 (ე. კეინი-7, ველერი-12).

**დალასი-ოტავა 3:2**

1:1, 0:0, 2:1

**გოლები**: 0:1 კონდრა-3 (კოუენი-1), 1:1 ოტი-5 (პეტერსენი-1, რობიდასი-6), 1:2 მ. მიხალეკი-15 (ალფრედსონი-6, ფოლინო-8), 2:2 დვორაკი-3 (რიბეირო-14, ვინკური-1), 3:2 ნისტრიომი-9 (ფიდლერი-7, დვორაკი-9).

**კალგარი-კოლამბუსი 3:4 (ბ)**

1:1, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები**: 0:1 ვერმეტი-3 (ნიკიტინი-6, პალსონი-4), 1:1 სტემპნიაკი-6 (ბოუმისტერი-7, კომო-1), 2:1 რ. ბურკი-7 (ტანგეი-13, კ. ბატლერი-6), 3:1 კომო-1, 3:2 ნიკიტინი-1 (პროსპალი-14, მაკენზი-2), 3:3 ნეში-8 (ნიკიტინი-7, ვიშნიევსკი-10).

**ბულიტები გაიტანეს**: ნეში (კოლამბუსი).

**ვანკუვერი-ნეშვილი 5:6**

1:3, 4:2, 0:1

**გოლები**: 0:1 ლეგუანდი-6 (კ. უილსონი-8, კ. სმიტი-11), 0:2 ფიშერი-4 (ერატი-7, შ. უებერი-13), 1:2 ჰოჯსონი-5 (ჰიგინსი-7, ბიეკსა-9), 1:3 შ. უებერი-5 (კ. უილსონი-9, კ. სმიტი-12), 2:3 დ. სედინი-8 (ჰ. სედინი-17, ედლერი-15), 3:3 ვოლპატი-1 (ლაპიერი-4, ალბერტსი-1), 4:3 ბაროუზი-9 (ჰ. სედინი-18, დ. სედინი-21), 5:3 ჰანსენი-6 (ჰამჰუისი-12, ბიეკსა-10), 5:4 ტუტუ-3 (ჰალიშჩუკი-3, სპალინგი-5), 5:5 კ. უილსონი-6 (ლეგუანდი-11, კ. სმიტი-13), 5:6 ფიშერი-5 (ერატი-8, რ. სატერი-12).

**სან ხოსე-მონრეალი 4:3 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები**: 0:1 კამალერი-6 (სუბანი-10, დეშარნე-11), 1:1 მაკგინი-3 (ჰანძუში-4, დემერსი-3), 1:2 დეშარნე-4 (ე. კოული-8), 2:2 კუტური-8 (ქლოუ-11, ვლასიჩი-10), 2:3 ე. კოული-8 (დეშარნე-12, კამალერი-7), 3:3 ქლოუ-5 (კუტური-9, ჰავლატი-9).

**ბულიტები გაიტანეს**: ჰავლატი (სან ხოსე), ჯონტა (მონრეალი), ჰანძუში (სან ხოსე), დეშარნე (მონრეალი), პაველსკი (სან ხოსე).

**ლოს ანჯელესი-ფლორიდა 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები**: 1:0 ჯ. ჯონსონი-5 (მეტ გრინი-4, კოპიტარი-15), 2:0 დ. ბრაუნი-5 (ვოინოვი-3, კუიკი-2), 2:1 ბერგენჰაიმი-3 (გუდბრანსონი-1, კოპეცკი-9).




პიტსბურგმა პრინციპული თამაში მოიგო

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ევროპაში თოვლი არ მოდის

მომავალ უქმეებზე სამთო-სათხილამურო სპორტის გულშემატკივრები, შესაძლოა, საყვარელი სანახაობის გარეშე დარჩნენ. უკვე ცნობილია, რომ 10-11 დეკემბერს საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში არ გაიმართება ქალებს შორის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი. ამის მიზეზი ჰაერის მაღალი ტემპერატურაა და ორგანიზატორები ტრასის მოწყობას თოვლის არასაკმარისი რაოდენობის გამო ვერ ახერხებენ.

ამავე პერიოდში, შვეიცარიის დავოსში მამაკაცებს შორის მორიგი ეტაპის ჩატარება იგეგმება, მაგრამ ქვეყანაში ამ დროისთვის უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება, გარდა ამისა, რამდენიმე მთაზე თოვლი საერთოდ არ ძევს. სინოპტიკოსთა პროგნოზით, შვეიცარიაში ნალექს თვის შუა რიცხვამდე არ ელოდებიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

კრ. პალასი-დერბი 1:1

**ინგლისის თასი**

ფლიტვუდი-იეოვილი 2:2

**იტალია**

ჯენოა-მილანი 0:2

**სერია C1/B**

ფერალპისალო-კარარეზე 2:2

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

ლას პალმასი-ვილიარეალი B 3:1

**გერმანია**

ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი 2:0

**II ბუნდესლიგა**

ინგოლშტადტი-ბრაუნშვაიგი 0:1
პადერბორნი-სტ. პაული 1:1
უნიონი-კოტბუსი 1:0

**III ბუნდესლიგა**

ოფენბახი-მუნსტერი 3:0
უნტერჰახინგი-ზაარბრიუკენი 3:2
შტუტგარტი A-დარმშტადტი 1:1

**რეგიონალლიგა (სამ)**

მიუნხენი A-მემინგენი 1:0

**რეგიონალლიგა (დას)**

ტრირი-ლევერკუზენი A 1:0

**საფრანგეთი**

კაენი-მარსელი 1:2

**II დივიზიონი**

ამიენი-ლე მანი 0:0
ანჟერსი-კლერმონი 0:1
არლი-შატორუ 0:0
ბასტია-სედანი 2:2
ლანსი-ტური 3:0
მონაკო-მეცი 0:2
ტრუა-ისტრი 1:1
ლავალი-გინგამი 1:2

**ნასიონალი**

ორლეანი-ნიორი 1:5
კევილი-ეპინალი 0:3
ბოვე-პარიზი 2:0
კრეტეი-რედ სტარი 1:0

**ჰოლანდია**

ჰერაკლესი-ვენლო 7:0

**II დივიზიონი**

ალმერი-ვოლენდამი 2:1
დენ ბოში-იგლზი 1:2
დორდრეხტი-ეინდჰოვენი 2:1
ცვოლე-კამბური 3:0
ჰელმონდი-ემენი 0:1
მაასტრიხტი-აპელდოორნი 2:2
ტელსტარი-სპარტა 0:2
ვეენდამი-ფორტუნა 2:2
ვილემი-ოსი 2:0

**ბელგია**

ბეერსხოტი-გენკი 2:0

**პორტუგალიის თასი**

მარიტიმუ-ბენფიკა 2:1

**შოტლანდია**

მოზერველი-ჰიბერნიანი 0:1 შეწყდა

**თურქეთი**

შივასი-ტრაბზონი 2:2

**კვიპროსი**

აპოელ-ანაგენისი 2:0

**ჩეხეთი**

პლზენი-ბოჰემიანსი 4:1

**უკრაინა**

შახტარი-არსენალი 5:0

**პოლონეთი**

ბელხატოვი-რუხი 1:1
ლეჩია-პოლონია 1:3

**ხორვატია**

ლოკომოტივა-ინტერი 2:0

**რუმინეთი**

კლუჟი-მიოვენი 3:0

**არგენტინა**

ესტუდიანტესი-ოლ ბოისი 3:0

**ავსტრალია**

ადელაიდა-სენტრალი 0:4

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

პო ორტეზი-სტრასბური 79:70
ორლეანი-შოლე 77:70

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს თასი**

**კაცები**

ირანი-ბრაზილია 0:3
სერბეთი-ეგვიპტე 3:1
კუბა-ჩინეთი 3:2
პოლონეთი-იტალია 3:2
იაპონია-რუსეთი 0:3
არგენტინა-აშშ 2:3

**ჰოკეი**

**კჰლ**

მეტალურგი (ნ)-სიბირი 2:1
ბარისი-ავტომობილისტი 8:1
დინამო (მნ)-დინამო (მ) 2:1

**ავსტრია**

ზალცბურგი-ვენა 1:2
ზნოიმო-გრაცი 1:2
კლაგენფიურტი-ზაგრები 1:5
ლინცერი-ვილახი 2:3 (ო)
ოლიმპია-ალბა 3:4

**გერმანია**

კიოლნი-ვოლფსბურგი 4:3 (ბ)
აუგსბურგი-მიუნხენი 7:3
ჰამბურგი-მანჰაიმი 4:5 (ო)
ჰანოვერი-ნიურნბერგი 2:3 (ო)
დიუსელდორფი-კრეფელდი 3:4 (ო)
ინგოლშტადტი-აისბარენი 3:6
შტრაუბინგი-იზერლონი 6:2

**სლოვაკეთი**

პოპრადი-ზვოლენი 6:4
სკალიცა-კოშიცე 3:1
ბისტრიცა-მარტინი 3:1
ჟილინა-ტრენჩინი 4:2
სლოვანი-ნიტრა 4:3

**ფინეთი**

ილვესი-ბლუზი 3:2 (ო)
კალპა-ჰიფკ 4:0
ჰპკ-იოკერიტი 3:2 (ო)
ესეტი-ლუკო 6:3
იუვიასკიულა-ტაპარა 6:0

**ჩეხეთი**

ვიტკოვიცე-პარდუბიცე 4:3
ბუდეიოვიცე-ბოლესლავი 3:2
ლიბერეცი-ტრშინეცი 1:4

**შვეიცარია**

ბერნი-ცუგი 5:6
ლანგნაუ-სერვეტი 0:4
ამბრი პიოტა-ლუგანო 1:4

**ჩოგბურთი**

**დევისის თასი**

ნადალი-მონაკო 6:1, 6:1, 6:2
ფერერი-დელ პოტრო 6:2, 6:7, 3:6, 6:4, 6:3

TV პროგრამა

**3 დეკემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. ჯენოა-მილანი.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
**12:30** იტალიის ჩემპიონატი. XIV ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტური. ნიუკასლი-ჩელსი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტური. ტოტენჰემი-ბოლტონი (LIVE).
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტური. სპორტინგი-რეალი (LIVE).
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტური. ბარსელონა-ლევანტე (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტური. ვალენსია-ესპანიოლი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთი პროგრამა - გოლი.
**11:45** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. კანტუ-კახა ლაბორალი.
**17:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ბორუსია (მ)-ბორუსია (დ) (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
**23:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. ინტერი-უდინეზე (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
**13:15** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბრესტი.
**15:15** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ტოკიო. იაპონია.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ბაიერნი-ვერდერი (LIVE).
**20:20** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლენსტერი-გლაზგო უორიორზი.
**22:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური. მონპელიე-ლორიანი (LIVE)
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური. ნიცა-რენი (LIVE).

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**4 დეკემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. ინტერი-უდინეზე.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** იმედის ფსონი.
**14:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ფეინოორდი-ეინდჰოვენი (LIVE).
**17:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. ფიორენტინა-რომა (LIVE).
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური. პსჟ-ოსერი (LIVE).
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტური. კოლონი-რასინგი.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური. ლიონი-ტულუზა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
**13:50** სპორტის ვარსკვლავები - გია რაფავა.
**14:30** იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. კატანია-კალიარი (LIVE).
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. იუვენტუსი-ჩეზენა (LIVE).
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. შალკე-აუგსბურგი (LIVE).
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:15** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. პარმა-პალერმო (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი.
**15:00** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ტოკიო. იაპონია.
**18:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
**19:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ჰერენვეენი-ალკმაარი (LIVE).
**21:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტურის მიმოხილვა.
**23:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. კორინთიანსი-პალმეირასი (LIVE).

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-დილა (LIVE).

● კვირის ბოლოს



უკომენტაროდ

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ავტოსპორტი

# დღეს ჩემპიონთა რბოლაა

ამ უქმეებზე გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის საფეხბურთო მოედანზე „ჩემპიონთა რბოლა“ გაიმართება, რომელშიც ტრადიციულად ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვადასხვა სარბოლო სერიის საუკეთესო წარმომადგენლები.

სულ სტარტზე 16 პილოტი გავა. გუნდურ და ინდივიდუალურ შეჯიბრებებში ბრძოლა ერთნაირი პრინციპით ჩატარდება - ჯერ ჯგუფური ეტაპი და შემდეგ პლეი ოფი.

გაიმართა წილისყრა და დაკომპლექტდა ჯგუფები ორივე ტურნირში. ინდივიდუალურში ოთხი ჯგუფის შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო:

**A ჯგუფი**: ფილიპე ალბუკერკი, ენდი პრიოლი, დევიდ კულტჰარდი, ტრევის პასტრანა;

**B ჯგუფი**: მატიას ექსტრიომი, მარტინ ტომჩიკი, იან კოპეცკი, სებასტიან ოჟიე;

**C ჯგუფი**: მიხაელ შუმახერი, ჯენსონ ბატონი, ბრაიან დიგანი, იუჰო ჰიარინენი;

**D ჯგუფი**: სებასტიან ფეტელი, ტომ კრისტენსენი, ვიტალი პეტროვი, რომან გროსჟანი.

ინდივიდუალური ტურნირი კვირას გაიმართება, ერთი დღით ადრე კი გათამაშდება „ეროვნებათა თასი“ (გუნდური პირველობა). აი, როგორ გამოიყურება ჯგუფების შემადგენლობები:

**A ჯგუფი**: საფრანგეთი (სებასტიან ოჟიე, რომან გროსჟანი), სკანდინავია (ტომ კრისტენსენი, იუჰო ჰიარინენი), აშშ (ტრევის პასტრანა, ბრაიან დიგანი), SAT1-ის ნაკრები (ტიმო გლოკი, ტიმო შაიდერი);

**B ჯგუფი**: გერმანია (მიხაელ შუმახერი, სებასტიან ფეტელი), სლავური ნაკრები (ვიტალი პეტროვი, იან კოპეცკი), ბრიტანეთი (ჯენსონ ბატონი, ენდი პრიოლი), ყველა ვარსკვლავი (დევიდ კულტჰარდი, ფილიპე ალბუკერკი).

თითო ჯგუფიდან ნახევარფინალში ორ-ორი უძლიერესი გუნდი გადის.



# ტრამპლინიდან დაკარზე



მალიშის ახალი ამპლუა

ტრამპლინიდან ხტომაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი **ადამ მალიში** 2012 წლის დაკარის რალი-რეიდისთვის ემზადება, რომელიც პირველ იანვარს არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში გაიმართება. მალიშის თქმით, მას ლეგენდარული ავტომარათონისთვის ძალიან კარგი მწვრთნელი ამზადებს. 34 წლის ყოფილი ტრამპლინისტის გვერდით ავტომობილში 40 წლის გამოცდილი პილოტი, ასევე პოლონელი **რაფალ მარტონი** იჯდება. ის შტურმანის მოვალეობებს შეასრულებს, საჭესთან კი მალიში იჯდება.

„ძალიან კარგი მწვრთნელი მყავს, რადგან ჩემი დამრიგებელი აგრეთვე ჩემი შტურმანიც იქნება. მას „დაკარში“ შვიდჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა. კმაყოფილი ვარ იმით, რომ შევძლებ საჭესთან დაჯდომას და ასეთ პირობებში მანქანის მართვას. ფავორიტების წინააღმდეგ ბრძოლას ვაპირებ, - ამბობს მალიში. - რაც შეეხება ტრამპლინიდან ხტომას - ეს ჩემთვის უკვე ისტორიაა. ახლა მხოლოდ ავტომობილით ვიფრენ“.

ალვნიშნავთ, რომ „დაკარის“ ისტორიაში მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა მიაღწია წარმატებას, რომელიც მანამდე მაღალ დონეზე გამოდიოდა სპორტის სხვა სახეობაში. ფრანგ **ლუკ ალფანს** მოგებული აქვს მსოფლიოს თასის 12 ეტაპი და „ბროლის გლობუსი“ სამთო-სათხილამურო სპორტში, 2006 წელს კი „დაკარში“ გახდა საუკეთესო.

● ფორმულა 1

# უილიამსმა მალდონადო დაიტოვა



პასტორ მალდონადო

ბრიტანულმა საჯინიბო „უილიამსმა“ 2012 წლისთვის სანახევროდ დააკომპლექტა პილოტთა შემადგენლობა. კერძოდ, გუნდის ხელმძღვანელობამ დაადასტურა ვენესუელელ **პასტორ მალდონადოსთან** კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება. „უილიამსის“ მეორე პილოტის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

„მოხარული ვარ, რომ შემიძლია „უილიამსის“ შემადგენლობაში კარიერის გაგრძელება. ამ გუნდში მეორე სეზონს გავატარებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მას ლიდერთა ჯგუფში დაბრუნებაში დავეხმარო. გასული სეზონი გუნდისთვის რთული აღმოჩნდა, მაგრამ მან სწავლისა და პროგრესის საშუალება მომცა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გატარებული ზომები 2012 წელს წარმატებას მოგვიტანს. ვღელავ იმის გამო, რომ ამ პროგრესის ნაწილი ვარ და შემიძლია ვენესუელა წარმოვადგინო ფორმულა 1-ში“, - განაცხადა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მალდონადომ.

ასევე დადასტურდა ხელშეკრულების გაგრძელება **ვალტერი ბოტასთან** - ფინელი „უილიამსის“ სარეზერვო პილოტად დარჩება და გაისად 15 გრანპრიზე მიიღებს მონაწილეობას თავისუფალ პრაქტიკებში.



# მექსიკა ბრუნდება?

მექსიკელი ბიზნესმენი **სლიმ დომიტი** ოპტიმისტურად უყურებს ფორმულა 1-ში მექსიკური ეტაპის ჩატარების პერსპექტივებს. მისი თქმით, ქვეყანაში ავტოსპორტისადმი ინტერესი იზრდება, მექსიკელი პილოტები კი მაღალ შედეგებს აჩვენებენ.

„მომწონს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში მექსიკის დაბრუნების იდეა, - ამბობს მილიარდერი. - არც კი ღირს იმაზე ფიქრი, საჭიროა თუ არა ამ პროექტის განხილვა - ის აუცილებლად უნდა შესრულდეს. მექსიკაში დიდია ავტოსპორტისადმი ინტერესი, პირველ რიგში, ეს ფორმულა 1-ს ეხება. სერხიო პერესი საკმაოდ წარმატებით გამოდის „ზაუბერში“, ესტებან გუტიერესი - ამომავალი ვარსკვლავია, რომელსაც უახლოეს მომავალში ვიხილავთ „სამეფო რბოლებში“.

სლიმ დომიტს მიაჩნია, რომ მექსიკის გრანპრი კარგად ჩაჯდება კალენდარში, სადაც კანადისა და აშშ-ის გრანპრის გვერდით დაიკავებს ადგილს, მათთან ერთად ამერიკულ ტრიოს შექმნის და ეს ერთგვარი ხიდი იქნება ბრაზილიური ეტაპისთვის.

ფორმულა 1-ის ისტორიას მექსიკის 15 გრანპრი ახსოვს, რომელიც 1963-92 წლებში პაუზებით ტარდებოდა.

● კრივი

# დაბრმავებული ჩემპიონი



ჯერალდ მაკლელანი

კრივში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ჯერალდ მაკლელანმა**, რომელმაც რინგზე მიღებული ტრავმების გამო მხედველობა დაკარგა, თავისი საჩემპიონო ქამარი გასაყიდად გამოიტანა. მაკლელანის ოჯახმა ეს ნაბიჯი იმის გამო გადადგა, რომ არ გააჩნია მოკრივის მოვლისთვის საჭირო თანხა.

44 წლის ამერიკელი WBO-სა და WBC-ის ვერსიებით იყო მსოფლიოს ჩემპიონი 72 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. აუქციონზე WBC-ის ქამარს გაიტანენ.

ამერიკელმა მაკლელანმა მძიმე ტრავმები თანამემამულე **ნაიჯელ ბენთან** ბრძოლაში მიიღო, რომელიც 1995 წლის 25 თებერვალს გაიმართა. პირველ რაუნდში ჯერალდმა ნოკდაუნში ჩააგდო მოწინააღმდეგე, თანაც ეს უკანასკნელი რინგის მიღმა გადავარდა. ბენმა ბრძოლა გააგრძელა და მერვე რაუნდში ისევ ნოკდაუნში აღმოჩნდა, თუმცა ამჯერადაც შეძლო შეხვედრის გაგრძელება.

მეცხრე რაუნდში მაკლელანმა რამდენიმე მძიმე დარტყმა გაატარა და ორჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა. მეორე შემთხვევაში მან ვერ შეძლო ათ თვლაზე წამოდგომა, ცოტა ხანში კი თავის კუთხეში გონება დაკარგა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მის ტვინში შედედებული სისხლი აღმოაჩინეს და ოპერაცია გაუკეთეს. სპორტსმენი 11 დღე კომაში იმყოფებოდა.

ახლა, მაკლელანი ვერ ხედავს, სმენადობის 80 პროცენტი დაკარგა, თითქმის ვერ დადის, ლაპარაკი უჭირს და მეხსიერების სერიოზული პრობლემები აქვს.

მაკლელანმა პროფესიულ რინგზე 34 ბრძოლა ჩაატარა, 31 მოიგო (29 ნოკაუტით) და სამჯერ დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

